

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები“

მარიამი ოდილავაძე

**ემიგრაციის გამოცდილება: ორაზროვანი დანაკარგისა და ფსიქიკური
მედეგობის ურთიერთმიმართება**

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლილი ხეჩუაშვილი,
ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხათუნა მარწყვიშვილი,
ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2023

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

სადოქტორო პროგრამა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის პროგრამის ფარგლებში

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, დოქტორანტურის
სტრუქტურირებული პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები“,
DP2016_16

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი, PHDF-18-
1832



სარჩევი

აბსტრაქტი..... vii

შესავალი..... 1

თავი 1 - ორაზროვანი დანაკარგი 10

 1.1 ორაზროვანი დანაკარგის ცნება და თეორიული მოდელი 10

 1.1.1. განსხვავება ორაზროვან და სხვა ტიპის დანაკარგს შორის 12

 1.1.2. ორაზროვნება და ამბივალენტობა..... 14

 1.1.3. ორაზროვანი დანაკარგი და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა 14

 1.2. ორაზროვანი დანაკარგის შედეგები..... 15

 1.2.1. შედეგები ინდივიდის, ოჯახისა და თემის დონეზე 16

 1.3. ორაზროვანი დანაკარგის მოდელი 18

 1.3.1. კონტექსტუალური საფუძველი და ხაზგასმა მედეგობაზე 18

 1.4 ფსიქოლოგიური ოჯახი..... 19

თავი 2 - საზღვრების ორაზროვნება..... 21

 2.1 რა არის საზღვრების ორაზროვნება 21

 2.2 საზღვრების ორაზროვნების კვლევები 22

 2.3 საზღვრების ორაზროვნების გაზომვა..... 26

 2.3.1. საზღვრების ორაზროვნების შესაფასებელი სკალები..... 27

თავი 3 - მედეგობა 29

 3.1 მედეგობა და ორაზროვანი დანაკარგი 29

 3.2 მედეგობის ხელისშემწყობი ფაქტორები..... 30

თავი 4 - ემიგრაციის ორაზროვანი დანაკარგი..... 33

 4.1 ემიგრაციის გამოცდილება..... 33

 4.1.1. ემიგრაციით გამოწვეული ემოციური დანაკარგები 35

 4.1.2. ემიგრაციით გამოწვეული საზღვრების ორაზროვნება 36

 4.2. საზღვრების ორაზროვნების აღქმაზე მოქმედი ფაქტორები 37

 4.2.1. კულტურული ნორმები..... 37

 4.2.2. როლების შესრულების შესაძლებლობა 39

 4.2.3. ოჯახის გაერთიანების შესაძლებლობა..... 41

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

თავი 5 - თვისებრივი კვლევის საკითხის განსაზღვრა	42
თავი 6 - თვისებრივი კვლევა. კვლევის მეთოდი	44
6.1. კვლევის მეთოდოლოგია	44
6.2. კვლევის მონაწილეები.....	44
6.2.1. სამიზნე ჯგუფის შერჩევა: კრიტერიუმები და რეკრუტირება.....	44
6.2.2. რესპონდენტები	45
6.3. ინსტრუმენტი	46
6.4. მონაცემების შეგროვების პროცედურა	48
6.5. მონაცემების ანალიზი.....	48
6.5.1. მონაცემთა ანალიზის სტრატეგია.....	49
6.5.2. მოსამზადებელი ეტაპი	49
6.5.3. კატეგორიზაციის მატრიცა.....	49
6.5.4. მონაცემთა სანდობა	50
6.5.5. კოდირება	51
თავი 7 - თვისებრივი კვლევა. შედეგები	54
7.1. თემატური ანალიზი.....	54
7.1.1. ორაზროვანი დანაკარგი	54
7.1.2. ფსიქოლოგიური ოჯახი.....	58
7.1.3. საზღვრების ორაზროვნება	62
7.1.4. მედეგობა	64
7.1.5. საზრისი	65
7.1.6. კონტროლის შეცვლა	66
7.1.7. იდენტობის რეკონსტრუქცია	68
7.1.8. ამბივალენტობის ნორმალიზება.....	69
7.1.9. მიჯაჭვულობის გადასინჯვა	70
7.1.10. იმედი	71
7.1.11. სხვა მნიშვნელოვანი თემები	72
7.2. დისკუსია.....	75
თავი 8 - რაოდენობრივი კვლევა	80
8.1 მოსამზადებელი ეტაპი - ინსტრუმენტების მომზადება და ფსიქომეტრიული მახასიათებლების შემოწმება	82

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

8.1.1. საზღვრების ორაზროვნების სკალა.....	82
8.1.2. საზღვრების ორაზროვნების სკალის ვალიდობის შემოწმება.....	85
8.1.3. მედეგობის საკვლევი სკალა.....	86
8.2 მეთოდი.....	89
8.2.1. კვლევის მონაწილეები.....	89
8.2.2. კვლევის ინსტრუმენტები.....	91
8.3 შედეგები.....	94
8.3.1. კორელაციური ანალიზი.....	94
8.3.2. რეგრესიული ანალიზი.....	96
8.3.3. მედიაციური ანალიზი.....	103
8.4 დისკუსია.....	105
თავი 9 - შეჯამება.....	111
9.1. დასკვნები.....	112
9.2. კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.....	114
9.3. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო პერპექტივები.....	115
გამოყენებული ლიტერატურა.....	117
დანართები.....	136

ცხრილი N 1. თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დემოგრაფიული მონაცემები ...	46
ცხრილი N 2. საზღვრების ორაზროვნების, მიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგისა და დეპრესიის კორელაცია.....	86
ცხრილი N 3. მედეგობის კორელაციები დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან.....	89
ცხრილი N 4. აღწერითი სტატისტიკა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები საკვლევი ინსტრუმენტებისთვის.....	93
ცხრილი N 5. საკვლევი ცვლადების ერთიანი კორელაციური მატრიცა.....	95
ცხრილი N 6. საკვლევი ცვლადების პრედიქტული მნიშვნელობები საზღვრების ორაზროვნებისთვის.....	97
ცხრილი N 7. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისთვის.....	99
ცხრილი N 8. მედეგობის პრედიქტული ღირებულება რუმინაციისა და დამღევის სტრატეგიებისთვის.....	101
ცხრილი N 9. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება დამღევის სტრატეგიებისთვის.....	102

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

სურათი N1. საზღვრების ორაზროვნების დებულებების ფაქტორული დატვირთვა	85
სურათი N2. მედეგობის დებულებების ფაქტორული დატვირთვა.....	88
სურათი N 3. მოდელი 1. პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა, როგორც მედიატორი	104
სურათი N4. მოდელი 2. პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა, როგორც მედიატორი	104
სურათი N5. მოდელი 3. მედეგობა, როგორც მედიატორი.....	105

აბსტრაქტი

ორაზროვანი დანაკარგის კონსტრუქტი ისეთი ტიპის დანაკარგის არსებობას მოიაზრებს, რომელიც მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანი გაურკვეველობაშია საყვარელი ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ყოფნა-არყოფნის შესახებ. ორაზროვანი დანაკარგი ორ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს: (I ტიპი) ფიზიკური დანაკარგის შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ფსიქოლოგიურად არსებობს საყვარელი ადამიანებისა თუ ოჯახის წევრების გონებაში, მაგრამ ფიზიკურად არ არის მათ გვერდით (მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან მიგრაციის დროს). (II ტიპი) ფსიქოლოგიური დანაკარგის შემთხვევაში, როდესაც საყვარელი ადამიანი ფიზიკურად ოჯახის წევრების გვერდითაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად არ არის მისაწვდომი (მაგალითად, ტვინის ტრავმული დაზიანების ან ნივთიერებებზე დამოკიდებულებისას).

წინამდებარე ნაშრომში ორაზროვანი დანაკარგის თეორია იმ ინდივიდების მიერ განცდილი დანაკარგის საკვლევ ჩარჩოდ არის გამოყენებული, რომლებმაც დატოვეს ოჯახის წევრები და სამშობლო და სხვა ქვეყანაში წავიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. მოცემული სადისერტაციო კვლევის მიზანს ემიგრაციის გამოცდილების, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის შესწავლა და იმ ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენს, რომლებიც ხელს უწყობენ ორაზროვან დანაკარგთან გამკლავების პროცესს და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნამდე მიჰყავს ინდივიდი.

ნაშრომი ორ, თვისებრივ და რაოდენობრივ, კვლევას აერთიანებს. თვისებრივი კვლევა იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ქალების შერჩევაზე ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავდა პასუხი გაეცა შემდეგი კითხვებისთვის: რამდენად ქმნის ემიგრაციაში ცხოვრება ორაზროვანი დანაკარგის გამოცდილებას და როგორ განიცდება ფენომენოლოგიურად? როგორ აღიქმება საზღვრების ორაზროვნება? ვინ არიან ემიგრანტების ფსიქოლოგიური ოჯახის წევრები და რა როლი აქვთ მათ ყოველდღიურობაში? როგორ უმკლავდებიან ემიგრანტები სირთულეებს და რა უქმნით მედეგობას? ემიგრანტების ნარატივების გაანალიზებამ აჩვენა, რომ ემიგრაციაში ცხოვრებას თან ახლავს დანაკარგის განცდა, რომელიც ოჯახის წევრებთან ფიზიკურ

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

განცალკევებას, მათ წინაშე საკუთარი როლების შეუსრულებლობას, მონატრებასა და დისტანციურად შენარჩუნებულ ურთიერთობებს უკავშირდება. დანაკარგისა და შენაძენის განცდების თანაარსებობა და ოჯახის წევრებთან დაბრუნების შესახებ არსებული არაპროგნოზირებადობა და ბუნდოვანება დანაკარგთან დაკავშირებულ ორაზროვნებას ქმნის. ამასთან, ოჯახის საზღვრები და როლები ორაზროვანი შეიძლება იყოს. ემიგრანტები ოჯახის წევრებს საკუთარ კოგნიტიურ და ემოციურ ცხოვრებაში ფსიქოლოგიურ ოჯახად ინარჩუნებენ. ამასთან, ახალი ურთიერთობები მათი ფსიქოლოგიური ოჯახის საზღვრებს აფართოებს. მედეგობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა საკუთარ თავზე სიტუაციის კონტროლის სადავეების აღება, იდენტობის რეკონსტრუქცია, ახალ ცხოვრებაში, როლსა და საქმიანობაში საზრისის პოვნა და იმედის ქონა, რომ ემიგრაციაში ყოფნა მალე დასრულდება და სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან დაბრუნდებიან.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილი რაოდენობრივ კვლევას დაეთმო, რომლის მიზანიც იყო იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებსაც წვლილი შეაქვთ იმ ინდივიდების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებაში, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებიან და განიცდიან დანაკარგისა და საზღვრების ორაზროვნების მდგომარეობას. რაოდენობრივი კვლევის მოსამზადებელი ეტაპი ინსტრუმენტების მომზადებას დაეთმო, კერძოდ, (1) საზღვრების ორაზროვნების სკალის ემიგრანტებზე მორგებული ვერსიის შემუშავებასა და (2) ფსიქიკური მედეგობის საკვლევი სკალის ვალიდაციას.

რაოდენობრივი კვლევაში მონაწილეობა მიიღო 174-მა ემიგრანტმა (მამაკაცები N=36 ($M_{Age} = 30.8$, $SD_{Age} = 11.3$), ქალები N=138 ($M_{Age}=36,1$; $SD_{Age}= 12.3$)). კვლევის შედეგების მიხედვით, საზღვრების ორაზროვნების კავშირი ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა. სიცხადის მაღალი მოთხოვნილების მქონე ინდივიდებს, ორაზროვნების და გაურკვევლობის მიმართ დაბალი ტოლერანტობის პირობებში, მაღალი აქვთ საზღვრების ორაზროვნების მაჩვენებელი. უფრო მედეგ ინდივიდებს დაბალი აქვთ საზღვრების ორაზროვნება და მაღალი აქვთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის დონე. რუმინაციისკენ მიდრეკილ ინდივიდებს მაღალი აქვთ საზღვრების

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ორაზროვნება და დაბალი – ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის დონე. მედეგობის მაღალი დონის მქონე ინდივიდების შემთხვევაში რუმინაციას ნაკლებად ნეგატიური ეფექტი აქვს კარგად ყოფნის განცდაზე. ინდივიდები, რომლებსაც სიცხადის მაღალი მოთხოვნილება აქვთ, ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნის განცდამდე პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიის გამოყენებით მიდიან.

მიღებული შედეგები ადასტურებს ემიგრანტებში დანაკარგის განცდის არსებობას, რომელიც ორაზროვნებით ხასიათდება და მედეგობის, რუმინაციისა და სიცხადის მოთხოვნილების როლს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდაში.

Abstract

Ambiguous loss refers to the type of loss that occurs when one is uncertain about the physical or psychological presence of a loved one. Ambiguous loss can exist in two cases: (Type 1) In the case of physical loss, the person is psychologically present in the minds of loved ones or family members but is not physically with them (eg, a missing family member or migration). (Type 2) In the case of psychological loss, the loved one is physically with family members but is psychologically unavailable (eg, traumatic brain injury, substance abuse).

Here, we used the theory of ambiguous loss as a framework to study the loss experienced by individuals who have left family members and their homeland to live and work in another country. The purpose of this dissertation is to study the experience of migration as a situation of ambiguous loss and to reveal the factors that contribute to the process of coping with the situation of ambiguous loss and lead the individual to psychological well-being.

The paper is presented as two studies, qualitative and quantitative. A qualitative study of Georgian immigrant women living in Italy was conducted to answer the following questions: How is ambiguous loss experienced phenomenologically if immigration is an ambiguous loss situation? How is the boundary ambiguity perceived? Who are the members of the psychological family of immigrants, and what is their role in everyday life? How do they deal with adversity, and what creates resilience? As a result of analyzing the immigrants' narratives, it was found that life in immigration is accompanied by a sense of loss, which refers to physical separation from family members, failure to fulfill one's roles in front of family members, longing and relationships maintained at a distance. The coexistence of feelings of loss and gain and the unpredictability and ambiguity of reuniting with family members create ambiguity around loss. However, family boundaries and roles can be ambiguous. Immigrants keep their family members as a psychological family in their cognitive and emotional lives. At the same time, new relationships expand the boundaries of their psychological family. Taking control of one's situation, reconstructing one's identity, finding meaning in a new life and role, and hoping that their time in immigration will

soon end and they will be reunited with family members in their homeland all proved to be important factors in maintaining resilience.

The second part of the dissertation was devoted to a quantitative study, the purpose of which was to identify the factors that contribute to the maintenance of the psychological well-being of individuals who are in exile and experience a state of loss and boundary ambiguity. The preparatory phase of the quantitative study included the preparation of two instruments: (1) the development of an immigrant-specific version of the Boundary Ambiguity Scale and (2) the validation of the Resilience Scale.

174 immigrants participated in the quantitative study (men, $N = 36$ ($MAge = 30.8$, $SDAge = 11.3$), and women, $N = 138$ ($MAge = 36.1$, $SDAge = 12.3$). According to the results of the study, the relationship between boundary ambiguity and psychological well-being was not statistically significant. Individuals with a high need for closure have high boundary ambiguity due to their low tolerance for ambiguity and uncertainty. Individuals with high resilience have low levels of boundary ambiguity and high levels of psychological well-being. Individuals prone to rumination have high levels of boundary ambiguity and low levels of psychological well-being. For individuals with high levels of resilience, rumination has a less negative effect on well-being. Individuals with a high need for closure achieve psychological well-being by using the coping strategy of planful problem solving.

The obtained results confirm the existence of a sense of loss in immigrants, which is characterized by ambiguity, and the role of resilience, rumination, and the need for closure in psychological well-being.

შესავალი

პოლინ ბოსის მიერ ორაზროვანი დანაკარგის კვლევებამდე, დანაკარგის შესახებ დომინანტური დისკურსი სიკვდილს ან მატერიალურ დანაკარგს შეეხებოდა, სამეცნიერო სივრცეში კი იშვიათად თუ საუბრობდა ვინმე ისეთი დანაკარგის შესახებ, რომელიც სიკვდილს არ უკავშირდებოდა (Mitchell, 2016). პოლინ ბოსის კლინიკური კვლევებისა და ორაზროვანი დანაკარგის თეორიის განვითარების კვალდაკვალ, საუბარი დაიწყო სრულიად განსხვავებული ტიპის დანაკარგის შესახებ, რომელიც მაშინ იჩენს თავს, როდესაც ადამიანი გაურკვეველობაშია საყვარელი ადამიანის ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ყოფნა-არყოფნის შესახებ (Boss, 1999).

1970-იან წლებში ბოსმა პირველად ასახა საკუთარი იდეები ინდივიდების ყოფნა-არყოფნის შესახებ იმ ოჯახებზე დაკვირვების საფუძველზე, რომლებიც კარლ უიტაკერთან¹ მიდიოდნენ თერაპიაზე. ამ დროს ბოსი აკვირდებოდა და მონაწილეობდა კიდევ სისტემურ ოჯახურ თერაპიაში, სადაც პაციენტი ბავშვი იყო, მშობლები კი ვალდებულნი იყვნენ, დასწრებოდნენ სესიებს. ბოსის დაკვირვებით, მამები მტკიცედ იდგნენ იმ აზრზე, რომ შვილების მოვლა და აღზრდა მხოლოდ დედის საქმე იყო და ისინი უბრალოდ დროს ფლანგავდნენ ამ სესიებზე ჯდომით. ამას ბოსმა „ოჯახებში მამის ფსიქოლოგიური არყოფნა“ უწოდა, თუმცა მოგვიანებით უფრო მრავლისმომცველი ტერმინი შემოგვთავაზა. ვინაიდან მამა არ იყო ერთადერთი ოჯახის წევრი, ვინც შეიძლება, რომ „ფსიქოლოგიურად არ ყოფილიყო“ ადგილზე, ხოლო განსვლა ოჯახის კონკრეტული წევრის ოჯახში არყოფნასა და ყოფნას შორის ბოსისთვის ამოსავალ წერტილად რჩებოდა, შემოგვთავაზა ტერმინი *ორაზროვანი დანაკარგი* (Boss, 1999, 2016).

ორაზროვანი დანაკარგის თეორია ოჯახის სტრუქტურის თეორიას ეყრდნობა და გაურკვეველი, ბუნდოვანი დანაკარგის ისეთ სიტუაციებს აღწერს, რომლებიც ოჯახის წევრის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაკარგვის შედეგად იქმნება (Boss, 2004).

¹ კარლ ალანსონ უიტაკერი (1912–1995) ამერიკელი ექიმი და ფსიქოთერაპიის პიონერი ოჯახის თერაპიის მიმართულებით.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ორაზროვანი დანაკარგი ორ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს (Boss, 1999, 2006): ერთ შემთხვევაში ადამიანი ფსიქოლოგიურად აგრძელებს არსებობას საყვარელი ადამიანებისა თუ ოჯახის წევრების გონებაში, თუმცა ფიზიკურად აღარ არის მათ გვერდით (I ტიპის ანუ ფიზიკური დანაკარგის, მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგვის, შვილად აყვანის ან მიგრაციის დროს). მეორე შემთხვევაში ადამიანი ფიზიკურად ოჯახის წევრების გვერდითაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად აღარ არის მისაწვდომი (II ტიპის ანუ ფსიქოლოგიური დანაკარგის, მაგალითად, ტვინის ტრავმული დაზიანების, ნივთიერებებზე დამოკიდებულების, ქრონიკული ფსიქიკური დაავადების ან დეპრესიის დროს).

ბოსი თვლის, რომ ორაზროვანი დანაკარგი გაცილებით ტრავმული და სტრესულია, ვიდრე სხვა ტიპის დანაკარგი, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე გადაწყვეტა, გამოსავალი ან დასტური იმისა, რომ ადამიანი დაბრუნდება ან არ დაბრუნდება, ან იქნება თუ არა ცხოვრება ისევ ისეთი, როგორც ეს მის გაუჩინარებამდე იყო (Boss, 2006). ოჯახის წევრის სტატუსის გაურკვეველობით გამოწვეულმა სტრესმა შეიძლება ხელი შეუწყოს უმწეობის, დაბნეულობისა და დეპრესიის განცდების განვითარებას. გარდა ამისა, ოჯახის წევრების როლები და ფუნქციები შეიძლება შეუსრულებელი დარჩეს, ურთიერთობები კი აირიოს (Boss, 2006). საბოლოო ჯამში, ორაზროვანი დანაკარგი გავლენას ახდენს ოჯახის წევრების ურთიერთობებსა და მედეგობაზე² (Brown & Coker, 2019).

ორაზროვანი დანაკარგის თეორიაში რამდენიმე ძირითადი კომპონენტი გამოიყოფა (Boss, 2004, 2006). (1) შექმნილი ვითარება (ოჯახის წევრის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაკარგვა) ქმნის ბუნდოვანი, გაურკვეველი დანაკარგის მდგომარეობას. ამ დანაკარგის ბუნება სრულიად განსხვავდება ისეთი დანაკარგისგან, როგორცაა ოჯახის წევრის გარდაცვალება, როდესაც ოჯახის წევრები მკაფიოდ, ცალსახად განსაზღვრული დანაკარგის წინაშე დგანან. (2) დანაკარგის აღქმა ოჯახის საზღვრების ორაზროვნებას იწვევს. საზღვრების ორაზროვნება არის იმის არცოდნა, თუ ვინ არის ოჯახის სისტემაში

2 ორაზროვანი დანაკარგის თეორიის კონტექსტში მედეგობა ნიშნავს ორაზროვნების მიმართ უფრო მაღალი ტოლერანტობის გამომუშავებას და არსებული ორაზროვნებისა და გაურკვეველობის სიტუაციაში კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებას.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

და/ან მის გარეთ, რამაც სოციოლოგიური ანდა ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შექმნას (Boss, 2006). სოციოლოგიური თვალსაზრისით, ოჯახის როლები იგნორირებულია, გადაწყვეტილებების მიღება – შეჩერებული, მნიშვნელოვანი ოჯახური რიტუალები კი – გაუქმებული. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უიმედობის განცდას შეიძლება თან სდევდეს დეპრესია, დანაშაულის განცდა, შფოთვა და მწუხარებისა და დაძლევის პროცესების გაყინვა (Boss, 2004). (3) სტრესი გამოწვეულია სიცხადის ნაკლებობითა და პასუხების გარეშე ცხოვრებით, დანაკარგი კი ტრავმული შეიძლება გახდეს, თუ სტრესი უმართავ და კრიტიკულ მდგომარეობად იქცევა (Boss, 2006). ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობით გამოწვეული სტრესი და ტრავმა ურთიერთობაში არსებობს ანუ, როგორც ამბობენ, რელაციური ბუნება აქვს, რაც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაწყვეტას უკავშირდება და განსხვავდება ისეთი ტრავმული მოვლენებისგან, რომლებსაც ფსიქოლოგიურ დისფუნქციამდე მიჰყავთ ინდივიდი, ვთქვათ, იმ ტრავმული მოვლენებისგან, რომლებიც პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას იწვევს (Boss, 2006). (4) ადამიანების უმეტესობას იურიდიულად ან ბიოლოგიურად განსაზღვრულ ოჯახთან ერთად, ფსიქოლოგიური ოჯახიც ჰყავს და ის მნიშვნელოვანი რესურსია სტრესთან გამკლავებისთვის. ფსიქოლოგიური ოჯახი იმ ადამიანებისგან შედგება, რომლებსაც ვეყრდნობით რთულ პერიოდებში (Boss, 2006). (5) მედეგობის გაძლიერება თერაპიის მთავარი მიზანია, რომელიც ინდივიდებსა და ოჯახებს ორაზროვან დანაკარგთან გამკლავებაში დაეხმარება (Brown & Coker, 2019). ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში მედეგობისთვის ხელის შეწყობა ექვს ძირითად პრინციპს ეყრდნობა: საზრისის პოვნა, კონტროლის შეცვლა³, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება, მიჯაჭვულობის გადასინჯვა და ახალი იმედის აღმოჩენა (Boss, 2006).

ორაზროვანი დანაკარგის შესახებ იდეების შესამოწმებლად, 1970-იან წლებში ბოსმა ვიეტნამის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული სამხედრო

³ 2006 წელს დაწერილ წიგნში, სადაც პირველად აღწერა მედეგობის ხელისშემწყობი პრინციპები, ბოსი იყენებს ტერმინს კონტროლის შესუსტება (Tempering mastery), რომელიც მოგვიანებით შეცვალა ტერმინით კონტროლის შეცვლა (Adjusting mastery) (კონტროლის გაზრდა ან შესუსტება) (Boss, 2016), რადგან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ კულტურაში უგზო-უკვლოდ დაკარგული მამაკაცების მეუღლეებს მედეგობის შექმნისთვის კონტროლის გაზრდა სჭირდებოდათ და არა შესუსტება (Robins, 2010, 2013).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

პირების ოჯახების შერჩევაზე ჩაატარა კვლევა (Boss, 1977, 1980). 1980-იან წლებში მან თავისი დაშვება ფსიქოლოგიურად დაკარგულთა, კერძოდ, ალცჰეიმერის დაავადების დიაგნოზის მქონე ვეტერანების ოჯახის წევრებთან გადაამოწმა (Boss et al., 1988; Boss, Caron, Horbal, & Mortimer, 1990; Caron et al., 1999). ამავდროულად, როგორც პრაქტიკოსი ოჯახის თერაპევტი, ბოსი 1973 წლიდან აკვირდებოდა ოჯახის წევრის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ არარსებობასა და ყოფნას შორის განსვლის ფენომენს. ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევისა და პრაქტიკის საფუძველზე, მან დაწერა წიგნი „ორაზროვანი დანაკარგი: ცხოვრება დაუსრულებელი მწუხარებით“ (Boss, 1999), რომელშიც ამტკიცებს, რომ ორაზროვანი დანაკარგის ფენომენი ნამდვილად არსებობს და მას მავნე ზეგავლენა აქვს როგორც ინდივიდის, ისე – ოჯახის დონეზე.

სისტემური ოჯახური თერაპიის პრაქტიკაზე დაკვირვების საფუძველზე და 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებთან მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით (Boss, 2002a, 2002b, 2004), ბოსმა გააფართოვა ორაზროვანი დანაკარგის თეორიის ჩარჩო თერაპიისა და ინტერვენციის სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც გულისხმობს მედეგობის გამომუშავებას ინდივიდებისა და ოჯახებისთვის, რათა მათ იმისდა მიუხედავად განაგრძონ ცხოვრება, რომ არაფერი იციან საყვარელი ადამიანის ბედის შესახებ (ცოცხალია თუ არა, დაბრუნდება თუ არა). მედეგობის გამომუშავების ექვსი ხელშემწყობი პრინციპია საზრისის პოვნა, კონტროლის შეცვლა, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება, მიჯაჭვულობის გადასინჯვა და ახალი იმედის აღმოჩენა (Boss, 2006). შემდეგ ნაშრომში ბოსი (Boss, 2011) განმარტავს, თუ როგორ ეფუძნება ორაზროვანი დანაკარგის მოდელი ოჯახის სტრესის თეორიას და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ორაზროვანი დანაკარგისადმი მიდგომა და თერაპია სტრესის მოდელს უნდა ემყარებოდეს, მედეგობის გამომუშავებას კი მაშინ ვისახავთ მიზნად, როდესაც პრობლემას საბოლოო გადაწყვეტა ან პასუხი არ გააჩნია.

როგორც აღინიშნა, ორაზროვანი დანაკარგის ფენომენის კვლევის ფოკუსში თავდაპირველად ფიზიკურად (უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცები) და ფსიქოლოგიურად (მეხსიერების დაკარგვა და/ან დემენცია) დაკარგული პირების ოჯახები

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

იყვნენ. ახალი თაობის მკვლევრებმა გააფართოვეს არეალი და იკვლევენ სხვადასხვა ჯგუფს მრავალფეროვან კულტურებსა და განსხვავებულ სიტუაციებში.

მკვლევრებმა ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელი სხვადასხვა ჯგუფის მიერ განცდილი დანაკარგის საკვლევად გამოიყენეს (Boss, 2016). მაგალითად, ორაზროვანი დანაკარგის თეორია წარმოადგენდა კონცეპტუალურ ჩარჩოს ისეთი გამოცდილებების თანმდევი დანაკარგის გასაგებად, როგორცაა მშობლების სამხედრო სამსახურში გაწვევა (Huebner et al., 2007), მშობლის პატიმრობა (Bocknek et al., 2009; Johnson & Easterling, 2015), განქორწინება (Afifi & Keith, 2009), მინდობით აღზრდა (Lee & Whiting, 2007; Samuels, 2009; Mitchell, 2016), საცხოვრებელი ადგილის იძულებით შეცვლა (Keller, 2011), აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვის მშობლობა (Çelik & Ekşi, 2018), ოპიოიდზე დამოკიდებული მშობლების შვილებისა (Mechling, Ahern, & Palumbo, 2018) და ტრანსგენდერი პირების მშობლების გამოცდილება (Coolhart, Ritenour, & Grodzinski, 2018), ბუნებრივი აბორტი (Mcgee, PettyJohn & Gallus, 2018), ცნობიერების ხანგრძლივი დარღვევების მქონე პაციენტებზე მზრუნველობა (Zaksh, Yehene, Elyashiv, & Altman 2019) და ემიგრაცია (Solheim, Zaid, & Ballard, 2016; Jerves, Rober, Enzlin, De Haene, 2019).

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ უკანასკნელს, ემიგრაციის გამოცდილებას შეეხება. კერძოდ, იმ ადამიანების გამოცდილების შესწავლას ისახავს მიზნად, რომლებმაც დატოვეს ოჯახის წევრები და სამშობლო და სხვა ქვეყანაში წავიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. ორაზროვანი დანაკარგის ემიგრაციის კონტექსტში კვლევათა დიდი ნაწილი, ძირითადად, ტრანსნაციონალური ოჯახების⁴ გამოცდილებას ემყარება. კვლევები აჩვენებს (Marchetti-Mercer, 2012; Boccagni, 2012; Solheim et al., 2016), რომ ემიგრანტები და ტრანსნაციონალური ოჯახის სამშობლოში დარჩენილი წევრები ორივე ტიპის ორაზროვან დანაკარგს განიცდიან. ემიგრანტ წევრებში ოჯახებთან ფიზიკურ განშორებას კულტურული დანაკარგი ემატება და ორი სამყაროს მიჯნაზე ცხოვრების გამოცდილებას ქმნის (Boccagni, 2012). ემიგრანტებს იმედი აქვთ, რომ მათ ოჯახებში და განსაკუთრებით

⁴ ტრანსნაციონალური ოჯახები არიან ოჯახები, რომელთა წევრები ფიზიკურად დაშორებულნი არიან ორ ან მეტ ქვეყანას / ერს შორის, მაგრამ მჭიდრო კავშირები და ურთიერთობები აქვთ (Schmalzbauer, 2004).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

შვილების ცხოვრებაში, საკუთარ ადგილს შეინარჩუნებენ (Suárez-Orozco et al., 2011; Solheim et al., 2016). რაც შეეხება სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ემიგრანტ ოჯახის წევრთან განშორებამ ემოციური ამბივალენტობა შეიძლება გაუჩინოს. ერთი მხრივ, ისინი იაზრებენ ემიგრაციის აუცილებლობას, თუმცა, მეორე მხრივ, ვერაფერს უხერხებენ ხანგრძლივი განშორების შედეგად განცდილ ტანჯვასა და ბრახს (Boccagni, 2012; Marchetti-Mercer, 2012).

ზოგადად, ემიგრაციის გამოცდილება, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობა, არ არის ფართოდ ნაკვლევია, ქართულ კონტექსტში კი, ფაქტობრივად, არც ერთი სისტემური კვლევა არ მოიპოვება. ამ მიმართულებით კვლევის მნიშვნელობას საქართველოს მიგრაციის პროფილი უმყარებს საფუძველს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019): საქართველოში, ემიგრაციის ან იმიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გარდა, ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას უკავშირდება. ემიგრაციული ნაკადების ზრდაში მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები თამაშობენ. 2018 წელს იმატა საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რაოდენობამ. 2015 წლიდან გამუდმებით იზრდება საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში ბინადრობის ნებართვას ფლობენ. ამავე წელს საგრძნობლად მოიმატა ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობამაც (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

ვინაიდან ორაზროვანი დანაკარგი მდგომარეობაა, რომელსაც არ აქვს ნათელი და მკაფიო დასასრული და ინდივიდების კარგად ყოფნის განცდასა და ოჯახში სტრესის მართვას უკავშირდება (Boss, 2002c), ემიგრაციის მაჩვენებელი კი საკმაოდ მაღალია და ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ვიცი სოციალურმა მეცნიერებმა, ფსიქოლოგებმა, მკვლევრებმა ემიგრაციის გამოცდილების მქონე ინდივიდების ფსიქოლოგიური მდგომარეობებისა და განცდების ფენომენოლოგიის, უფრო კონკრეტულად კი, ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის და იმ პროცესებისა და მექანიზმების შესახებ, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვთ ემიგრაციის სიტუაციასთან გამკლავებასა და ოპტიმალური ფუნქციონირების შენარჩუნებაში.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მოცემული კვლევის მიზანს ემიგრაციის გამოცდილების, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის, შესწავლა და იმ ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენს, რომლებიც ხელს უწყობენ სტრესულ და ორაზროვანი დანაკარგის შედეგად შექმნილ სიტუაციასთან გამკლავების პროცესს და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნის განცდამდე მიჰყავს ინდივიდი.

კვლევა ორ, თვისებრივ და რაოდენობრივ, ნაწილად არის წარმოდგენილი:

(1) თვისებრივ კვლევას ორი ძირითადი ამოცანა აქვს: (ა) ორაზროვანი დანაკარგის თეორიის ვალიდაცია ქართველი ემიგრანტების მაგალითზე და (ბ) რაოდენობრივი კვლევისთვის საფუძვლის მომზადება.

(2) რაოდენობრივი კვლევისთვის პირველი რიგის საჭიროებას ორი საკვლევი ინსტრუმენტის – საზღვრების ორაზროვნების და მედეგობის საკვლევი სკალის – მომზადება წარმოადგენს. კერძოდ, კვლევის მოსამზადებელი ეტაპის მიზანი იყო საზღვრების ორაზროვნების საკვლევი ინსტრუმენტის შემუშავება და მედეგობის სკალის ქართულ ენაზე ვალიდაცია. საკუთრივ რაოდენობრივი კვლევის ამოცანა კი იმ ფაქტორების იდენტიფიცირება იყო, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ ძირითად კითხვებს:

- როგორ განიცდება ორაზროვანი დანაკარგი ემიგრაციაში მყოფი ადამიანების მიერ?
- როგორ აღიქვამენ მიგრანტები საზღვრების ორაზროვნებას?
- კავშირშია თუ არა საზღვრების ორაზროვნება კარგად ყოფნის განცდასთან?
- რა ფუნქციას ასრულებს მედეგობა საზღვრების ორაზროვნებასა და კარგად ყოფნის განცდის ურთიერთკავშირში?

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ცხრა თავს.

პირველ თავში განხილულია ორაზროვანი დანაკარგის ცნება და ის, თუ რა შედეგები მოაქვს მას ინდივიდების, ოჯახებისა და თემის დონეზე. ასევე, მიმოხილულია ორაზროვანი დანაკარგის მოდელი და ფსიქოლოგიური ოჯახის ცნება.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მეორე თავი ოჯახის საზღვრების ორაზროვნების კონსტრუქტს შეეხება, რომელიც ორაზროვანი დანაკარგის თეორიის საკვანძო ცნებას წარმოადგენს. განხილულია საზღვრების ორაზროვნების შესახებ არსებული პირველი კვლევები, შედეგები და საზომი ინსტრუმენტები.

მესამე თავში მედეგობა და მედეგობის ხელშემწყობი ფაქტორებია განხილული.

მეოთხე თავში ემიგრაციის ორაზროვანი დანაკარგის შესახებ არსებული კვლევები და ის ფაქტორებია განხილული, რომლებიც ქმნიან ორაზროვანი დანაკარგისა და საზღვრების ორაზროვნების გამოცდილებას ემიგრანტებისათვის.

მეხუთე თავში განსაზღვრულია კვლევის საკითხი, კვლევის მიზანი და ამოცანები. აქვე აღნიშნულია, რომ ნაშრომი ორ დამოუკიდებელ კვლევას მოიცავს. თვისებრივი კვლევის მიზანია ორაზროვანი დანაკარგის თეორიის ვალიდაცია ქართველი ემიგრანტების მაგალითზე და რაოდენობრივი კვლევისთვის საფუძვლის მომზადება. რაოდენობრივი კვლევა თვისებრივ ნაწილს ემყარება და მისი ამოცანა იმ ფაქტორების იდენტიფიცირებაა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებაში.

მეექვსე თავი თვისებრივ კვლევას ეთმობა. კერძოდ, მასში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მონაწილეები, კვლევის ინსტრუმენტი, პროცედურა, სავსე სამუშაოების წარმართვასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები და მონაცემების დამუშავებისადმი მიდგომა.

მეშვიდე თავში აღწერილია თვისებრივი კვლევის შედეგები და ინტერპრეტაცია, გამოტანილია დასკვნები.

მერვე თავი რაოდენობრივ კვლევას ეთმობა, კერძოდ, მასში აღწერილია კვლევის ინსტრუმენტების მომზადების ეტაპი, კვლევის მეთოდოლოგია, მონაწილეები და ინსტრუმენტები. მიმოხილულია კვლევის შედეგები და დასკვნები.

მეცხრე თავი ორი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმართულ მთლიანობით შეჯამებას და დასკვნებს მოიცავს.

ნაშრომის ბოლოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართებია მოცემული.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

თავი 1 - ორაზროვანი დანაკარგი

1.1 ორაზროვანი დანაკარგის ცნება და თეორიული მოდელი

ორაზროვანი დანაკარგის კონსტრუქტი, რომელიც ბოსმა (Boss, 1999) შემოგვთავაზა, ოჯახის სტრუქტურის თეორიას ეყრდნობა და აღწერს სიტუაციებს, სადაც დანაკარგი გაურკვეველია, დაუსრულებელი ან ნაწილობრივი. ორაზროვანი დანაკარგი ისეთი ტიპის დანაკარგის არსებობას მოიზრებს, რომელიც არ არის დაზუსტებული ან ცხადი და, ამრიგად, შეუძლებელს ხდის სიტუაციის დასრულებას (Boss 1999, 2006, 2007, 2016). ამ მიზეზების გამო, ორაზროვანი დანაკარგი ყველაზე სტრუქტურულ დანაკარგად ითვლება (Dahl & Boss, 2020).

ბოსი (Boss 1999, 2006) ორი ტიპის ორაზროვან დანაკარგს აღწერს.

(1) ფიზიკური დანაკარგის შემთხვევაში ადამიანი გრძნობს საყვარელი ადამიანის მის გვერდით ფსიქოლოგიურ ყოფნას, მაგრამ ეს ადამიანი ფიზიკურად აღარ არის მის ცხოვრებაში. ოჯახის წევრებს არ აქვთ ინფორმაცია, სად არის მათი ოჯახის წევრი, გარდაცვლილია თუ ცოცხალი. სხვა სიტყვებით, საყვარელი ადამიანი ფიზიკურად არ არის ოჯახის გვერდით, მაგრამ ფსიქოლოგიურად ისევ იქ იმყოფება, რადგან არ არსებობს სიკვდილის ან მუდმივი დანაკარგის მტკიცებულება. ოჯახები ამ მდგომარეობას აღწერენ, როგორც „ფიზიკურად ჩემთან აღარ არის, მაგრამ თითქოს აქაა“. ამ ტიპის ორაზროვანი დანაკარგის მაგალითები, შესაძლოა, იყოს უკიდურესად მძაფრი, მაგალითად, შვილის უგზო-უკვლოდ გაუჩინარება (Fravel & Boss, 1992), დაკარგული ჯარისკაცი, რომლის სხეული არ არის აღმოჩენილი, ან უფრო ჩვეული, მაგალითად, პარტნიორთან განშორება წყვილის განქორწინებისას (Boss, 1999, 2006); და მშობლების, და-ძმების ან ახლობლების დაკარგვა, როდესაც ბავშვი მინდობით აღზრდაში ხვდება (Mitchell & Kuczynski, 2010). ყველა ამ სიტუაციაში საყვარელი ადამიანები ფიზიკურად აღარ არიან პიროვნების გვერდით, მაგრამ ისინი ფსიქოლოგიურად რჩებიან მის გონებაში.

(2) ფსიქოლოგიური დანაკარგის შემთხვევაში საყვარელი ადამიანი ფიზიკურად ოჯახის წევრების გვერდით იმყოფება, მაგრამ ფსიქოლოგიურად მიუწვდომელია

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

კოგნიტური გაუარესების, ავადმყოფობით გამოწვეული მეხსიერების დაკარგვის, ტრავმის, ნივთიერებებზე დამოკიდებულების ან ობსესიების გამო (Boss, 1999, 2006, 2011). მაგალითად, ინდივიდები, რომლებსაც ალცჰეიმერის დაავადების მქონე ოჯახის წევრი ჰყავთ, შეიძლება ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგან ოჯახის ამ წევრს აღარ შეუძლია იცნოს ისინი ან გაიხსენოს მოგონებები, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებთ (Boss, 1993). ალცჰეიმერის დაავადების მქონე ადამიანი ფიზიკურად იმყოფება ოჯახში, მაგრამ ფსიქოლოგიურად აღარ არსებობს, რადგან მას აღარ შეუძლია აქტიურად ჩაერთოს ოჯახის წარსული მოვლენების გახსენებასა თუ საერთო გამოცდილების შექმნაში. ოჯახის წევრები ამ ტიპის ორაზროვან დანაკარგს მოიხსენიებენ, როგორც მდგომარეობას, როცა ადამიანი „ფიზიკურად ჩემთანაა, მაგრამ თითქოს აქ არც არის“.

ბოსის (Boss, 1999, 2006) მთავარი თეორიული დაშვებაა, რომ ორაზროვანი დანაკარგი ყველაზე სტრესული დანაკარგია, რადგან ის მთლიანად ცვლის კონკრეტულ მოვლენამდე არსებულ მდგომარეობას და ბუნდოვან წარმოდგენებს ქმნის იმის შესახებ, თუ ვინ არის და ვინ – არა კონკრეტული ოჯახის წევრი. ამ მდგომარეობას იგი საზღვრების ორაზროვნებას უწოდებს. ამ დროს ცალსახად არ არის განსაზღვრული კონკრეტული ადამიანის ოჯახის სისტემაში ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. არც ისაა ცნობილი, ვინ რა როლსა და ამოცანას ასრულებს ოჯახის სისტემაში. ოჯახის ცალკეული წევრები შეიძლება განსხვავებულად აღიქვამდნენ ოჯახის წევრობასა და როლებს და, აქედან გამომდინარე, სახეზე გვექონდეს ურთიერთშეუსაბამო აღქმები. დაბრუნდება თუ არა დაკარგული ადამიანი ოდესმე? უცვლელი რჩება თუ არა ოჯახის წევრების როლები, ვიდრე დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს? ცოლი ვარ თუ ქვრივი, თუ ჩემი მეუღლე წლების წინ დაიკარგა? ისევ შვილი ვარ თუ ჩემმა მშობელმა აღარ იცის ვინ ვარ? ამგვარი კითხვები ოჯახის საზღვრების ბუნდოვანებას ასახავს, რაც, როგორც მკვლევრებმა აჩვენეს, კავშირშია როგორც ინდივიდუალურ დეპრესიულ სიმპტომებთან, ისე – ოჯახურ კონფლიქტთან (Caron, Boss, & Mortimer, 1999). როდესაც ორაზროვან დანაკარგს დაკარგული პირის ოჯახის წევრები საზღვრების მძლავრ ორაზროვნებამდე მიჰყავს,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ინდივიდუალური და ოჯახის ერთიანი სისტემის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას საფრთხე ექმნება (Boss, Greenberg, & Pearce -McCall, 1990).

1.1.1. განსხვავება ორაზროვან და სხვა ტიპის დანაკარგს შორის

ორაზროვანი დანაკარგი განსხვავდება ისეთი ნორმატიული ცხოვრებისეული მოვლენით გამოწვეული დანაკარგისგან, როგორცაა გარდაცვალება (Boss, 1999). შესაბამისად, გლოვისა და მწუხარების პროცესებიც განსხვავებულად მიმდინარეობს. „ტიპური“ მწუხარების თანმხლები გართულებები ნამდვილად არსებობს და ამის მტკიცებულებად მიიჩნევა მგლოვიარე ადამიანი, რომელიც ვერ ურიგდება საყვარელი ადამიანის გარდაცვალების ფაქტს და ვერ ასრულებს დანაკარგით გამოწვეულ მწუხარებას. ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში მყოფი ადამიანები კი, თავის მხრივ, გაურკვევლობაში არიან და ამიტომ ვერ ახერხებენ მწუხარების მდგომარეობიდან გამოსვლასა და გლოვის პროცესის დასრულებას. ორაზროვნება არ აძლევს მათ სიტუაციის დახურვის⁵ საშუალებას (Dahl & Boss, 2020).

ორაზროვანი დანაკარგის დროს მწუხარება და გლოვის პროცესი გარდაცვალების მკაფიოდ განსაზღვრული დანაკარგის შემთხვევისგან განსხვავებულად მიმდინარეობს (Dahl & Boss, 2020). ამ დროს დანაკარგი მკაფიოა – არსებობს გარდაცვლილი ადამიანის სხეული, გარდაცვალების ცნობა და გლოვის რიტუალები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ოჯახის წევრებსა და ახლობელ ადამიანებს, რომ თვალსაჩინოდ დაადასტურონ დანაკარგის არსებობა და გლოვის პროცესი დაიწყონ. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევებს მსგავსი სიცხადე არ ახასიათებს, გლოვა არ/ვერ იწყება, რაც სიტუაციის თავისებურებით არის განპირობებული, რადგან რთულია იმის განსაზღვრა და აღიარება, რომ დანაკარგი რეალურად არსებობს. ბოსი (Boss, 1999) აღნიშნავს: „სიკვდილისგან განსხვავებით, ორაზროვანმა დანაკარგმა შეიძლება არ დაუშვას მიჯაჭვულობის რღვევა (detachment), რაც ასე აუცილებელია სიტუაციის დასასრულებლად (closure). ორაზროვნება დანაკარგის მდგომარეობასაც ამძიმებს და გლოვის პროცესსაც აფერხებს. ადამიანები იმედსა და უიმედობას შორის ირხევიან“ (გვ. 10-11).

⁵ Closure

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ფიზიკური ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში გაურკვეველია, რა ან ვინ უნდა გამოიგლოვოს ადამიანი. უპასუხოდ რჩება ისეთი კითხვები, როგორცაა: „წავიდა თუ არა საყვარელი ადამიანი სამუდამოდ?“ „არის თუ არა ეს მუდმივი დანაკარგი, რომელიც უნდა გამოვიგლოვო?“ ცხოვრება შეჩერებულია მანამდე, ვიდრე დანაკარგის არსებობის უტყუარი მტკიცებულებები არ გამოჩნდება. დანაშაულის განცდა შეიძლება გაჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი გლოვას მანამდე იწყებს, ვიდრე სიკვდილის უტყუარი მტკიცებულება არ აქვს ხელთ (Boss, 1999).

ფსიქოლოგიური ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაშიც არ არის ნათელი, როდის უნდა დაიწყოს გლოვის პროცესი, რადგან ფსიქოლოგიურად დაკარგული ადამიანი ფიზიკურად ჯერ კიდევ ოჯახში იმყოფება (Dahl & Boss, 2020). ბოსი (Boss 2004c, გვ. 163) მოგვითხრობს ქალზე, რომელიც ალცჰეიმერის დაავადების მქონე ქმარზე ზრუნავდა. ერთ მომენტში, როდესაც იგი მეტად აგრესიული და რთულად მოსავლელი გახდა, მეუღლემ თითიდან მოიხსნა საქორწილო ბეჭედი და შეინახა, რადგან, მისი სიტყვებით, ახლა ის ბავშვზე ზრუნავდა და არა მამაკაცზე, რომელზეც დაქორწინებული იყო. როდესაც ქმარი გარდაიცვალა, მან საქორწილო ბეჭედი ისევ გაიკეთა და თქვა: „ახლა ნამდვილად ქვრივი ვარ“.

ორაზროვანი დანაკარგის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია სიტუაციის დასრულების შეუძლებლობა. არ არსებობს კონკრეტული დრო, როდესაც გლოვა დაიწყება და დასრულდება, დანაკარგი დადასტურდება/ნათელი გახდება და ინდივიდი შეძლებს დანაკარგის მიღებას. ამის ნაცვლად, არსებობს ორი საპირისპირო იდეა საყვარელი ადამიანის ყოფნა-არყოფნის შესახებ: იგი შეიძლება იყოს ან არ იყო გარდაცვლილი, არის და თან არ არის. სიტუაციის დასრულების (closure) და საყვარელი ადამიანის გარდაცვალების აღიარების ყველა მცდელობა, როდესაც ამის ნათელი მტკიცებულება არ არსებობს, წინააღმდეგობას იწვევს. სწორედ ორი, ურთიერთსაპირისპირო რეალობის შესაძლებლობის მიღება, ყოფნა-არყოფნის პარადოქსი, ცოდნა-არცოდნის აღიარება ხვდება ფსიქოთერაპიული პროცესის ფოკუსში, რომელიც მიმართულია წინააღმდეგობის შემცირებასა და მედეგობის გაძლიერებაზე და ცალკეულ ინდივიდებსა თუ ოჯახებს

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ცხოვრების ახალი გზის პოვნის საშუალებას აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ დანაკარგის მდგომარეობის დასრულების შესაძლებლობა (Dahl & Boss, 2020).

1.1.2. ორაზროვნება და ამბივალენტობა

ორაზროვნება სიცხადის არარსებობას ნიშნავს, ხოლო ამბივალენტობა განისაზღვრება, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებისა და ემოციების ქონა. ორაზროვანი დანაკარგი შეიძლება იწვევდეს ამბივალენტობას, რაც შეიძლება არასასიამოვნოდ განიცდებოდეს, მაგრამ არ იყოს პრობლემური. „ორაზროვანი დანაკარგიდან მომდინარე ამბივალენტობა პრობლემაა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იწვევს დანაშაულის განცდას, დეპრესიას, შფოთვის, სომატურ სიმპტომებს, ძალადობასა და სიცოცხლისათვის საშიშ ქცევას“ (Boss, 2006, გვ. 145). ამბივალენტობა ხშირად სდევს თან ორაზროვან დანაკარგს. ასეთი ამბივალენტობა სოციოლოგიურია და არა – ფსიქიატრიული. ეს ნიშნავს იმას, რომ შერეულ ემოციებს ახლო ურთიერთობის გაწყვეტა იწვევს და არა – ფსიქიატრიული აშლილობა. სიხარულისა და მწუხარების განცდა, ამბის დასრულებისა და იმედის შენარჩუნების სურვილი ხშირია ოჯახებში, რომლებიც ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ორაზროვან დანაკარგს განიცდიან (Dahl & Boss, 2020).

1.1.3. ორაზროვანი დანაკარგი და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

ორაზროვან დანაკარგზე საუბრისას საჭიროა, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.

მიუხედავად იმისა, რომ ორაზროვანი დანაკარგის მქონე პირებს შეიძლება პოსტტრავმული სტრესული აშლილობის მსგავსი სიმპტომები აღენიშნებოდეთ (მაგალითად, ღამის კოშმარები, ზესიფხიზლე და შფოთვა), ეს ორი თვისებრივად განსხვავებული მდგომარეობაა (Boss, 2006; Dahl & Boss, 2020). პირველ რიგში იმიტომ, რომ ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში, სიმპტომების მიზეზი სიტუაციის ორაზროვნებაში დევს. ორაზროვანი დანაკარგით გამოწვეული სიმპტომები დაუსრულებელი სტრესის შედეგია, რაც პასუხების გარეშე ცხოვრებას უკავშირდება. ეს არ არის ინდივიდის ფსიქიკური ან ოჯახის სისუსტე (Boss, 2004). პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ფსიქიკური აშლილობაა და ფსიქიკური აშლილობის დიაგნოსტიკისა და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემაში (DSM-5) (American Psychiatric Association, 2013) ტრავმასთან და სტრესთან დაკავშირებულ აშლილობათა ჯგუფში შედის. ამ კლასტერში შეტანილი ყველა მდგომარეობის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმს ტრავმული ან სტრესული მოვლენის ზემოქმედება წარმოადგენს. ორაზროვანი დანაკარგი, თავის მხრივ, არ არის ფსიქიკური აშლილობა. ეს ურთიერთობისთვის დამახასიათებელი, ინდივიდის გარეთ არსებული მიზეზებით გამოწვეული მდგომარეობა და გარეგანი სტრესორის შედეგია (Boss, 2006).

მეორე, პოსტტრავმული აშლილობის შემთხვევაში მატრავმირებელი მოვლენა კონკრეტულ დროს მოხდა და ახლა უკვე დასრულებულია და აწმყოში მხოლოდ „ფლეშბექების“ (flashback) სახით იჭრება. ორაზროვანი დანაკარგი მიმდინარეა და არ მთავრდება. ეს დროში უსასრულოდ განგრძობილი სიტუაციაა და შედეგად გამოწვეული ტკივილი სამუდამოდ შეიძლება გაგრძელდეს. მაგალითად, მდგომარეობა, როდესაც ადამიანი შვილს კარგავს და არაფერი იცის მისი ადგილსამყოფელისა თუ ბედის შესახებ, მუდმივად მიმდინარედ, აწმყოში არსებულად განიცდება (Dahl & Boss, 2020).

1.2. ორაზროვანი დანაკარგის შედეგები

ორაზროვანი დანაკარგის შედეგები ფსიქოსოციალური პერსპექტივიდან შეგვიძლია განვიხილოთ (Boss, 2017). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ორაზროვნებისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო გადაწყვეტილებების მიღება შეჩერებულია, დაძლევა და გლოვის პროცესები – გაყინული (Boss, 1999, 2006; Boss, Bryant & Mancini, 2017). ორაზროვანი დანაკარგი ართულებს გლოვის პროცესს (Boss, 2010). ორაზროვნება ხელს უშლის საზრისის ძიებას, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია დანაკარგის მდგომარეობის დასრულებისთვის. გარდა ამისა, ორაზროვნება ბლოკავს მედეგობისთვის აუცილებელ დაძლევისა და ადაპტაციის პროცესებს (Boss, 1999, 2006; Boss, Bryant & Mancini, 2017).

სოციოლოგიური თვალსაზრისით, ორაზროვანი დანაკარგი ცვლის ოჯახის სტრუქტურასა და ფუნქციებს. მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანის ოჯახის წევრები დაბნეულნი არიან და არ იციან, ვინ არის ოჯახში ან მის გარეთ და ვინ რა

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

როლს ასრულებს ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ოჯახის მიმდინარე ამოცანები შეუსრულებელი რჩება, მეგობრები და ბავშვები უგულვებელყოფილნი არიან, ტრადიციული ოჯახური რიტუალები და დღესასწაულები კი, რომელიც, თავის მხრივ, მანუგეშებელ ფუნქციას შეიძლება ასრულებდნენ, – გაუქმებული. ვინაიდან ორაზროვანი დანაკარგი ინდივიდუალური და ოჯახური დამღევს, ადაპტაციისა და ცვლილებების აუცილებელი პროცესების დემობილიზაციას ახდენს, ოჯახები მოწყლადნი ხდებიან, მედეგობის გარეშე მათ არ შეუძლიათ გაუძლონ ორაზროვანი დანაკარგის ხანგრძლივ სტრესს (Boss, 2017).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ეფექტები ერთმანეთს ერწყმის (Boss, 2017). მაგალითად, როდესაც დანაკარგი დადასტურებული არ არის (მაგ., გარდაცვლილის ნემტი), ეს ტრავმული გამოცდილებაა, რომელიც სათავეს ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სფეროში იღებს. როდესაც ადამიანებს ახლობელის გარდაცვლილი სხეულის ნახვის საშუალება არ აქვთ, ისინი ნაკლებად არიან მზად დანაკარგის აღიარებისთვის. გარდა ამისა, ოჯახის წევრები თავს დამნაშავედ გრძნობენ, თუ გამოგლოვებას იწყებენ, რადგან დანამდვილებით არავინ გარდაცვლილა. ასევე, როდესაც შექმნილი სიტუაცია გარდაცვლილისთვის მიღებული კულტურული ნორმების დაცვითა და რიტუალებით პატივის მიგების საშუალებას არ იძლევა, ადამიანები თავს უმწეოდ გრძნობენ და განცდა აქვთ, რომ საყვარელ ადამიანს უღალატეს (Boss, 2006). და ბოლოს, დანაკარგის დადასტურების გარეშე, საზოგადოება არ ცნობს მას, როგორც დანაკარგს. შესაბამისად, არ არსებობს სოციალური დახმარების სტრუქტურები, მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახები ვერც ჩვეული კულტურული და რელიგიური რიტუალების შესრულებას ახერხებენ (Boss, 2017).

1.2.1. შედეგები ინდივიდის, ოჯახისა და თემის დონეზე

ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური პერსპექტივის გარდა, ორაზროვანი დანაკარგის გავლენა ინდივიდების, ოჯახების და თემის დონეზე შეიძლება იქნეს განხილული.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ინდივიდის დონე. ინდივიდუალურ დონეზე გლოვის პროცესი იყინება და, შესაბამისად, რთულდება. დაძლევა და გადაწყვეტილების მიღების პროცესები იზლოკება (Boss, 1999, 2006). ორაზროვნებამ და ინფორმაციის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მწუხარება, შფოთვა ან დეპრესიული სიმპტომები (Boss, Roos & Harris, 2011). ისეთი სიმპტომები, როგორცაა დეპრესიულობა, სუიციდური ფიქრები, ნივთიერებებზე დამოკიდებულება ან მათი ბოროტად მოხმარება, სპეციალისტის დახმარებას შეიძლება საჭიროებდეს, თუმცა ამგვარი პათოლოგიები, ძირითადად, იმ ორაზროვნების შედეგია, რომლითაც ადამიანი იტანჯება (Boss, 2006; Boss, Bryant & Mancini, 2017; Hollander, 2016).

ოჯახის დონე. ოჯახისთვის, როგორც სისტემისთვის, ორაზროვანი დანაკარგი არღვევს ურთიერთობებს და ამით აფერხებს ოჯახის სისტემურ პროცესებსა და ყოველდღიური ოჯახური ცხოვრების დინამიკას (Boss, 2017). ორაზროვნებას არეულობა შემოაქვს ოჯახის წევრობასა და საზღვრებში და შეიძლება საზღვრების ორაზროვნება გამოიწვიოს (Boss, 2007; Boss et al., 2003) თუ ეს მოხდება, ოჯახი, როგორც სისტემა, ხდება მციფე. ოჯახში დანაკარგის არსებობასთან დაკავშირებული ორაზროვნება ოჯახური კონფლიქტის მიზეზი ხდება და ოჯახის წევრებს შორის მუდმივი განხეთქილების წყაროდ იქცევა (Boss, 2006). გარდა ამისა, ოჯახი ხშირად აუქმებს სადღესასწაულო რიტუალებს და შეკრებებს, რადგან მიაჩნია, რომ ეს უკვე შეუსაბამოა. ეს, თავის მხრივ, იწვევს ოჯახის უფრო იზოლირებას და ინტერპერსონალური ურთიერთობების გარეშე ტოვებს მას, რაც ასე აუცილებელია ოჯახის ცალკეული წევრებისა და, ოჯახის, როგორც ერთი ორგანიზმის, მედეგობისთვის (Boss, 2017).

თემის დონე. ოჯახის წევრის გარდაცვალება უნივერსალური სტრესია, რომელსაც საზოგადოება აღიარებს, თუმცა ამავე საზოგადოებამ შეიძლება არ აღიაროს და მიიღოს ორაზროვანი დანაკარგი, როგორც რეალურად არსებული დანაკარგი. მეგობრებმა და მეზობლებმა შეიძლება უბრალოდ არ იცოდნენ, როგორ უნდა გამოხატონ თანადგომა და, შესაძლოა, არც ესმოდეთ გახანგრძლივებული გლოვის ლოგიკა. მათ ხშირად არ იციან, რა უნდა თქვან ან მოიმოქმედონ, შეიძლება გაერიდონ კიდევ სიტუაციას, რასაც

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დაზარალებული ოჯახების იზოლირება და ამით მათი ტკივილის გაძლიერება სდევს თან (Boss, 2017).

1.3. ორაზროვანი დანაკარგის მოდელი

1.3.1. კონტექსტუალური საფუძველი და ხაზგასმა მედეგობაზე

ორაზროვანი დანაკარგის თეორიაში მთავარი დატვირთვა ორაზროვნებაზე მოდის და ის არის პასუხისმგებელი შექმნილ სიტუაციაზე (Dahl & Boss, 2020). ინდივიდის ან ოჯახის დონეზე არსებული უფუნქციობა კი არ იწვევს ოჯახურ კონფლიქტს და როლების აღრევას ანდა დეპრესიისა და შფოთვის ცალკეულ სიმპტომებს, არამედ ორაზროვნების გარე სოციალური კონტექსტი. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში, თერაპიის მიზანი განკურნება კი არ არის, არამედ მედეგობის გამომუშავება/გაძლიერება, რაც ამ შემთხვევაში ორაზროვნებისადმი ინდივიდისა და ოჯახის ტოლერანტობის გაზრდას გულისხმობს (Dahl & Boss, 2020).

ოჯახის სტრესის კონტექსტუალური მოდელი (Boss, 2002c; Boss, Bryant, & Mancini, 2017) მედეგობაზე ხაზგასმით იმაზე მიუთითებს, რომ თუ სიტუაცია ვერ შეიცვლება ან გამოსწორდება, ერთადერთი მიზანი მედეგობის გაძლიერება უნდა იყოს, რათა ინდივიდმა ორაზროვნებასთან ერთად ცხოვრება შეძლოს (Boss, 2006). ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ორაზროვანი დანაკარგის თანმდევ სიმპტომებზე ფოკუსირების ნაცვლად, იმ გზების მოძიება ხდება მნიშვნელოვანი, რომლითაც ინდივიდები თუ ოჯახები, ორაზროვანი დანაკარგით გამოწვეული სტრესის მიუხედავად, კარგად ცხოვრებას ახერხებენ.

ოჯახის სტრესის კონტექსტუალური მოდელის⁶ (Boss, 2002c; Boss, Bryant, & Mancini, 2017) ჭრილში, ორაზროვანი დანაკარგი წარმოადგენს სტრესორს (A ფაქტორი), რომელიც ურთიერთქმედებს ოჯახის კრიზისთან გასამკლავებლად არსებულ რესურსებთან (B ფაქტორი) და საზღვრების ორაზროვნებასთან – ოჯახის ინდივიდუალური წევრების,

⁶ Contextual Model of Family Stress - ABC-X მოდელი - გამოიყენება ოჯახის სტრესისა და დაძლევის გასაანალიზებლად. მოდელი შედგება (A) სტრესორი მოვლენისგან, (B) ოჯახისთვის ხელმისაწვდომი რესურსებისგან გაუმკლავდეს სტრესს, (C) ოჯახის მიერ სტრესორის აღქმისგან და (X) კრიზისის ალბათობისგან. ცვლადები B და C განსაზღვრავენ, იწვევს თუ არა სტრესორი მოვლენა (A) კრიზისს.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ისევე როგორც მთელი ოჯახის მიერ ორაზროვანი დანაკარგის აღქმა (C ფაქტორი). მათი ურთიერთქმედება ქმნის შედეგს – სტრესისა და კრიზისის მდგომარეობას (X ფაქტორი).

1.4 ფსიქოლოგიური ოჯახი

ორაზროვანი დანაკარგის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დაშვებაა, რომ ადამიანთა უმეტესობას იურიდიული ან ბიოლოგიური ოჯახის გარდა, ფსიქოლოგიური ოჯახიც აქვს და ის მნიშვნელოვანი რესურსია სტრესის დაძლევისთვის.

ოჯახის ტრადიციული დასავლური კონცეპტი ნუკლეარულ ერთეულს მოაზრებს, რომელიც დაქორწინებული ან თანაცხოვრებაში მყოფი წყვილისა და ბავშვებისაგან შედგება. თუმცა, დროთა განმავლობაში, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების კვალდაკვალ ოჯახის კონცეფციაც შეიცვალა. ერთი და იმავე კულტურის ფარგლებში მცხოვრები ადამიანები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებულად განსაზღვრავდნენ ოჯახს. ოჯახის თანამედროვე განმარტებები გულისხმობს სხვადასხვა ინტერპერსონალური ერთეულის, წევრებისა და კავშირების მრავალფეროვნებას. დასავლურ საზოგადოებაში ოჯახის ტრადიციული კონცეფციებისგან განსხვავებით, სადაც ოჯახის წევრობა მხოლოდ ბავშვისა და მშობლისგან შემდგარი დიადით განისაზღვრებოდა, ოჯახის თანამედროვე ცნება შეიძლება მნიშვნელოვნად სცილდებოდეს ამ შეზღუდულ დეფინიციას და მოიცავდეს, მაგალითად, გაფართოებულ და შერეულ ოჯახებს, დედმამიშვილებს, მშვილებლებს, აღსაზრდელებსა და ა.შ. (Mitchell, 2016).

ორაზროვანი დანაკარგის თეორიის ჭრილში, ფსიქოლოგიური ოჯახი გულისხმობს ინდივიდის რწმენას იმის თაობაზე, თუ ვინ არიან ოჯახის წევრები (Boss, 2006). ოჯახის ფსიქოლოგიური წევრები ფიზიკურად შეიძლება არც იყვნენ წარმოდგენილნი ოჯახში, ან არ იყვნენ ინდივიდის ბიოლოგიური ნათესავები. ფსიქოლოგიურ ოჯახში შეიძლება იგულისხმობდეს ის ოჯახი, სადაც დავიბადეთ, მაგრამ, შესაძლოა, ის იმ ადამიანების ერთობასაც მოიაზრებდეს, ვის გვერდით ყოფნასაც ვირჩევთ ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდებში. შესაბამისად, ფსიქოლოგიური ოჯახი შეიძლება შედგებოდეს მეგობრებისგან, მეზობლებისგან, რელიგიური ჯგუფის წევრებისა და სხვა

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ადამიანებისგან. როდესაც ბიოლოგიური ოჯახი მიუწვდომელია, სწორედ ეს ადამიანები გვთავაზობენ სოციალურ მხარდაჭერას.

როდესაც კონკრეტული ადამიანი ოჯახის სისტემიდან ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად იკარგება, დარჩენილი წევრების ფსიქოლოგიური ოჯახის განცდა ძლიერდება (Boss, 2006). ამ დროს ორგვარი განვითარებაა შესაძლებელი: პირველი, ისეთმა ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა დანაკარგებმა, როგორც ოჯახის წევრის უგზო-უკვლოდ დაკარგვა და დემენციაა, შეიძლება სრულიად უმოქმედო გახადოს ადამიანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის არ კარგავს იმედს, რომ ეს ადამიანი დაბრუნდება ან გამოჯანმრთელდება. სიტუაციას შეიძლება ართულებდეს ფიზიკურად ან გონებრივად დაკარგულ ადამიანზე გადაჭარბებული ფიქრი, რაც შეიძლება აწმყოში მყოფ ადამიანებსაც აშორებდეს ადამიანს. მეორე, შესაძლებელია ფსიქოლოგიური ოჯახი ორაზროვან დანაკარგთან გამკლავების საშუალებად მოგვევლინოს და, უმოქმედობის საპირისპიროდ, მოძრაობისა და წინსვლის მოტივატორი გახდეს (Boss, 2006). ფიზიკური განცალკევების მიუხედავად, ფსიქოლოგიურ ოჯახზე ფიქრმა და გონებაში გაცოცხლებამ, შეიძლება რთულ პერიოდებში დახმარება გაუწიოს ადამიანს და მარტოსულად არ აგრძნობინოს თავი (Boss, 2006).

მაშასადამე, ოჯახის ფიზიკური სტრუქტურა შეიძლება სრულად განსხვავდებოდეს ფსიქოლოგიური მოცემულობისგან. ფიზიკურად თუ გონებრივად გაუჩინარებული ადამიანები ხშირად ფსიქოლოგიურად ისევ ჩვენთან რჩებიან. ფსიქოლოგიური ოჯახი დიდ როლს ასრულებს ორაზროვან დანაკარგთან გამკლავებაში.

თავი 2 - საზღვრების ორაზროვნება

2.1 რა არის საზღვრების ორაზროვნება

ოჯახის საზღვრების ორაზროვნების თეორიული კონსტრუქტის შესახებ პირველი სამეცნიერო სტატია 1977 წელს გამოქვეყნდა. პოლინ ბოსმა საზღვრების ორაზროვნება განსაზღვრა, როგორც გაურკვეველობა იმის შესახებ, თუ ვინ და როდის არის ოჯახის სისტემაში ან რა როლები აქვთ მათ (Boss & Greenberg, 1984; Boss, Greenberg, & Pearce-McCall, 1990).

ოჯახის საზღვრების ორაზროვნების კონცეფცია ოჯახის სისტემის თეორიიდან მომდინარეობს (Bertalanffy, 1968) და სისტემისა და ქვესისტემების მონაწილე წევრებთან დაკავშირებულ პროცესებს (მაგ., წესებს, რიტუალებსა და როლებს) ეხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინ, როდის და როგორ მონაწილეობს ოჯახურ ცხოვრებაში (Minuchin, 1974). ოჯახი განიხილება, როგორც ქვესისტემებისგან შემდგარი ღია სისტემა. თითოეული ქვესისტემა ქმნის იმ პროცესების ერთობლიობას, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ ვინ იქნება ჩართული ამ ქვესისტემაში და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი მის გარეთ მყოფებთან (Nichols & Schwartz, 1995). შესაბამისად, ბუნდოვანმა საზღვრებმა ოჯახურ პროცესებსა და ურთიერთობებში დისფუნქცია შეიძლება გამოიწვიოს. ფართე განსაზღვრებით, ოჯახის საზღვრების ორაზროვნება „მდგომარეობაა, როდესაც ოჯახის წევრები გაურკვეველობაში იმყოფებიან და ზუსტად არ იციან, თუ ვინ არის ოჯახში ან მის გარეთ და ვინ რა როლებს და ამოცანებს ასრულებს ოჯახის სისტემაში“ (Boss & Greenberg, 1984, გვ. 536).

ორივე სახის ორაზროვან დანაკარგს აქვს პოტენციალი, წარმოქმნას საზღვრების მაღალი ხარისხის ორაზროვნება, ყველა თანმდევი უარყოფითი შედეგით (Boss, 2004). ბოსისა და თანაავტორების (Boss, Greenberg, & Pearce-McCall, 1990) მიხედვით, საზღვრების ორაზროვნება ორივე ტიპის (ფიზიკური და ფსიქოლოგიური) დანაკარგის შემთხვევაში შეიძლება შეინიშნებოდეს. დანაკარგის გამო აუცილებელი ხდება ოჯახის წესებისა და როლების (ანუ საზღვრების) გადაფასება. ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა (მაგალითად, როდესაც ოჯახს უგზო-უკვლოდ დაკარგული წევრი ჰყავს) გარდაუვალს

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ხდის წესებისა და როლების შეცვლას, თუმცა ოჯახის დაკარგული წევრის დაბრუნების შესაძლებლობა (ანუ შესაძლებლობა იმისა, რომ დაკარგული წევრი ცოცხალი აღმოჩნდეს და ოდესმე დაუბრუნდეს ოჯახს) ართულებს ოჯახის ახალი ოპერაციული სისტემისა და ახალი საზღვრებით ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მიღებას.

2.2 საზღვრების ორაზროვნების კვლევები

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახები. საზღვრების ორაზროვნების კონცეფციის აღწერა და ვალიდიზაცია იმ ოჯახების შესწავლით დაიწყო, რომელთა შემთხვევაშიც მამის/ქმრის ადგილსამყოფელი და სტატუსი (გარდაცვლილი თუ ცოცხალი) უცნობი იყო – ისინი ვიეტნამის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულებად იყვნენ მიჩნეულნი (Boss, 1975b, 1977). ამ კვლევებში საზღვრების ორაზროვნება ოპერაციონალიზებული იყო, როგორც ოჯახის წევრის, ამ შემთხვევაში მამის, ფსიქოლოგიური ყოფნის მაჩვენებელი, მიუხედავად მისი ფიზიკური არყოფნისა (ცნობილი, როგორც „მამის ფსიქოლოგიური არსებობა“). ამ კვლევაში შემოწმდა ფსიქოლოგიური ყოფნის სკალის (Psychological Presence Scale) (მოგვიანებით, საზღვრების ორაზროვნების სკალა, BAS) კონსტრუქციული ვალიდობა. ამავე კვლევამ აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი ოჯახის ფუნქციონირებასა და მამის ფსიქოლოგიურ ყოფნას შორის. ხუთი წლის შემდეგ განხორციელებული განმეორებითი კვლევის შედეგების (Boss, 1980) მიხედვით, ოჯახის დაკარგული წევრის ფსიქოლოგიური ყოფნის დაბალი მაჩვენებელი ამ ოჯახებში მეუღლისა და ოჯახის ფუნქციონირების დონის ყველაზე ძლიერი პრედიქტორია. ამასთან, მართალია, ოჯახის დაკარგული წევრის ფსიქოლოგიური ყოფნა მხოლოდ დაკარგული პირის მეუღლისეული სუბიექტური აღქმით იზომებოდა, აღმოჩნდა, რომ ცოლის მიერ დანაკარგის აღქმა მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორის როლს ასრულებს მთელი ოჯახის რეორგანიზაციის პროცესებში.

აღნიშნული კვლევის შემდეგ მკვლევრებმა საზღვრების ორაზროვნების ემპირიულ მტკიცებულებათა ბაზის შექმნა დაიწყეს და ეს კონსტრუქტი სტრესული სიტუაციების უფრო ფართო სპექტრის კვლევებისთვის გამოიყენეს.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ოჯახის წევრის გარდაცვალება. საზღვრების ორაზროვნება ოჯახის წევრის გარდაცვალების გამოცდილების მქონე ოჯახების შემთხვევაში იკვლიეს. ბლექბერნმა, გრინბერგმა და ბოსმა (Blackburn et al., 1987), მეუღლის გარდაცვალებიდან 6-12 თვის განმავლობაში, დაქვრივებული ქალების ფსიქოლოგიურ ოჯახში გარდაცვლილი მეუღლის ფსიქოლოგიური ყოფნის დონის შესამოწმებლად საზღვრების ორაზროვნების სკალის ადაპტირებული ვერსია გამოიყენეს. როგორც ჰიპოთეზაში იყო ნაგარაუდები, დაქვრივებიდან 6-12 თვის შემდეგ მნიშვნელოვნად იყო შემცირებული საზღვრების ორაზროვნება. კვლევაში მონაწილე ქალთა უმრავლესობამ ყოველგვარი გართულების გარეშე გამოიგლოვა გარდაცვლილი მეუღლე. შესაბამისად, არ დადასტურდა კავშირი, ერთი მხრივ, გარდაცვლილი მეუღლის ფსიქოლოგიურ ყოფნასა და, მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეთა თვითშეფასებასა და ფსიქოსომატურ ჩივილებს შორის. ეს შედეგები მკვეთრად განსხვავდება უგზო-უკვლოდ დაკარგული მამაკაცების მეუღლეთა კვლევით მიღებული მონაცემებისგან. მათ შემთხვევაში სიმპტომები მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგვიდან 3-5 წლის შემდეგაც კი იჩენდნენ თავს.

ეს განსხვავება დანაკარგისა და სიტუაციის თავისებურებით შეიძლება აიხსნას. ოჯახის გარდაცვლილი წევრი თვალსაჩინო, ცალსახად განსაზღვრული დანაკარგია, რაც გლოვის პროცესის დაწყება-დასრულების საშუალებას იძლევა. ამის საპირისპიროდ, ოჯახის წევრის უგზო-უკვლოდ დაკარგვა ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობას წარმოადგენს, როდესაც დანაკარგი ხელს უწყობს საზღვრების ორაზროვნების განვითარებასა და შემდგომი აღდგენითი პროცესების ბლოკირებას (Carroll et al., 2007).

ფრაიდიმ (Friday, 1985) საზღვრების ორაზროვნება ქალაქსა და სოფლად მცხოვრები, კვლევის მომენტისთვის 6-12 თვით ადრე დაქვრივებული 80 ქალისგან შემდგარ შერჩევაში იკვლია. კვლევამ არ გამოავლინა რაიმე განსხვავება სოფლად და ქალაქად მცხოვრებ ქვრივებს შორის. ქალები, რომლებსაც საზღვრების ორაზროვნების მაღალი დონე ჰქონდათ, ასევე მაღალი ჰქონდათ ქორწინებით კმაყოფილების და რელიგიურობის დონე. საზღვრების ორაზროვნება დადებითად უკავშირდებოდა გარდაცვალებამდე მეუღლის ავადმყოფობის ხანგრძლივობას და უარყოფითად – მეუღლის გარდაცვალებიდან გასული დროის ხანგრძლივობას, რაც იმაზე მიუთითებს,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

რომ ქალებს გარკვეული დრო დასჭირდათ დანაკარგის გამოგლოვებისა და ოჯახის სისტემის რესტრუქტურისთვის ანუ იმის მისაღწევად, რომ გარდაცვლილი მეუღლე აღარ ყოფილიყო ოჯახის სისტემის წევრი.

საერთო ჯამში, დაქვრივებული ქალების ორივე შერჩევაში, საზღვრების ორაზროვნების მაჩვენებელი უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მეუღლეების შერჩევაში. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ საყვარელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკარგი არ არის იგივე, რაც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობა (Carroll et al., 2007).

მოზარდის ფსიქოლოგიური ყოფნა ოჯახში. საზღვრების ორაზროვნება სახლიდან წასული მოზარდების მშობლების შერჩევაშიც იკვლიეს (Boss et al., 1987). მკვლევრებმა საზღვრების ორაზროვნება განსაზღვრეს, როგორც ფიზიკურად არარსებული ოჯახის წევრის ფსიქოლოგიური ყოფნა ოჯახში. საზღვრების ორაზროვნების მაღალი მაჩვენებელი მამებში სომატურ სიმპტომებს უკავშირდებოდა, რაც დანაკარგის სიტყვიერად ან აფექტურად გამოხატვის უნარის უქონლობაზე მიუთითებდა. საზღვრების ორაზროვნების მაღალი დონე დედებში მომატებულ სომატურ სიმპტომებსა და ორივე პარტნიორის ნეგატიურ აფექტურ მდგომარეობასთან იყო კავშირში.

მეორე კვლევა (Greenberg, 1988) შუა ხნის წყვილების დიდ შერჩევაზე ჩატარდა. კვლევაში მონაწილეობდნენ წყვილები, რომელთა მოზარდმა შვილებმაც გასული წლის განმავლობაში დატოვეს სახლი. კვლევის შედეგებით დადასტურდა ფსიქოლოგიური ყოფნის სკალის (Psychological Presence Scale) სანდობა და ვალიდობა. დამატებით, ოჯახის წევრის ფიზიკური არყოფნით, მაგრამ ფსიქოლოგიური ყოფნით გამოწვეული საზღვრების ორაზროვნება აფექტური და კოგნიტური კომპონენტებისგან შედგებოდა.

განქორწინება და ხელახალი ქორწინება. პირს-მაკკოლი (Pearce-McCall, 1988) იყო პირველი, რომელმაც საზღვრების ორაზროვნება განქორწინების კონტექსტში იკვლია. ამ კვლევისთვის საზღვრების ორაზროვნების ორიგინალური სკალის ორი მოდიფიცირებული ვარიანტი შეიქმნა: განქორწინებული მოზარდილებისთვის და განქორწინებული მშობლების შვილებისთვის (მოგვიანებით გამოქვეყნდა Boss, Greenberg, & Pearce-McCall, 1990). მკვლევრებმა შეისწავლეს, თუ როგორ უკავშირდება ოჯახის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

საზღვრების შესახებ ბავშვების შეხედულებები განქორწინების შემდგომ მათ ურთიერთობებს (Buehler & Pasley, 2000; Taanila, Laitinen, Moilanen, & Jarvelin, 2002) და კონფლიქტებს მშობლებთან (Iafrate, 1996). რიგი მკვლევრების ძირითად ინტერესს იმის შესწავლა წარმოადგენდა, თუ როგორ ახდენს გავლენას მიჯაჭვულობა და ინტერპერსონალური საზღვრების აღქმა განქორწინებული მშობლების პიროვნულ შეგუებაზე, მათ ერთმანეთთან ურთიერთობაზე და განქორწინების შემდგომ ძალისხმევაზე, ერთად გაუწიონ მშობლობა შვილებს (Madden-Derdich & Arditto, 1999; Madden-Derdich et al., 1999; Peterson & Christensen, 2002; Serovich et al., 1992). კაპლანმა, ჰენონმა და ადე-რიდერმა (Kaplan et al., 1993) გამოთქვეს მოსაზრება, რომ მეურვეობის გადაწყვეტილება, რომლებიც და-ძმებს ერთმანეთს ამორებს და სხვადასხვა მშობელს მიაკუთვნებს, შეიძლება უარყოფითად აისახებოდეს და-ძმის ურთიერთობასა და, ზოგადად, განქორწინების შემდგომ ოჯახის რეორგანიზაციის პროცესებზე.

რამდენიმე მკვლევარი ოჯახის საზღვრების იმ ცვლილებებით დაინტერესდა, რომელიც ხელმეორედ დაოჯახებას სდევს თან. პირველი ასეთი კვლევა პასლიმ და აიჰინგერ-ტალმანმა (Pasley, & Ihinger-Tallman, 1989) ჩაატარეს. მათი მიზანი მეორე ქორწინებაში მყოფ წყვილებში საზღვრების ორაზროვნების შესწავლა იყო. კვლევამ დაადასტურა წყვილებში ორაზროვანი საზღვრების არსებობა. მეუღლეები განსხვავებულად აღიქვამდნენ თავიანთი ოჯახის საზღვრებს და აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ ვინ მოიაზრებოდა ოჯახის საზღვრებში ანუ ვინ იყო ოჯახის წევრი. გარდა ამისა, შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ საზღვრების ორაზროვნება მეორე ქორწინებაში მყოფი მეუღლეებისგან შემდგარ ოჯახებს უფრო მეტად ახასიათებთ, ვიდრე პირველ ქორწინებაში მყოფ (Stewart, 2005). ასევე, გაირკვა, რომ ოჯახის მოწყობის სტრუქტურა და სირთულე გავლენას ახდენს ოჯახების საზღვრების ორაზროვნების დონეზე (Hobart, 1988; Pasley & Ihinger-Tallman, 1989; Rosenberg & Guttman, 2001; Stewart, 2005). გარდა ამისა, ცნობილია, რომ საზღვრების ორაზროვნება იმასაც უკავშირდება, თუ რამდენად ნათლად აღიქვამენ საკუთარი მშობლობის როლებს ხელმეორედ დაქორწინებული მეუღლეები (Whitsett & Land, 1992) და როგორ ფორმირდება წყვილების ურთიერთობები ხელმეორედ ქორწინებაში (Kheshgi-Genovese & Genovese, 1997).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ქრონიკული დაავადება. ალცჰეიმერის დაავადების მქონე ოჯახის წევრის მოვლა ერთ-ერთი ყველაზე სტრესული გამოწვევაა ოჯახისთვის (Carroll et al., 2007). კვლევის თანახმად (Zarit et al., 1980), მომვლელის მიერ განცდილი სტრესსა და დაძაბულობას (strain) არა მხოლოდ პაციენტის ფიზიკური მოვლის საჭიროება იწვევს, არამედ საზღვრების ორაზროვნებაც, რაც, თავის მხრივ, პაციენტის ფსიქოლოგიური დაკარგვის შედეგია.

ბოსმა და კოლეგებმა (Boss, Caron, Horbal, & Mortimer, 1990; Caron et al., 1999; Garwick et al., 1994; Kaplan & Boss, 1999; Sherman & Boss, 2007) გამოაქვეყნეს მთელი რიგი კვლევებისა, სადაც საზღვრების ორაზროვნების კონსტრუქტი იმ ოჯახების შერჩევაზე იკვლიეს, რომლებსაც ალცჰეიმერის დაავადების ან დემენციის სხვა ფორმის მქონე ოჯახის წევრი ჰყავთ. ფაქტობრივად, საზღვრების ორაზროვნების კონსტრუქტის დახვეწის პროცესში ბოსმა, გრინბერგმა და პირს-მაკკალმა (Boss, et al., 1990) ალცჰეიმერის დაავადების მქონე ოჯახის წევრის მაგალითი განიხილეს, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის პროტოტიპი, როდესაც ოჯახის წევრი ფიზიკურად ჯერ კიდევ იმყოფება, მაგრამ ფსიქოლოგიურად აღარ არსებობს ოჯახის სისტემაში (II ტიპი). საერთო ჯამში, ამ კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს კავშირი საზღვრების ორაზროვნებასა და დეპრესიას შორის.

2.3 საზღვრების ორაზროვნების გაზომვა

საზღვრების ორაზროვნების კონსტრუქტი და მისი გასაზომი ორიგინალური სკალა (BAS) (თავდაპირველი დასახელებით, „ფსიქოლოგიური ყოფნის სკალა“), კლინიკური დაკვირვების შედეგად, ინდუქციურად შემუშავდა (Boss, 1975a, 1975b), ხოლო მისი დედუქციური გადამოწმება ვიეტნამის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედროების (მამების/მეუღლეების) ოჯახების შერჩევაზე მოხდა (Boss, 1977; 1980). საზღვრების ორაზროვნების პირველი სკალა ეფუძნებოდა კონცეპტუალურ დაშვებას, რომ რაც უფრო მეტად გრძნობდა ოჯახი დაკარგული წევრის ფსიქოლოგიურ ყოფნას საკუთარ საზღვრებში, მით მეტი ორაზროვნება იყო სისტემაში, რის გამოც ოჯახს მეტად უჭირდა საზღვრების ამ ცვლილებასთან გამკლავება და მართვა. კერძოდ, საზღვრების

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ორაზროვნების პირველი სკალა მოიცავდა დებულებებს ოჯახის დაკარგულ წევრზე ფიქრებისა და განცდების შესახებ და არკვევდა იმას, თუ რამდენად მოქმედებდა რესპონდენტებზე ოჯახის დაკარგული წევრის ფსიქოლოგიური ყოფნა (Bagarozzi & Berry, 1990).

ამ ინსტრუმენტმა შემდგომში რამდენიმე განსხვავებულ ვერსიას დაუდო საფუძველი. ყველა მათგანი თვითანგარიშის სკალაა, რომელიც ოჯახის სისტემაში დაკარგული ადამიანის ფსიქოლოგიური ყოფნის ხარისხს ზომავს. დებულებები 4 ან 5-ქულიან ლაიკერტის სკალაზე ფასდება და თითოეულ მათგანზე გაცემული პასუხების დაჯამებით მიიღება ერთი ქულა. სხვადასხვა შერჩევაზე, კვლევათა უმეტესობის მიხედვით, ამ ინსტრუმენტების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი, ძირითადად, .70-ია (Bagarozzi & Berry, 1990). საზღვრების ორაზროვნების სკალების კონსტრუქციული ვალიდობა მთელი რიგი კვლევებით გადამოწმდა და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, მაგრამ დაბალი კორელაცია ($r = .20 - .30$), გამოვლინდა საზღვრების ორაზროვნებასა და ინდივიდუალურ და ოჯახის დისფუნქციას შორის (Boss, et al., 1990).

2.3.1. საზღვრების ორაზროვნების შესაფასებელი სკალები

საზღვრების ორაზროვნების შესაფასებლად 6 სხვადასხვა სკალა არსებობს, რომელთაგან თითოეული განსხვავებული გამოცდილების მქონე ადამიანების კონტექსტზეა მორგებული, თუმცა ყველა საზღვრების ორაზროვნების მხოლოდ ერთ ასპექტს – დანაკარგით გამოწვეულ ორაზროვნებას – ზომავს. ექვსიდან ხუთი სკალა ფიზიკური დანაკარგის გამოცდილებაზე ფოკუსირდება, მეექვსე კი – ალცჰეიმერის სკალა – ფსიქოლოგიური დანაკარგის გამოცდილებას მიემართება.

საზღვრების ორაზროვნების შესაფასებელი არსებული სკალებია: (ა) უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული მამაკაცის მეუღლისთვის განკუთვნილი სკალა (Boss, 1977) (დებულების მაგალითი: „ჯერ კიდევ მაინტერესებს, ჩემი ქმარი ცოცხალია თუ არა“); (ბ) ქვრივებისთვის განკუთვნილი სკალა (Blackburn et al., 1987; Friday, 1985) (დებულების მაგალითი: „თავს დამნაშავედ ვგრძნობ ახალი ადამიანის გაცნობის (ან პაემანზე წასვლის სურვილის) გამო“); (გ) სახლიდან წასული მოზარდების მშობლებისთვის განკუთვნილი სკალა (Boss et al., 1987; Greenberg, 1988) (დებულების

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მაგალითი: „ჩვენი ოჯახი საკმაოდ ბევრს საუბრობს მასზე“); (დ) სკალები განქორწინებული მშობლების მოზარდი და მოზრდილი შვილებისთვის (დებულების მაგალითი: „ვღელავ იმაზე, თუ რომელი ოჯახის წევრებთან უნდა ვიყო ან ვიქნები მნიშვნელოვან დღესასწაულებსა და განსაკუთრებულ შემთხვევებში“) და განქორწინებული მოზრდილებისთვის (Pearce-McCall, 1988) (დებულების მაგალითი: „ახლა, როდესაც თავს განქორწინებულს ვუწოდებ, თავს კარგად ვგრძნობ“) (ე) ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტების მომვლელებისთვის განკუთვნილი სკალა (Boss, Caron, Horbal, & Mortimer, 1990) („დიდი იმედი მაქვს, რომ დაუბრუნდება საკუთარ თავს“).

ვინაიდან ემიგრაციის გამოცდილების კონტექსტზე მორგებული ინსტრუმენტი არ არსებობდა, მისი შექმნა კვლევის ფარგლებში უნდა მომხდარიყო. სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი და სიახლე სწორედ საზღვრების ორაზროვნების ემიგრაციის კონტექსტზე მორგებული საკვლევი ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდაციაა.

თავი 3 - მედეგობა

3.1 მედეგობა და ორაზროვანი დანაკარგი

როგორც აღინიშნა, ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელის საფუძველი ოჯახის სტრესის კონტექსტუალური მოდელია, რომელიც მედეგობაზე დაფუძნებულ პერსპექტივას გვთავაზობს. ორაზროვანი დანაკარგის ნებისმიერ სიტუაციაში, განურჩევლად კულტურული განსხვავებებისა, რწმენისა და ღირებულებებისა, თერაპიული მიზანი მედეგობის შექმნა ხდება, რათა ინდივიდებმა და ოჯახებმა, ორაზროვნების მუდმივი სტრესის მიუხედავად, შეინარჩუნონ კარგად ყოფნის განცდა (Boss, Bryant, & Mancini, 2017).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია (APA, 2015) მედეგობას განსაზღვრავს, როგორც კარგად ადაპტირების პროცესს ისეთ რთულ ვითარებებში, როგორცაა ტრავმა, ტრაგედია, საფრთხე და სტრესის სხვა წყაროები – ოჯახის ან ურთიერთობების სტრესი, ჯანმრთელობის პრობლემები, სამსახურის ან ფინანსური სტრესორები. მედეგობა ნიშნავს რთული სიტუაციებიდან უკან, ჩვეულ მდგომარეობაში დაბრუნებას (“bouncing back”).

მედეგობის განმარტება დროთა განმავლობაში შეიცვალა და დაიხვეწა (Masten, 2011, 2014, 2015). სოციალურ მეცნიერებებში მედეგობის ადრეული განმარტებები აქცენტს იმაზე აკეთებდა, თუ რამდენად შეეძლო ინდივიდს რისკის ან სირთულეების ზემოქმედების მიუხედავად, ადაპტაციური ფუნქციების ოპტიმალური დონის შენარჩუნება ფუნქციონირების ერთ ან მეტ განზომილებაში. მედეგობის შესახებ კვლევების ძირითად მიზანს იმის შესწავლა წარმოადგენდა, თუ როგორ ადაპტირდებიან ადამიანები ეფექტურად სირთულეების პირობებში და როგორ ავითარებენ და ხვეწენ მედეგობის გაძლიერების გზებს (Masten, 2016).

ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში, მედეგობა უფრო ვიწროდ განიმარტება (Dahl & Boss, 2020). ბოსისთვის (Boss, 2006) მედეგობა ფსიქიკური ელასტიურობისა და მოქნილობის უნარია, რომელსაც ადამიანი ცხოვრებისეული ზეწოლისა და დამაბულობის საპასუხოდ იყენებს. როდესაც ორაზროვანი დანაკარგს ეხება საქმე, მედეგობა ორაზროვნების მიმართ მეტი ტოლერანტობის გამომუშავებას ნიშნავს, რაც სიტუაციის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

აღქმის შეცვლას გულისხმობს და, შესაბამისად, განსხვავდება დაძლევის კონცეფციისა ან აგენტობის ცნებისგან. მათთვის, ვინც ორაზროვან დანაკარგს განიცდის, მედეგობა პარადოქსული სიტუაციისა და დასრულების შეუძლებლობის მიღებას და, მიუხედავად ამისა, არსებულ ორაზროვნებასა და გაურკვევლობაში კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებას ნიშნავს (Dahl & Boss, 2020).

ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის მიმართ ტოლერანტობის გაზრდის კარგი მაგალითია დემენციის მქონე პირზე მზრუნველი ოჯახის წევრები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ისინი თანდათან უფრო მშვიდი და სტაბილური შინაგანი მდგომარეობისკენ მიდიან, ნაკლებად ბრაზდებიან თავიანთი ახლობლის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო და ხელეწიფებათ ორაზროვნებაში ცხოვრების მიღება. ასევე, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახები, რომლებიც არ ივიწყებენ საყვარელ ადამიანს, მაგრამ, ამავე დროს, ისე გადაალაგებენ თავიანთ ცხოვრებასა და აზროვნებას, რომ თან ახსოვდეთ დაკარგული ადამიანი და თან ცხოვრებაც განაგრძონ და წინ წავიდნენ, რათა შეძლონ ამ ადამიანის გარეშე შედარებით კარგი ცხოვრებით ცხოვრება (Dahl & Boss, 2020).

ამრიგად, ბოსი მედეგობის მისეულ კონცეფციაში აქცენტს აკეთებს ინდივიდების ან ოჯახების უნარზე, იცხოვრონ და იფუნქციონირონ კარგად, მიუხედავად უპასუხოდ დარჩენილი კითხვებით გამოწვეული მტკივნეული ორაზროვნებისა (Boss, 2016).

3.2 მედეგობის ხელისშემწყობი ფაქტორები

ბოსი (Boss, 2006; Boss & Yeats, 2014; Dahl & Boss, 2020) იმ ადამიანებისთვის მედეგობის გაძლიერების ექვს ხელისშემწყობ ფაქტორს აღწერს, რომლებიც მუდმივი სტრესისა და გადაუჭრელი მწუხარებით გამოწვეული მტკივნეული და უწყვეტი დანაკარგის სიტუაციაში ცხოვრობენ. ეს ფაქტორებია: საზრისის პოვნა, კონტროლის შეცვლა, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება, მიჯაჭვულობის გადასინჯვა და ახალი იმედის აღმოჩენა. ისინი თერაპიულ სახელმძღვანელო პრინციპებსაც წარმოადგენენ, როდესაც მიზანი ინდივიდების, წყვილებისა და ოჯახების მედეგობის განმტკიცებაა.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

საზრისის პოვნა. ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად გაუჩინარებული ახლობელი ადამიანის გამო გლოვა ლოგიკას ეწინააღმდეგება, რადგან რთულია იმის განსაზღვრა, რომ დანაკარგი რეალურად არსებობს. შესაბამისად, სიტუაციის ირაციონალურობა ინდივიდებს შექმნილ ვითარებაში საზრისის ძიებისკენ უბიძგებს (Boss & Yeats, 2014). ინდივიდები ხშირად სვამენ შემდეგ შეკითხვებს: „რატომ მოხდა ეს? შეიძლებოდა თუ არა თავიდან აცილება?“ თუმცა, ამ შემთხვევაში, მთავარი შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, ისაა, თუ რა მნიშვნელობის/საზრისის მატარებელია სიტუაცია ინდივიდისთვის (Dahl & Boss, 2020).

კონტროლის შეცვლა (Adjusting mastery). ორაზროვანი დანაკარგის არსებობის შემთხვევაში ინდივიდებს კონტროლის შეცვლა, გაზრდა ან შესუსტება, ეხმარება (Boss, 2013). ინდივიდებმა, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ პრობლემების გადაჭრას შეძლებენ, კონტროლის განცდა უნდა შეამცირონ, რათა ორაზროვან დანაკარგთან ერთად შედარებით უკეთესად იცხოვრონ, რადგან სიტუაცია მათ კონტროლს არ ექვემდებარება და ისინი ვერაფერს შეცვლიან. მეორე მხრივ, ზოგიერთი ინდივიდი სარგებელს კონტროლის გაძლიერებით მიიღებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისეთი ჯგუფის წევრები არიან, რომელთა უფლებებიც ისტორიულად იზღუდებოდა (Robins, 2010, 2013). მაგალითად, პატრიარქალურ საზოგადოებაში მცხოვრები სტატუსის და ძალაუფლების არმქონე ქალები, რომელთა მეუღლეებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ, საზოგადოების მხრიდან ხშირად განიცდიან შევიწროებას და მათ გადასარჩენად კონტროლის განცდის გაძლიერება უწევთ (Boss, 2013).

იდენტობის რეკონსტრუქცია. ორაზროვანი დანაკარგი ისეთი ურთიერთობების გაწყვეტას უკავშირდება, რომლითაც ინდივიდები საკუთარ თავს განსაზღვრავენ. ამიტომ საყვარელი ადამიანის ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად დაკარგვის შემდეგ ინდივიდმა ხელახლა უნდა განსაზღვროს ვინ არის ის ახლა (Dahl & Boss, 2020). ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს სტატუს კვოს შენარჩუნების ტენდენცია იმ იმედით, რომ ყველაფერი ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდება. სავარაუდოდ, ეს ასე არ მოხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია იდენტობის ხელახლა განსაზღვრა – ვინ არიან ისინი ახლა, რას აკეთებენ, როგორ ხედავენ საკუთარ თავს ოჯახსა და სოციალურ გარემოში. ამ შემთხვევაში ცვლილებისადმი რეზისტენტობა,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დახურვის/დასრულების მოლოდინი და სხვებისგან იზოლირება ხელს უშლის მედეგობის განმტკიცებას (Boss & Yeats, 2014).

ამბივალენტობის ნორმალიზება. ორაზროვნება, რომელიც დანაკარგის ირგვლივ არსებობს, წინააღმდეგობრივ, ამბივალენტურ ემოციებს იწვევს. ამ ემოციების უარყოფა და საკუთარი თავის ან სხვების მიმართ ბრაზი ხელს უშლის მედეგობის განმტკიცებას (Boss & Yeats, 2014). ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციების არსებობის ნორმალიზება, როდესაც არც ერთი მათგანის უარყოფის საჭიროება არ არის, ინდივიდებს და ოჯახებს მედეგობის შექმნაში ეხმარება (Dahl & Boss, 2020).

მიჯაჭვულობის გადასინჯვა. განურჩევლად იმისა, დანაკარგი ფიზიკურია თუ ფსიქოლოგიური, ინდივიდები და ოჯახები ფოკუსირებულები არიან იმაზე, თუ რა იყო დანაკარგამდე, ვერ თმობენ დაკარგული ადამიანის მიმართ მიჯაჭვულობას და თავს არიდებენ ახალ ურთიერთობებს (Boss, 2006; Boss & Yeats, 2014). რადგან ადრინდელისნაირი კავშირი უკვე შეუძლებელია და დაკარგული პირის გაშვებაც ვერ ხერხდება, საჭიროა მიჯაჭვულობის გადასინჯვა, რათა ინდივიდს დაკარგულ პიროვნებასთან მიმართებაში სიტუაციის დასრულება არ სჭირდებოდეს და არც – დანაკარგის უარყოფა (Boss, 2006). მიჯაჭვულობის გადასინჯვა გულისხმობს, რომ ოჯახის წევრებს შეუძლიათ დაკარგულ ადამიანთან კავშირის შენარჩუნება და ახალი ურთიერთობების წამოწყება დანაშაულის განცდის გარეშე (Dahl & Boss, 2020).

იმედის პოვნა. ოჯახებისთვის, რომლებიც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში იმყოფებიან, ახალი იმედების პოვნა და შენარჩუნება, შესაძლოა, შეუძლებელი აღმოჩნდეს. დანაკარგის შესახებ მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, იმედები ჩნდება და შემდეგ ისევ ნადგურდება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი იმედის აღმოჩენა არ დაასრულებს ტკივილს, მას შეუძლია ხელი შეუწყოს ინდივიდებს და ოჯახებს, იცხოვრონ კარგი ცხოვრებით, მიუხედავად დანაკარგისა, იქნება ეს აშკარა თუ ორაზროვანი (Dahl & Boss, 2020).

თავი 4 - ემიგრაციის ორაზროვანი დანაკარგი

4.1 ემიგრაციის გამოცდილება

ადამიანები სხვადასხვა მიზეზით ტოვებენ საკუთარ სამშობლოს (ემიგრაცია) და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადადიან (იმიგრაცია) (Solheim & Ballard, 2016). ძირითადი მოტივები შეიძლება ორ ფაქტორად გაიყოს: „ბიძგის მიმცემ“ („push“) ფაქტორებად ითვლება არახელსაყრელი პირობები სამშობლოში, რაც ემიგრაციის საჭიროებას ქმნის. ეს შეიძლება იყოს ეკონომიკური სიდუხჭირე, ან ფიზიკური საფრთხე. „მიმზიდველი“ („pull“) ფაქტორები დანიშნულების ქვეყანაში აღქმული ხელსაყრელი პირობებია (მაგ., განათლების ან დასაქმების შესაძლებლობები) (Solheim et al., 2012).

სოლჰაიმისა და ბალარდის (Solheim & Ballard, 2016) თქმით, ვინაიდან ადრე ემიგრაცია განიხილებოდა, როგორც „ცალმხრივი მგზავრობის ბილეთი“ (Karraker, 2012, გვ. 57), მეცნიერები ფოკუსირებულები იყვნენ ემიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ოჯახების, ან დანიშნულების ქვეყანაში ემიგრანტების ასიმილაციის ან აკულტურაციის კვლევებზე (მაგ., Portes & Puhmann, 2015; Rumbaut, 2015). შესაბამისად, უყურადღებოდ რჩებოდა სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ადამიანებს შორის დისტანციური ურთიერთობები. თუმცა, მოგვიანებით ეს მიდგომა შეიცვალა და მკვლევრებმა დაიწყეს ოჯახის წევრის ემიგრაციასთან დაკავშირებული ოჯახის წევრობის და ურთიერთობების ცვლილებების დინამიკის შესწავლა (მაგ., Karraker, 2012; Mazzucato & Schans, 2011; Trask, 2013).

ორაზროვანი დანაკარგის თეორია ოჯახის წევრობის და ოჯახის წევრების ურთიერთობების ცვლილების დინამიკის ახალი პერსპექტივიდან დანახვისა და გააზრების საშუალება იძლევა. XXI საუკუნეში სწრაფად მატულობს ისეთი ოჯახების რიცხვი, რომლის წევრებიც სხვადასხვა ქვეყანაში არიან გაფანტულნი, რაც შერეული (სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა) ქორწინებებით (Levchenko & Solheim, 2013) ან ნაწილობრივი (როდესაც ოჯახის ნაწილი მიდის ემიგრაციაში და ნაწილი სამშობლოში რჩება) ოჯახური ემიგრაციის შედეგია. ეს ოჯახები განაგრძობენ „ოჯახურ ურთიერთობებს და ინარჩუნებენ მშობლიურ განცდებსა და ემოციურ სიახლოვეს დიდ მანძილზეც კი“

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

(Mazzucato, 2015, გვ. 208) ოჯახური ურთიერთობები კი ნარჩუნდება ორ ან მეტ ქვეყანაში მცხოვრებ ოჯახის წევრებს შორის (Levitt & Schiller, 2004).

მკვლევრებმა შეისწავლეს, თუ როგორ წარმოქმნის ემიგრაცია მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგებს, რაც, თავის მხრივ, ემიგრაციით გამოწვეული მწუხარების გამოცდილების ანარეკლია (Jerves et al., 2019). ემიგრაციით გამოწვეული სევდა ნაწილობრივი, განმეორებითი და მრავალშრიანი შეიძლება იყოს: ნაწილობრივი, რადგან დანაკარგის ობიექტი სამუდამოდ არ ქრება და კვლავ რჩება ოჯახის გაერთიანების შესაძლებლობა. განმეორებადი, რადგანაც ხელახლა აქტიურდება სხვადასხვა გარემოებაში და მრავალშრიანი, რადგან ეს ეხება ოჯახთან, ქვეყანასთან, ენასთან, საზოგადოებასა და კულტურასთან დაკავშირებულ დანაკარგებს (Falicov, 2002).

დღესდღეობით ემიგრაციის ორაზროვანი დანაკარგის კვლევებში ერთ-ერთ ყველაზე ციტირებად წყაროს წარმოადგენს წიგნის თავი „ორაზროვანი დანაკარგი: რისკი და მედეგობა ლათინო ემიგრანტ ოჯახებში“ ფალიკოვის ავტორობით (Falicov, 2002), როგორც ორაზროვანი დანაკარგის თეორიის ინტეგრაცია ამ პოპულაციაში. რამდენიმე გამოქვეყნებულ ნაშრომში ორაზროვანი დანაკარგის თეორიული ჩარჩო ტრანსნაციონალური ოჯახების გამოცდილების კონტექსტში გამოიყენეს (Vargas, 2008; Sands & Roer-Strier, 2004; Rodriguez & Margolin, 2015; Solheim et al., 2016). სოლჰაიმმა და ბალარდმა (Solheim & Ballard, 2016) აჩვენეს, რომ ორაზროვანი დანაკარგი ნებაყოფლობითი ემიგრაციის შემთხვევაშიც არსებობს. პერეზმა (Perez, 2016) ყურადღება ემიგრანტთა და ლტოლვილთა კარგად ყოფნის განცდაზე გაამახვილა. მან ორაზროვანი დანაკარგის თეორიული ჩარჩო პოლიტიკური ემიგრაციის შედეგად სამშობლოდან და ოჯახიდან მოწყვეტილი ადამიანების მწუხარების აღსაწერად გამოიყენა. მოგვიანებით, არნოლდ-ბერკოვიცთან ერთად (Perez & Arnold-Berkovits, 2019) შემოგვთავა კონცეპტუალური ჩარჩო ორი განსხვავებული ემოციური გამოცდილების შესასწავლად: სამშობლოს ორაზროვანი დანაკარგი (ALH) და შედარებითი კმაყოფილება (Relative Satisfaction), რომელიც რეალურად მასპინძელი ქვეყნით კმაყოფილებასა და სამშობლოს მიმართ კმაყოფილების ინდექსებს შორის განსხვავებას წარმოადგენს. იმავე ავტორებმა წარმოადგინეს სამშობლოს ორაზროვანი დანაკარგის სკალა (PALH) (Perez & Arnold-Berkovits, 2019) ესპანურენოვანი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ემიგრანტების სამშობლოსთან კომპლექსური ფსიქოლოგიური კავშირების გასაზომად. სულ ახლახანს ჯერვსმა და კოლეგებმა (Jerves et al., 2019) ემიგრაციაში მყოფი მშობლების მოზარდი შვილების გამოცდილება იკვლიეს. კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდები თავიანთ მიგრანტ მშობლებთან ურთიერთობას დისტრესის და ემოციური ამბივალენტობის განმეორებით წყაროდ მიიჩნევდნენ, მათი გაერთიანების შესაძლებლობა კი გაურკვეველია და ორაზროვანი დანაკარგის გამოცდილებას ქმნის.

4.1.1. ემიგრაციით გამოწვეული ემოციური დანაკარგები

არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ემიგრაციას სხვადასხვაგვარი ემოციური დანაკარგი შეიძლება სდევდეს თან. ეს შეიძლება იყოს შემცირებული კონტაქტი საყვარელ ადამიანებთან და ნაკლები მხარდაჭერა მათგან, რაც წუხილის, ტანჯვისა და დანაკარგის განცდის საფუძველი ხდება (Antman, 2010; Sands & Roer-Strier, 2004; Şenyürekli & Detzner, 2008; Silver, 2011).

ემიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების კვლევები ადასტურებს ოჯახის წევრთან განშორებით გამოწვეული ამბივალენტობის, დანაკარგისა და ტკივილის არსებობას (Sands & Roer-Strier, 2004). მექსიკაში მცხოვრებ იმ ადამიანებს, ვისაც ოჯახის წევრები საზღვარგარეთ ჰყავდათ, დეპრესიისა და მარტოობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვისაც არ ჰყავდა ემიგრანტი ოჯახის წევრი (Silver, 2011). ბავშვებს, რომლებსაც მშობლები ემიგრაციაში ჰყავთ, დეპრესიის უფრო მეტი სიმკტომი აღენიშნებათ, ვიდრე იმ ბავშვებს, რომლებიც მშობლებთან ერთად წავიდნენ ემიგრაციაში (Suarez-Orozco et al., 2002).

ემიგრანტები მშობლების, პარტნიორების და შინ დარჩენილი ბავშვების უსაფრთხოებასა და კარგად ყოფნაზე დარდობენ. მათ ხშირად არ აქვთ ინფორმაცია ოჯახის შესახებ, რაც სტრესს იწვევს. მაგალითად, არ იციან როგორ არიან მათი მშობლები, პარტნიორები ან შვილები; აქვთ თუ არა მათ სათანადო საცხოვრებელი პირობები და საკვები; იღებენ თუ არა ისინი საჭირო სამედიცინო მომსახურებას. ემიგრანტები, რომლებიც ოჯახის ყველა წევრს სამშობლოში ტოვებენ და სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მარტო გადადიან, უფრო მეტ სტრესს განიცდიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ოჯახთან ერთად მიემგზავრებიან (Aroian & Norris, 2003). ოჯახის წევრების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ორაზროვნება იწვევს პრობლემებს, როდესაც ის ბლოკავს შემეცნებას, გადაწყვეტილების მიღებას, დაძლევისა და მწუხარებას (Boss, 2004). სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრები შეიძლება დარდობდნენ საყვარელი ადამიანის არალეგალური ემიგრანტის სტატუსის გამო (Solheim et al., 2016).

როგორც ჩანს, ემიგრაციის გამო დანაკარგის განცდა ისევე აქვთ თავად ემიგრანტებს, როგორც მათ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებს.

4.1.2. ემიგრაციით გამოწვეული საზღვრების ორაზროვნება

ემიგრაციის ორაზროვანი დანაკარგი საზღვრების ორაზროვნებას იწვევს, ვინაიდან საზღვარგარეთ მყოფი მშობლები, პარტნიორები ან/და შვილები ფიზიკურად არ არიან ინდივიდის სიახლოვეს, თუმცა ფსიქოლოგიურად განაგრძობენ მასთან ყოფნას (Boss, 2016). მიუხედავად იმისა, რომ ოჯახები იბრძვიან ფიზიკურად დაშორებული ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური ყოფნისა და როლის შენარჩუნებისთვის, ეს ურთიერთობები ორაზროვნებითაა გაჟღენთილი (Solheim et al., 2016).

როდესაც ოჯახის საზღვრები ორაზროვანია, ოჯახის წევრების მიერ შესასრულებელი როლები შეიძლება გაურკვეველი იყოს, შეფერხდეს გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო ოჯახის ყოველდღიური ამოცანები შეუსრულებელი დარჩეს (Boss, 2004). მაგალითად, შეიძლება პასუხისმგებლობები, რომლებიც ტრადიციულად ემიგრანტ მამას ეკისრებოდა, ახლა სამშობლოში დარჩენილმა დედამ აიღოს საკუთარ თავზე. ემიგრანტ მამაკაცს შეიძლება ტრადიციულად ქალის მიერ შესრულებული ისეთი ამოცანები დაეკისროს, როგორცაა კერძების მომზადება, დასუფთავება და რეცხვა (Pribilsky, 2004). ემიგრანტი დედების მცირეწლოვან ბავშვებს გარკვეული პერიოდის შემდგომ შეუძლიათ თავიანთი მიჯაჭვულობა სხვა აღმზრდელ პირზე გადაანაცვლონ, რომელსაც ხშირად დედას უწოდებენ (Dreby, 2007). ემიგრანტებმა შეიძლება განიცადონ სტრესი, რომ შორი მანძილიდან ვერ შეძლებენ თავიანთი როლების შესრულებას (Solheim et al., 2016).

ოჯახების დაშორების ხანგრძლივობა ხშირად ორაზროვანია. უმეტეს შემთხვევაში, ოჯახები თვლიან, რომ დაშორება დროებითი იქნება, მაგრამ ეს წლებიც შეიძლება

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

გაგრძელდეს. ტრანსნაციონალურ ოჯახებთან ჩატარებულ 17 ინტერვიუში აღმოჩნდა, რომ ოჯახის არც ერთ წევრს არ შეეძლო იმ კონკრეტული დროის დასახელება, როდესაც ისინი ერთ ოჯახად გაერთიანდებოდნენ (Solheim et al., 2016).

4.2. საზღვრების ორაზროვნების აღქმაზე მოქმედი ფაქტორები

საზღვრების ორაზროვნების განცდა რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული და, შესაბამისად, განსხვავდებოდეს ინდივიდის მიერ განცდილი საზღვრების ორაზროვნების ხარისხი.

ბოსმა (Boss, 2004) აღნიშნა, რომ „ორაზროვანი დანაკარგი პრობლემას არ წარმოადგენს ყველა ოჯახის ან ოჯახის წევრისთვის“ და ზოგიერთი ოჯახი დანაკარგთან ერთად უპრობლემოდ ცხოვრობს (გვ. 559). ზოგისთვის დანაკარგი მინიმალურია, ზოგ შემთხვევაში კი განშორების გამოცდილებამ, შესაძლოა, პირიქით, დადებითადაც იმოქმედოს და ოჯახის წევრებს გაუუმჯობესდეთ კიდევ ურთიერთობა (Montes, 2013). სოლჰაიმმა და ბალარდმა (Solheim & Ballard, 2016) აღნიშნეს, რომ ტრანსნაციონალურ ოჯახებში საზღვრების ორაზროვნების მაღალი ხარისხი, რაც თავის მხრივ, მეტი დისტრესის მომტანია, შეიძლება უკავშირდებოდეს ხისტ კულტურულ ნორმებს, ფიზიკური მანძილის გამო როლების შესრულების შეზღუდულ შესაძლებლობასა და გაურკვეველობას ოჯახის გაერთიანების ვადებთან დაკავშირებით.

4.2.1. კულტურული ნორმები

საზღვრების ორაზროვნება შეიძლება გაჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები ვერ შეძლებენ კულტურული ნორმებით განსაზღვრული როლების სათანადოდ შესრულებას (Solheim & Ballard, 2016). მაგალითად, მრავალი ემიგრანტის მშობლიური კულტურა უფრო კოლექტივისტურია, ვიდრე – ინდივიდუალისტური. ასეთ კულტურებში შვილებისა და უფროსი თაობის წევრების მოვლაზე პასუხისმგებლობა ოჯახის ყველა წევრს ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით კოლექტივისტური კულტურა როლების მოქნილობის შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, მშობლების გარდა, ოჯახის სხვა წევრებსაც შეუძლიათ აღმზრდელის როლის შესრულება),

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ემიგრაციაში წასული ოჯახის წევრის ვალდებულებები ოჯახის მიმართ არ წყდება, როდესაც ის გეოგრაფიულად შორდება ოჯახს. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსალოდნელია, რომ ბებია და ბაბუა მონაწილეობას მიიღებენ შვილიშვილების აღზრდაში და როლური მოლოდინების შესრულების შეუძლებლობამ, შესაძლოა, სტრესი გამოიწვიოს (Nesteruk & Marks, 2009).

საზღვრების ორაზროვნებაზე გენდერული ნორმებიც ახდენს გავლენას. თუ ისტორიულად ემიგრანტთა უმეტესობა მამაკაცი იყო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო მიგრაციის ანგარიშის მიხედვით (2019), უკვე გლობალურად ემიგრანტთა დაახლოებით ნახევარი ქალია. ქალთა ემიგრაციის მზარდი ტენდენცია მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ბავშვებისა და მოხუცების მომვლელეებზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა (Karraker, 2012). ემიგრანტი დედა, რომელიც სამუშაოდ მიემგზავრება იმისათვის, რომ უფრო განვითარებულ ქვეყანაში იმუშავოს ძიძად, იძულებულია, საკუთარ შვილებს დედობა შორი მანძილიდან გაუწიოს ან მათ მოვლაში სხვას გადაუხადოს.

დრები (Dreby, 2006) ამტკიცებს, რომ ემიგრაციის გადაწყვეტილებას ქალებისა და მამაკაცებისათვის განსხვავებული დატვირთვა აქვს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში მცხოვრებ იმიგრანტ დედებს დანაშაულის განცდა ჰქონდათ შვილების დატოვების გამო, ხოლო მამები აღნიშნავდნენ მარტოობის განცდას და გამოთქვამდნენ შვილების ნახვის სურვილს, მაგრამ არ ნანობდნენ ემიგრაციაში წამოსვლის გადაწყვეტილებას. კაცების შემთხვევაში საზღვრების ორაზროვნება ყველაზე მაღალი მაშინ შეიძლება იყოს, თუ გრძნობენ, რომ ვერ ასრულებენ ოჯახის მარჩენალის როლს. დრებიმ (Dreby, 2006) აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი მამა წყვეტს ოჯახთან კონტაქტს, თუ ფულის გაგზავნას ვერ ახერხებს. დედები აქტიურად ზრუნავენ, რომ აღმზრდელის როლი შორიდანაც შეასრულონ. პარენასმა (Parrenas, 2005) აჩვენა, რომ ფილიპინელი ემიგრანტი ქალები სამშობლოში დარჩენილ შვილებს აქტიურად უწევდნენ დედობას ხშირი სატელეფონო კონტაქტის, ემოციური მხარდაჭერის, ფინანსური დახმარებისა და ოჯახის ფინანსების მონიტორინგის გზით.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

განსხვავებული გენდერული როლებიდან გამომდინარე, ქალები, სავარაუდოდ, უფრო დიდ სტრესს განიცდიან ოჯახთან განშორების გამო, ვიდრე მამაკაცები (Solheim & Ballard, 2016). მექსიკაში მცხოვრები ქალები, რომლებსაც შეერთებულ შტატებში ჰყავდათ ოჯახის წევრები, უფრო მარტოსულად გრძნობდნენ თავს, ვიდრე კაცები (Silver, 2011). ბოსმა (1996) ვისკონსინში მცხოვრები შვეიცარიელი ემიგრანტების მარტოობისა და დანაკარგის გამოცდილება შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში ინკულტურაციის შედეგად ქალებმა უფრო მეტი სტრესი განიცადეს, უფრო იზოლირებულნი იყვნენ მეგობრებისა და ოჯახის სხვა წევრებისგან ბავშვზე ზრუნვის ვალდებულებების გამო და ნაკლებად ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა, ვიდრე კაცებს.

ამრიგად, გენდერული ნორმების გავლენით, საზღვრების აღქმული ორაზროვნება განსხვავებული შეიძლება იყოს ქალებსა და მამაკაცებში. თუ ქალები შვილების დატოვების გამო განიცდიან დანაშაულის განცდას და აქტიურად ცდილობენ, მანძილის მიუხედავად, დედობა გაუწიონ შვილებს, მამაკაცები არ ნანობენ ემიგრაციის გადაწყვეტილებას და შეიძლება კონტაქტი შეწყვიტონ ოჯახთან თუ მარჩენალის ფუნქციას ვერ შეასრულებენ. ასევე, ქალები აღნიშნავდნენ სტრესის და მარტოობის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე კაცები.

4.2.2. როლების შესრულების შესაძლებლობა

საზღვრების ორაზროვნებაზე გავლენას ახდენს, თუ რამდენად აქვთ გეოგრაფიული მანძილით დაშორებულ ოჯახის წევრებს ოჯახში დაკისრებული როლების შესრულების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ამ როლების შესრულების შესაძლებლობა, ოჯახთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნების ხელმისაწვდომობაზე, ფინანსურ სტაბილურობაზე, იურიდიულ სტატუსსა და ადეკვატურ სამუშაო პირობებზეა დამოკიდებული (Solheim & Ballard, 2016).

საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებები ხელს უწყობენ ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციას და ემოციური მხარდაჭერის მისაწვდომობას (Bacigalupe & Camara, 2012). ემიგრაციაში მყოფ მშობლებთან ხშირი სატელეფონო კონტაქტი დაკავშირებულია ოჯახის წევრებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების არსებობასა და სოციალური

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მხარდაჭერის ძიების სურვილთან (Graham et al., 2012; Harper & Martin, 2013). მექსიკაში მცხოვრებ ქალებს, რომლებსაც შეერთებულ შტატებში ჰყავდათ ოჯახის წევრები, დეპრესიის დაბალი დონე აღენიშნებოდათ, თუ სახლში ჰქონდათ ტელეფონი და შესაბამისად, ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობა (Silver, 2011), რაც მიანიშნებს, რომ ოჯახები, რომლებსაც უფრო თანმიმდევრული კონტაქტის შენარჩუნება შეუძლიათ, ნაკლებად განიცდიან ორაზროვან დანაკარგს (Solheim & Ballard, 2016).

ემიგრანტების მიერ მასპინძელ ქვეყანაში მიღებული შემოსავალი გავლენას ახდენს ოჯახის წევრებთან ფიზიკური კონტაქტის სიხშირეზე, რადგან შემოსავლის მაღალი დონე ოჯახის წევრებთან მეტი ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა (Solheim & Ballard, 2016). კვლევები აჩვენებს, რომ შემოსავალი დადებითად არის დაკავშირებული მიგრანტების სამშობლოში ვიზიტების სიხშირესთან (Fong et al., 2010; Waldinger, 2008). მაგალითად, ავსტრალიაში მცხოვრებ ემიგრანტ ქალებს შეეძლოთ ფინანსური დანაზოგის გაკეთება სამშობლოში მშობლების მოსანახულებლად (Wilding & Baldassar, 2009). მრავალი ლათინური წარმოშობის ემიგრანტი კი ვერ ახერხებს სამშობლოში ვიზიტს ფინანსური საშუალების არქონის გამო (Solheim et al., 2016).

არალეგალ ემიგრანტებს ოჯახის წევრების მონახულების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, რადგან არ შეუძლიათ თავისუფლად გადაკვეთონ საზღვარი (Menjivar, 2002; Solheim & Ballard, 2016).

ემიგრანტების მიერ ოჯახში როლების შესრულების შესაძლებლობას დასაქმების პირობებიც განაპირობებს. მაგალითად, ზოგიერთი დამსაქმებელი მოქნილ სამუშაო გრაფიკს სთავაზობს დასაქმებულებს, ხოლო სხვები – არა (Solheim et al., 2016). პარენასმა (Parrenas, 2005) აღნიშნა, რომ გამოცდილ პროფესიონალებს (მაგ., ექთნებს) უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ მოინახულონ შვილები სამშობლოში, ვიდრე ოჯახში დასაქმებულებს. ზოგიერთ ქვეყანაში ოჯახში დასაქმებულებისთვის დასვენების დღეები არარეგულარული და ცოტაა, რაც ზღუდავს ემიგრანტების შესაძლებლობას, აქტიურად ეკონტაქტონ თავიანთ ოჯახებს (Solheim et al., 2016).

ამრიგად, საზღვრების ორაზროვნება უკავშირდება გეოგრაფიული დაშორების მიუხედავად ოჯახური როლების შესრულების შესაძლებლობას. ის ინდივიდები,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ ოჯახთან მუდმივი კავშირი შეინარჩუნონ სატელეფონო კონტაქტის საშუალებით, აქვთ დასაქმების ადეკვატური გარემო, ფინანსური სტაბილურობა და ლეგალური სტატუსი და შეუძლიათ სამშობლოში ვიზიტი, ნაკლებად შეიძლება განიცდიდნენ საზღვრების ორაზროვნებას.

4.2.3. ოჯახის გაერთიანების შესაძლებლობა

ერთ ოჯახად გაერთიანების გაუთვალისწინებელი გახანგრძლივება ემიგრანტი მშობლისთვის სტრესის წყაროა, ბავშვებში კი ემიგრანტ მშობელთან ხანგრძლივი განშორება დეპრესიასა და შფოთვის უკავშირდება (Suarez-Orozco et al., 2011).

განშორების დროის გახანგრძლივებასთან ერთად, საზღვრების ორაზროვნებამაც შეიძლება იმატოს (Solheim & Ballard, 2016). რაც უფრო მეტ ხანს რჩებიან მშობლები და შვილები ცალ-ცალკე, მით უფრო სავარაუდოა, რომ ბავშვები შემცვლელ აღმზრდელებს მიეჯაჭვებიან. ასევე, მოსალოდნელია, რომ მშობლები განშორების ანდა ხელახლა დაქორწინების გადაწყვეტილებას მიიღებენ, რაც, თავის მხრივ, შეცვლის ოჯახის საზღვრებს. გარდა ამისა, ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა უკავშირდება მასპინძელი ქვეყნის კულტურისა და ჩვეულებების მეტად ათვისებას. ამრიგად, ოჯახის წევრები შეიძლება დაშორდნენ არა მხოლოდ გეოგრაფიული მანძილით, არამედ კულტურული ღირებულებებითაც.

მამასადამე, განშორების ხანგრძლივობამ და ოჯახის გაერთიანების შესახებ არსებულმა ორაზროვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საზღვრების ორაზროვნების გაზრდა.

თავი 5 - თვისებრივი კვლევის საკითხის განსაზღვრა

თეორიის გადამუშავების და თეორიული ცოდნის დაგროვების კვალდაკვალ, მომრავლდა ორაზროვანი დანაკარგის ემპირიული კვლევები, მათ შორის, ემიგრაციის გამოცდილების კონტექსტში; თუმცა, ამ უკანასკნელის შესახებ არსებული კვლევები, ძირითადად, თვისებრივ მონაცემებს ეყრდნობა და ორაზროვანი დანაკარგი რაოდენობრივად, ფაქტობრივად, არ გაუზომიათ და არც მისი სხვა ცვლადებთან მიმართება უკვლევიან.

არსებული ლიტერატურა აჩვენებს, რომ ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინდივიდებისა და ოჯახებისთვის და ემიგრაციის გამოცდილება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა.

სწორედ ემიგრაციის კონტექსტში ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის შესწავლა წარმოადგენს წინამდებარე კვლევის მიზანს. კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: აქვთ თუ არა ემიგრანტებს დანაკარგის განცდა და რამდენად განიცდება ეს დანაკარგი ორაზროვან დანაკარგად? ემიგრაციის კონტექსტში ხდება თუ არა ოჯახის საზღვრები ორაზროვანი და როგორ ვლინდება ეს? ვინ არიან ემიგრანტების ფსიქოლოგიური ოჯახის წევრები და რა როლი აქვთ მათ? როგორ გამოიხატება მედეგობა და რა ფაქტორები განსაზღვრავს მედეგობას ემიგრანტებისთვის? საერთო ჯამში, რომელი კომპონენტები/ცვლადები შეიძლება უკავშირდებოდეს კარგად ყოფნის განცდას?

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ორაზროვანი დანაკარგის თეორიას (Boss, 1999, 2006) და ძირითადი მიზანია, ერთი მხრივ, ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელის ემიგრანტების გამოცდილებაზე მორგება და, მეორე მხრივ, კვლევის მეორე, რაოდენობრივი ნაწილისთვის საფუძვლის მომზადება საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლადების მოძიებით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- სემისტრუქტურული ინტერვიუსთვის გაიდის შემუშავება;
- მიზნობრივი აუდიტორიის და კვლევის პროცედურის განსაზღვრა;

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

- ინტერვიუს საფუძველზე მიღებული თვისებრივი მასალის ტრანსკრიპტების სახით დაწერა;
- ორაზროვანი დანაკარგის, საზღვრების ორაზროვნების, ფსიქოლოგიური ოჯახისა და მედეგობის შესწავლა;
- ორაზროვან დანაკარგს, საზღვრების ორაზროვნებას, ფსიქოლოგიურ ოჯახსა და მედეგობას შორის ურთიერთმიმართების დადგენა;
- იმ ცვლადების გამოყოფა, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდასა და ორაზროვან დანაკარგს შორის ურთიერთკავშირში;

თავი 6 - თვისებრივი კვლევა. კვლევის მეთოდი

6.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ტექნიკა კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად განისაზღვრა. შესაბამისად, მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია ინტერპრეტაციული პარადიგმა, ხოლო შედეგების ნაწილს ინტერპრეტაციული ანგარიშის ფორმა აქვს და უხვად არის გაჯერებული ინტერვიუებიდან ამონარიდებით.

6.2. კვლევის მონაწილეები

6.2.1. სამიზნე ჯგუფის შერჩევა: კრიტერიუმები და რეკრუტირება

კვლევის სამიზნე ჯგუფს იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ქალები წარმოადგენენ. კვლევის მონაწილეები ხელმისაწვდომი შერჩევისა და თოვლის გუნდის პრინციპით ორი კრიტერიუმის მიხედვით შეირჩნენ: (ა) ის მინიმალური დრო, რომელიც რესპონდენტს გატარებული უნდა ჰქონოდა ემიგრაციაში და (ბ) უცხო ქვეყანაში მართო თუ ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა. კერძოდ, ემიგრაციაში ყოფნის მინიმალურ ვადად განისაზღვრა 1 წელი, რაც საკმარისი დროა იმისათვის, რომ რესპონდენტს უკვე ჰქონდეს ახალ ქვეყანაში ცხოვრების გარკვეული გამოცდილება. გარდა ამისა, ვინაიდან ემიგრაციას ფიზიკურ დანაკარგად განვიხილავთ, რესპონდენტი მასპინძელ ქვეყანაში მართო ან ოჯახის წევრების მხოლოდ ნაწილთან ერთად უნდა იმყოფებოდეს.

რესპონდენტთა მოსაძიებლად თავდაპირველად დავუკავშირდი პირად კონტაქტს, რომელმაც რამდენიმე ადამიანის საკონტაქტო ინფორმაცია მომაწოდა. პარალელურად მოვიძიე ქართველი ემიგრანტების ძირითადი შეკრების ადგილები – ქართული ეკლესია და გზავნილების ტრანსპორტირების ოფისი. კონტაქტის მოპოვებისა და ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, თითოეული რესპონდენტი ხდებოდა დამაკავშირებელი რგოლი შემდეგ პოტენციურ კვლევის მონაწილესთან.

6.2.2. რესპონდენტები

ვინაიდან იტალია ქართველი შრომითი მიგრანტების ერთ-ერთ პოპულარულ დანიშნულების ქვეყანას წარმოადგენს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019), კვლევის მონაწილეებად სწორედ იტალიაში მცხოვრები და დასაქმებული ქართველი ქალები შეირჩნენ. კვლევაში იტალიაში მცხოვრები, 15 ემიგრანტი ქალბატონი მონაწილეობდა, რომელთა ემიგრაციაში წასვლის მიზეზი ოჯახში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობები (გადაუხდელი ვალები, ცუდი საცხოვრებელი პირობები და შვილებისთვის განათლების უზრუნველყოფისთვის საჭირო სახსრების უქონლობა) იყო. სწორედ ოჯახში შექმნილმა ეკონომიკური სიტუაციამ უბიძგა მათ, რომ ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილების მიუღოთ და ხშირ შემთხვევაში, ეს ერთადერთ გამოსავლად ესახებოდათ.

თხუთმეტი რესპონდენტიდან ათი იყო დაოჯახებული, ოთხი განქორწინებული და ერთი ქვრივი. საშუალო ასაკი იყო 47.5 (დიაპაზონი 29 – 63 წელი). ყველა მათგანი იყო ეროვნებით ქართველი. ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა საშუალოდ 6.1 წელს შეადგენდა (დიაპაზონი 2 – 14 წელი). 10 რესპონდენტი არალეგალურად იმყოფებოდა ქვეყანაში, რადგან არ ჰქონდათ იტალიაში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი, 4 რესპონდენტს ჰქონდა ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლების დამადასტურებელი სხვადასხვაგვარი საბუთი. ერთის შემთხვევაში ვერ მოხერხდა ამ ინფორმაციის მოპოვება (ცხრილი N1).

ცხრილი N 1. თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დემოგრაფიული მონაცემები

რესპონდენტი	ასაკი (წლები)	ოჯ. მდგომარეობა	ემიგ. ყოფნის დრო (წლები)	საბუთი
ანა	41	განქორწინებული	7	არა
დოდო	63	დაოჯახებული	7	არა
ეკა	53	ქვრივი	6	კი
თამარა	53	დაოჯახებული	8	კი
კესო	33	დაოჯახებული	6	არა
ლელა	49	განქორწინებული	14	კი
ლიკა	29	დაოჯახებული	5	კი
მაკა	40	დაოჯახებული	2	არა
მეგი	53	განქორწინებული	5	არა
მედეა	46	დაოჯახებული	7	არა
ნაზი	38	განქორწინებული	4	არა
ნათია	53	დაოჯახებული	4	-
ნანი	58	დაოჯახებული	5	არა
ნატო	60	დაოჯახებული	8	არა
ნინო	43	დაოჯახებული	4	არა

6.3. ინსტრუმენტი

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს ქართული მოდიფიცირებული ვარიანტი (ხეჩუაშვილი, 2020; McAdams, 2006) (იხ. დანართი N2) ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუა, რომელშიც რესპონდენტს სთხოვენ თავის ცხოვრებაზე, როგორც წიგნზე, დაფიქრდეს და მასში გამოყოს თავები, დაასათაუროს და თითოეული მოკლედ აღწეროს. შემდეგ რესპონდენტი საუბრობს რვა კონკრეტულ მოგონებაზე, რომლებსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მის ცხოვრებაში ან წარმოადგენენ

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

თვითგანმსაზღვრელ მოვლენებს⁷. თითოეული მოგონება რესპონდენტმა დეტალურად უნდა აღწეროს და მისი ერთიანი ცხოვრების ისტორიის კონტექსტში მიანიჭოს მნიშვნელობა. შემდეგ მონაწილეს სთხოვენ, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების შესახებ ისაუბროს, აღწეროს ყველაზე პოზიტიური და ნეგატიური პერსონაჟები თავის ისტორიაში და ცხოვრების მომავალი თავებიც მოხაზოს. ინტერვიუს დასასრულს რესპონდენტს სთხოვენ საკუთარი მონათხრობის გადახედვას და ცენტრალური თემის ანუ შეტყობინების გამოყოფას (Crossley, 2011; McAdams, 2006).

ინტერვიუს ქართული ადაპტირებული ვარიანტი უკვე არსებობს და სისტემატურად გამოიყენება საქართველოში წარმოებულ კვლევებში (მაგალითისთვის იხ. ხეჩუაშვილი, 2016; 2020; ჯანანაშვილი, ხეჩუაშვილი & გოგიჩაიშვილი, 2018).

ინტერვიუს სტანდარტული ოქმი მოდიფიცირდა წინამდებარე კვლევის მიზნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ინტერვიუ მოიცავს: (ა) შესავალ ნაწილს, რომელიც რესპონდენტის მხრიდან მოითხოვს თავის ცხოვრებაზე, როგორც წიგნზე, ისე დაფიქრდეს და მასში გამოყოს თავები; (ბ) ინტერვიუს სტანდარტული ვარიანტისგან განსხვავებით, მონაწილე ხუთ ძირითად სცენას ანუ ეპიზოდს აღწერს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ემიგრაციაში ცხოვრების განმავლობაში. აქ შედის გამორჩეულად დადებითი, უარყოფითი და გადამწყვეტი მომენტები, ცხოვრებისეული გამოწვევა, დანაკარგი, მარცხი და სინანული; (გ) ინტერვიუს შემდეგი ბლოკი რესპონდენტის ამჟამინდელ, აწმყო გამოცდილებაზე, ყოველდღიურ ყოფასა და ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავების გზებს შეეხება, რომელიც არ გვხვდება ინტერვიუს სტანდარტულ ვარიანტში. ასევე, ინტერვიუს გზამკვლევაში წარმოდგენილია კითხვები ოჯახის წევრების შესახებ, თუ მანამდე რესპონდენტი თავად არ ისაუბრებს ამ თემაზე. ინტერვიუს შემდეგი ნაწილი მომავლის გეგმებსა და მიზნებს შეეხება; (დ) ინტერვიუს დასასრულს მონაწილეს მოეთხოვება თავისი მონათხრობის გადახედვა და შეჯამება.

⁷ უაღრესად მნიშვნელოვანი პირადი მოგონება, რომელიც ნათლად ახსოვს ადამიანს და ემოციური ინტენსივობით ხასიათდება (Blagov & Singer, 2004).

6.4. მონაცემების შეგროვების პროცედურა

ინფორმირებული თანხმობა (იხ. დანართი N1). პირველადი (სატელეფონო ან პირისპირ) კონტაქტის დროს კვლევის პოტენციურ რესპონდენტებს მიეწოდებოდათ დეტალური ინფორმაცია კვლევის მიზნების, ინტერვიუს შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, ეცნობებოდათ, რომ ინტერვიუ იქნებოდა ანონიმური და კონფიდენციალური და არ მოითხოვდა ისეთი პერსონალური ინფორმაციის მიწოდებას, როგორცაა სახელი და გვარი. მონაწილეებს ეცნობებოდათ თავიანთი უფლებების შესახებ, უარი ეთქვათ ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემაზე და შეეწყვიტათ ინტერვიუ ნებისმიერ დროს. ზეპირი თანხმობის მიღების შემდეგ თანხმდებოდა ინტერვიუს დრო და ადგილი. შეხვედრისას კვლევის მონაწილეები უკვე წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ფორმას ეცნობოდნენ და ხელმოწერით ადასტურებდნენ თანხმობას მონაწილეობაზე.

ინტერვიუს დრო და ადგილი. თითოეული ინტერვიუ საშუალოდ 60-70 წუთს გრძელდებოდა. ინტერვიუები ჩაიწერა 2019 წლის სექტემბერში იტალიაში, ქალაქ რომში ემიგრანტების შეკრების ადგილებში (ძირითადად, ეს იყო ორი კაფე, რომლებიც დასვენების დღეებში ემიგრანტების თავშეყრის ადგილს წარმოადგენს) მათთვის სასურველ დროს.

გაკეთდა ინტერვიუების აუდიოჩანაწერები, რომლებიც შემდგომი ანალიზისთვის ვერბატიმ ტრანსკრიპტების სახით დაიწერა.

6.5. მონაცემების ანალიზი

მონაცემების ანალიზი რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: ანალიზის სტრატეგიის შერჩევა, მოსამზადებელი ეტაპი, კატეგორიზაციის მატრიცის შემუშავება, მონაცემთა სანდოობის გადამოწმება, ინტერვიუების კოდირება და თემატური ანალიზი.

6.5.1. მონაცემთა ანალიზის სტრატეგია

კვლევის მონაცემების დამუშავების სტრატეგიად შეირჩა დედუქციური კონტენტ ანალიზი. ეს მეთოდი (Elo & Kyngas, 2008) გულისხმობს მონაცემების ანალიზს უკვე არსებული კონცეპტუალური ან თეორიული ჩარჩოს გამოყენებით და მიზნად ისახავს მოდელის გაფართოებას არსებული კონცეფციებისთვის ახალი ხედვისა და გაგების დამატებით, მოდელის ვარგისიანობის შემოწმებას განსხვავებულ გამოცდილებებზე მორგებით ან ახალი კვლევითი კითხვების წარმოქმნას.

6.5.2. მოსამზადებელი ეტაპი

დედუქციური კონტენტ ანალიზისთვის თვისებრივი შინაარსის ანალიზის ერთეულად განისაზღვრა ამბავი (ერთ კითხვაზე პასუხად მოთხრობილი ერთი ამბავი).

მონაცემთა სანდოობის უზრუნველსაყოფად, მოსამზადებელი ეტაპიდან კოდირების (იხ. ქვემოთ) ნაწილის ჩათვლით, მნიშვნელოვანია მონაცემთა ანალიზი მინიმუმ ორმა მკვლევარმა გააკეთოს (ხეჩუაშვილი, 2020). ამიტომ მონაცემთა დამუშავებაზე მუშაობდა ორი მკვლევარი ხელმძღვანელთან ერთად. ანალიზის დაწყებამდე, თითოეულმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რამდენჯერმე წაიკითხა თითოეული ინტერვიუს ტრანსკრიპტი მონაცემებისა და მთლიანი კონტექსტის გასაცნობად. შემდეგი ეტაპი შეხვედრის ფარგლებში რეფლექსიებსა და თავდაპირველ იდეებზე მსჯელობას დაეთმო. თითოეულმა კომენტარი გააკეთა იმ თემებსა და კონცეფციებზე, რომლებიც აშკარა იყო ნარატივების წაკითხვის შემდეგ. თითოეულმა ინდივიდუალურად, შემდეგ კი – ერთობლივად, შეაფასა მონაცემებში ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელის სტრუქტურები და პროცესი.

6.5.3. კატეგორიზაციის მატრიცა

დედუქციური კონტენტ ანალიზის შემდეგი ეტაპი კატეგორიზაციის მატრიცის ანუ კოდირებისთვის განკუთვნილი საწყისი კატეგორიების ცხრილის შექმნაა, რომელიც თეორიის იმ ძირითად კონსტრუქტებს ასახავს, რომელსაც ვეძებთ ნარატივებში (Elo &

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

Kyngas, 2008; Hsieh & Shannon, 2005; Kohlbacher, 2006; Potter & Levine-Donnerstein, 1999). კატეგორიზაციის მატრიცის ასაგებად, ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელიდან აირჩა ოთხი ძირითადი კონსტრუქტი: დანაკარგი, ფსიქოლოგიური ოჯახი, საზღვრების ორაზროვნება და მედეგობა, რომელთაც დაემატა ექვსი თემა, რომლებიც ორაზროვან დანაკარგთან გამკლავების გზებს ასახავს. ესენია საზრისის ძიება/პოვნა, კონტროლის შეცვლა, მიჯაჭვულობების გადასინჯვა, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება და იმედი (Boss, 2006).

შემდეგ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო ცნებების ოპერაციონალიზაციაზე შეთანხმება და კოდირების სახელმძღვანელოს შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ორაზროვანი დანაკარგის ძირითადი კონსტრუქტები განსაზღვრულია თეორიულ ჩარჩოში, დედუქციური კონტენტ ანალიზისთვის საჭიროა კატეგორიის მატრიცაში წარმოდგენილი თემების განსაზღვრებების გადახედვა (Kohlbacher, 2006). ამისათვის გაიწვრთნენ შემფასებლები, რომელთაც იმუშავეს კოდირების ეტაპზე.

6.5.4. მონაცემთა სანდოობა

სანდოობის მაღალი მაჩვენებლის (მინიმუმ 0.6) მიღწევის მიზნით (ხეჩუაშვილი, 2020), განხორციელდა შემდეგი ეტაპები: (1) წავიკითხეთ კატეგორიზაციის მატრიცაში მოცემული კოდების დეფინიციები, რათა ცხადი ყოფილიყო კოდების შექმნის საფუძვლად მდებარე ლოგიკა. (2) ორმა მკვლევარმა ერთად განვიხილეთ რამდენიმე ინტერვიუ, რათა განგვესაზღვრა, როგორ უნდა მიგვესადაგებინა კატეგორიზაციის მატრიცაში შეტანილი თემები ინტერვიუების შინაარსთან. უთანხმოების შემთხვევაში განხილვაში ერთვებოდა სამეცნიერო ხელმძღვანელი და გარჩევა გრძელდებოდა კოდირების სისტემაზე საბოლოოდ შეთანხმებამდე. (3) შეთანხმებულობის ადეკვატური მაჩვენებლის ($k \geq .70$) მიღწევის შემდეგ, ორმა მკვლევარმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადააკოდირა ერთი და იგივე ინტერვიუ, კატეგორიზაციის მატრიცაში აღწერილი თემების მიხედვით. (4) კოდის მინიჭების შემდეგ ერთსა და იმავე კატეგორიაში გაერთიანებული ნარატივები მოგვიანებით მკვლევარებმა ერთობლივად განიხილეს იმის დასადასტურებლად, რომ

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

კოდის ქვეშ ნამდვილად ერთი შინაარსის მქონე ნარატივები იყო მოქცეული და ადგილი არ ჰქონდა განსვლას.

6.5.5. კოდირება

ცვლადებისა და გადასაკოდირებელი ერთეულების ოპერაციონალიზაციაზე შეთანხმების შემდეგ, შევიმუშავეთ კოდირების სახელმძღვანელო და ნარატივებში გადავაკოდირეთ კატეგორიზაციის მატრიცაში მოცემული შემდეგი თემები: დანაკარგი, ფსიქოლოგიური ოჯახი, საზღვრების ორაზროვნება, მედეგობა, საზრისის ძიება/პოვნა, კონტროლის შეცვლა, მიჯაჭვულობები, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება და იმედი.

6.5.5.1. კოდირებული მოგონებები

დანაკარგი. ნარატივში საუბარი იყო დანაკარგის განცდაზე, თუ მონაწილე ექსპლიციტურად აღწერდა მის არსებობას და ის პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებოდა ემიგრაციაში წასვლასა და/ან ცხოვრებას. მაგალითად, რესპონდენტი შეიძლება დანაკარგს უწოდებდეს ემიგრაციაში ყოფნას ან ემიგრაციაში ყოფნის გამო ოჯახის წევრებთან დაშორებას:

რვა წელიწადია მოწყვეტილი ვარ ჩემს ოჯახს. ეს ცოტა დრო არ არის. ეს დრო დაკარგულია და ამას ვერაფერი შეცვლის, ვერ აანაზღაურებს. დაკარგული დროის განცდა დამყვება ყოველთვის. კი, რაღაც შევიძინე, მაგრამ უფრო მეტი დაკარგე. ეს დაკარგული დრო არის სანანებელი. ყველა წუთი დაკარგულია, რომელიც ოჯახის წევრების გარეშე გავატარე. ამ დაკარგულ წუთებს და დროს ვნანობ, მეტს არაფერს (თამარა, 53).

ფსიქოლოგიური ოჯახი. ნარატივში საუბარი იყო ფსიქოლოგიურ ოჯახზე, თუ მონაწილე საუბრობდა ოჯახზე, რომელიც საქართველოში დატოვა: „ამ წუთებში მხოლოდ შვილების სიყვარული მაძლიერებს და ის ფიქრი, რომ რაც გავაკეთე, ჩემი შვილებისთვის გავაკეთე. ერთი წუთით არ ვნანობ, რომ მათი გულები გავახარე, დავეხმარე და დღეს ჩემი შვილები ქუჩაში არ არიან“ (კესო, 33). ასევე, თუ რესპონდენტი საუბრობს იმ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე, რომლებიც მისთვის არა მხოლოდ ბიოლოგიური და სამართლებრივი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ერთეულით განსაზღვრულ ოჯახს ქმნიან, არამედ მისთვის მხარდაჭერის, ზრუნვისა და ემოციური უკუკავშირის მიღების წყაროსაც წარმოადგენენ:

გვიჭირს აქ, მაგრამ ვუმკლავდებით. ხუთი მეგობარი ვართ შეკრებილი, რომლებიც მხარში ვუდგავართ ერთმანეთს, ვამხნევებთ და ვცხოვრობთ ერთმანეთით. ასე ვაძლიერებთ ერთმანეთს. ერთმანეთს გვერდით ვუდგავართ ჭირშიც და ლხინშიც. ჩვენ ჩვენი სამყარო შევქმენით აქ (ნანი, 58).

საზღვრების ორაზროვნება. ნარატივში მოცემული იყო საზღვრების ორაზროვნება თუ მონაწილე საუბრობდა გაურკვევლობაზე ოჯახის სისტემაში საკუთარი ადგილისა და როლის შესახებ, ოჯახის წევრების მხრიდან მის მიმართ არსებულ მოლოდინებსა და ფსიქოლოგიურ გაუცხოებაზე: „პრობლემები იყო ოჯახში, გაუცხოება იყო მეუღლესთანაც, დედასთანაც და დასთანაც, მე რაღაცები სხვანაირად მომწონდა, ისინი არ იყვნენ ამაზე თანახმა, მერე კონფლიქტი მომდიოდა, ვერ ეგუებოდნენ“ (კესო, 33).

მედეგობა. ნარატივში მოცემული იყო მედეგობა, თუ მონაწილე საუბრობდა უარყოფით გამოცდილებასთან გამკლავებისა და სტრესული სიტუაციიდან გამოსვლის უნარზე: „უდიდესი პრობლემებია აქეთ, მაგრამ მე თვითონ ვარ ცოტა ძლიერი პიროვნება და არ მიყვარს წუწუნი. ძალიან ბევრი პრობლემაა, მაგრამ ძლიერად ვხვდები ყველაფერს“ (ნანი, 58).

საზრისის ძიება/პოვნა. ნარატივში მოცემული იყო საზრისი, თუ მონაწილე საუბრობდა ემიგრაციაში ცხოვრებისთვის მნიშვნელობისა და აზრის მინიჭებაზე: „ჩვენი აქ ყოფნა იმით უნდა გავამართლოთ, რომ ამით ჩვენ ოჯახებს ვაძლიერებთ, ჩვენ შთამომავლობას ვაძლევთ არსებობის შესაძლებლობას“ (დოდო, 63).

კონტროლის შეცვლა. ნარატივში ნახსენები იყო კონტროლის განცდა, თუ მონაწილე საუბრობდა საკუთარი ცხოვრების მართვის უნარის შესახებ: „ჩემით გავიკვლიე გზა, ჩემით მოვედი დღემდე და ეს მართლა დიდი გამოწვევა იყო ცხოვრებაში. მე დღემდე მოვედი ისე, რომ არავისთვის არ მითხოვია აბსოლუტურად არაფერი. ჩემით გავიკვლიე გზა და მოვედი“ (ლელა, 49).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

იდენტობის რეკონსტრუქცია. ნარატივში წარმოდგენილი იყო იდენტობის რეკონსტრუქციის თემა, თუ მონაწილე საუბრობდა ახალ გარემოში საკუთარი იდენტობის ხელახლა განსაზღვრაზე, ვინ არის ის ახლა და რა როლი უნდა უნდა შეასრულოს: „ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო, რომ პედაგოგი, ისტორიკოსი, საუკეთესო პროექტის გამარჯვებული და დანაჯილდოვები უნდა წამოვსულიყავი აქ. ძნელი გადასახარშია და თავმოყვარეობაზეც ძალიან მოქმედებს, მაგრამ გადავლახე“ (მაკა, 40).

ამბივალენტობის ნორმალიზება. ნარატივში მოცემული იყო ამბივალენტობის ნორმალიზების თემა, თუ მონაწილე საუბრობდა ურთიერთსაპირისპირო გრძნობებსა და ემოციებზე ახალი საზოგადოების მიმართ, ამბივალენტური განცდების (მაგალითად, სიყვარულისა და სიმუღვილის) ტერმინებით:

იტალია ძალიან ლამაზია და ხალხიც არ არის ცუდი. შეიძლება რაღაც არ მოგეწონოს, მაგრამ ისეთი კარგი რაღაცა გაგიკეთონ, რომ თვითონ გაგიკვირდება და იტყვი, რატომ მქონდა ამ ხალხზე ცუდი წარმოდგენაო (თამარა, 53).

მიჯაჭვულობის გადასინჯვა. ნარატივში საუბარი იყო მიჯაჭვულობების გადასინჯვაზე, თუ მონაწილე მსჯელობდა მის მიერ ოჯახთან ურთიერთობების აღქმის ისე გადალაგებაზე, როდესაც მისაღები ხდება ერთდროულად არყოფნისა და ყოფნის მდგომარეობა და ურთიერთობების შეცვლილი ფორმატი: „მიუხედავად იმისა, რომ დეტალები ვიცი ცუდიც და კარგიც, რაც მომეწონება და რაც არ მომეწონება, ჩემი შვილების. ბუნებრივია, რომ ეს აღარ არის ის ურთიერთობა რაც იყო“ (მეგი, 53).

იმედი. ნარატივში ნახსენები იყო იმედი, თუ მონაწილე საუბრობდა სამომავლო სიკეთის რწმენასა და იმაზე, რომ მომავალში შესაძლებელია ტანჯვის დასრულება და კომფორტის მიღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესპონდენტი უშვებდა, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას უნდა, რომ იყოს: „დიდი იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში დადგება ის დრო, რომ საქართველოში ჩემს სახლში დავბრუნდები“ (ნათია, 53).

სხვა. ამ კატეგორიაში ერთიანდებოდა ნებისმიერი თემა, რომელიც არ მიეკუთვნებოდა არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას, თუმცა უკავშირდებოდა რომელიმეს, ან რაიმე მნიშვნელოვანს ამბობდა საკვლევი საკითხის შესახებ.

თავი 7 - თვისებრივი კვლევა. შედეგები

შედეგების ნაწილი 11 ქვეთავისგან შედგება. ეს ქვეთავებია: ორაზროვანი დანაკარგი, ფსიქოლოგიური ოჯახი, საზღვრების ორაზროვნება, მედეგობა, საზრისი, კონტროლის შეცვლა, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება, მიჯაჭვულობის გადასინჯვა, იმედი და ნარატივებში მოცემული სხვა მნიშვნელოვანი თემები. თითოეულ ქვეთავში განხილულია თემატურად გაერთიანებული ნარატივების ინტერპრეტაციები და წარმოდგენილია საილუსტრაციო ამონარიდები ინტერვიუებიდან.

7.1. თემატური ანალიზი

7.1.1. ორაზროვანი დანაკარგი

პოლინ ბოსის (Boss, 2006, 1999) მიერ შემოთავაზებული განსაზღვრების მიხედვით, ორაზროვანი დანაკარგი ისეთ დანაკარგს გულისხმობს, რომლის დროსაც ნათელი და განსაზღვრული არ არის დანაკარგი და, შესაბამისად, სიტუაცია მოკლებულია დასრულებისა და ამბის დამთავრების შესაძლებლობას. ბოსი ემიგრაციას ფიზიკური ორაზროვანი დანაკარგის კატეგორიაში ათავსებს, როდესაც ინდივიდი ფიზიკურად გადის ოჯახის სისტემიდან, თუმცა ფსიქოლოგიურ დონეზე მაინც განაგრძობს მასში ყოფნას. ამრიგად, თუ ემიგრაციის გამოცდილება ნამდვილად არის ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა, ემიგრანტების ნარატივებში ცხადად უნდა წარმოჩენილიყო ბუნდოვანი და ორაზროვანი დანაკარგის განცდა.

ინტერვიუების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ემიგრანტებს გამოცდილებაში/განცდაში ნამდვილად აქვთ დანაკარგი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ემიგრაციაში წამოსვლას და/ან უცხო ქვეყანაში ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ოჯახთან ფიზიკური განცალკევებით გამოწვეული დანაკარგი იგულისხმება. კვლევის მონაწილეები ემიგრაციაში გატარებულ წლებს მოიხსენიებენ, როგორც დაკარგულს, დანაკარგს, მარცხისა და სინანულის მიზეზს, რადგან ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილებამ მათ ოჯახთან წლების გატარების შესაძლებლობა დააკარგვინა; წლები, რომლებიც არასოდეს ანაზღაურდება და დაბრუნდება. ის დანაკარგი, რომელზეც

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ემიგრანტები საუბრობენ, განსაზღვრული და მკაფიო არაა, მას გარკვეული სახის ორაზროვნება ახლავს. მაგალითად, ქვემოთ მოტანილ ამონარიდში დანაკარგისა და შენაძენის განცდა ერთმანეთს ეჯახება და ასე იქმნება ორაზროვნება:

რვა წელიწადია მოწყვეტილი ვარ ჩემს ოჯახს. ეს ცოტა დრო არ არის. ეს დრო დაკარგულია და ამას ვერაფერი შეცვლის, ვერ აანაზღაურებს. დაკარგული დროის განცდა დამყვება ყოველთვის. კი, რაღაც შევიძინე, მაგრამ უფრო მეტი დავკარგე. ეს დაკარგული დრო არის სანანებელი. ყველა წუთი დაკარგულია, რომელიც ოჯახის წევრების გარეშე გავატარე. ამ დაკარგულ წუთებს და დროს ვნანობ, მეტს არაფერს (თამარა, 53).

ემიგრანტები ნათლად ხედავენ იმ სარგებელს, რაც საკუთარი ოჯახის წევრებისთვის მოაქვთ, იქნება ეს მატერიალური დახმარება, თუ უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა. თუმცა, ამას კვლავ დანაკარგის განცდა სდევს თან. როგორც ჩანს, მიღებული მატერიალური სარგებელი, ამ შემთხვევაში, ერწყმის დანაკარგის განცდას და ოჯახის წევრებთან ფიზიკურად ახლოს ყოფნას და ემოციურ კავშირს ვერ ანაცვლებს, რაც, საბოლოო ჯამში, დანაკარგისადმი ორაზროვან დამოკიდებულებას ქმნის.

აქ ყოფნით ჩვენ ოჯახებს ვაძლიერებთ, ჩვენ შთამომავლობას ვაძლევთ არსებობის შესაძლებლობას. ამ მომენტში მინიმუმს ვლაპარაკობ, თუმცა აქ ყოფნის განმავლობაში დამაკლდა ყველაფერი ის, რაც ოჯახებში ხდება: სიყვარული, ყურადღება, ბავშვების ჩახუტება და მოფერება, თუნდაც ის ყვირილი, ჩხუბი და ნერვიულობაც (დოდო, 63)

მუშაობ და გაქვს იმის იმედი, რომ ამ დანაზოგით შვილებს დაეხმარები, მათ ცხოვრებას შეცვლი და წინ წაიყვან. კი, დროა საჭირო და იმ ყველა პრობლემას აგვარებ, მაგრამ შემდეგ გული გწყდება იმ დაკარგულ წლებზე, რომლებმაც შვილების გარეშე და ოჯახის გარეშე ჩაიარა (ანა, 41)

ბუნებრივია, რომ ოჯახის წევრებთან ფიზიკური განცალკევებით გამოწვეულ დანაკარგს თან ახლავს მონატრება. ემიგრაციის გამოცდილებას შეიძლება ბუნებრივად ახლდეს თან ოჯახის წევრების მონატრება, თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესო ხდება, როგორ უკავშირდება ეს მონატრება დანაკარგს. ის აძლიერებს კიდევ დანაკარგის განცდას. ასევე, მართალია თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში, კომპიუტერისა და

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ინტერნეტის საშუალებით მუდმივ კონტაქტზე ყოფნა შესაძლებელი, თუმცა, რესპონდენტებისთვის კონტაქტის შესაძლებლობასა და სიხშირეს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამით დანაკარგის არსებობა და მონატრების ინტენსივობა არ იკლებს. მეტიც, ზოგ შემთხვევაში კიდევ უფრო მტკივნეულად აღიქმება ოჯახის წევრებისგან ფიზიკური სიშორე და მათთან ფიზიკური შეხების შესაძლებლობის უქონლობა.

იმაზე დიდი გულის ტკივილი რა უნდა იყოს, როდესაც გენატრება და არ შეგიძლია მიხვიდე, მოეფერო, ნახო (ანა, 41).

ეს წლები ჩემთვის მკვდარია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კომპიუტერი, არსებობს ტელეფონი, მაინც მტკივნეულია ჩემთვის იმიტომ, რომ მე ჩემ შვილებს ვერ ვხედავ, ვერ ვეხები, არა მაქვს კონტაქტი (ნატო, 60).

შვილების ჩახუტება გენატრება, გენატრება ყოველ დღე. ყოველ წუთს შეგიძლია მიწერო, მოგწეროს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ის საუბარიც გალიზიანებს... ის ერთი თვე დარჩენა არაფერს ნიშნავს, როცა იცი, რომ ამდენი ხანი უნდა გაძლო, აქედან უნდა დაეხმარო. იქ ვერ ეხმარები. ეს მალიზიანებს, რომ ველაპარაკები და ვერ ვეხები (მედეა, 46).

ზოგ შემთხვევაში, დანაკარგის განცდა იმასაც უკავშირდება, რომ ემიგრანტები ვეღარ ასრულებენ ოჯახის დატოვებამდე საკუთარ თავზე აღებული როლებს; როლებს, რომლებსაც ისინი შეასრულებდნენ, რომ არა ემიგრაცია და ოჯახისგან ფიზიკური დაშორება.

დანაკარგად ვთვლი იმას, რომ უფროს შვილს სხვანაირად დავუდექი გვერდით და უფრო მომზადებული იყო. 15 წლის იყო ჩემი პატარა გოგო, რაიონში სწავლობდა და მუსიკაზე დადიოდა. რადგან აქეთ წამოვედი, იმდენად გადაყვა ხან მუსიკას, ხან ამას, ხან იმას, ... აღარ ყავდა დედა გვერდში და მე ჩემს თავს ვაბრალებ ამას, ჩემს ემიგრაციის წლებს, რომ საატესტატო გამოცდებზე მათემატიკა ვეღარ ჩააბარა ორი წელიწადი, ისე გაუჭირდა... ეს დანაკლისი წლები მომყვება (მედეა, 46).

ჩემი ცხოვრების ისტორიაში ერთ-ერთი თავი გამოვტოვე, დაიკარგა ის თავი. შვილიშვილების დაბადებას და მათ აღზრდას ვერ დავესწარი. სკოლაში წავა ბიჭი და ვერ გავაცილებ. მეორე ბიჭი ბაღში მიდის და ვერ გავყვები. პირველი კონცერტი ექნება და ვერ

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დავესწრები. პირველ შეჯიბრსაც ვერ ვნახავ, თუ სპორტს გაყვება. ვერაფერს დავესწრები. ეს დანაკარგია. ჩემი ცხოვრების უდიდესი თავი დავკარგე (ნათია, 53).

ემიგრაციაში ცხოვრებას თან ახლავს კიდევ ერთი ორაზროვნება და ბუნდოვანება, რომელიც ოჯახის გაერთიანების პერსპექტივას შეეხება. რესპონდენტები, ძირითადად, კონკრეტული მიზნებითა და ვადებით მიდიოდნენ ემიგრაციაში და იმედოვნებდნენ, რომ დადგენილ ვადაში მიაღწევდნენ დასახულ მიზნებს და უკან დაბრუნდებოდნენ, თუმცა რეალურად ნავარაუდებზე გაცილებით დიდი დრო უკვე გასულია და, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯერ კიდევ არაფერი იციან კონკრეტულად ემიგრაციის დასრულებისა და ოჯახში დაბრუნების მიახლოებითი თარიღის შესახებაც კი.

ცოტა რთულია ჩემთვის იმის თქმა, როდის დავბრუნდები. მაშინ მქონდა პასუხი, სამ წელიწადში უნდა დავბრუნებულიყავი და სამწუხაროდ, დღეს არა მაქვს პასუხი იმაზე თუ როდის დავბრუნდები. არ ვიცი (კესო, 33).

ზოგიერთ შემთხვევაში განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქმება ემიგრაციის დასრულებისა და ოჯახთან გაერთიანების დროსთან მიმართებით არსებული ბუნდოვანება. ემიგრაციაში ყოფნის დასრულების პერიოდი არ არის განსაზღვრული და ცხადი, რაც ყოველდღიურობას მძიმე ასატანს ხდის.

პირადად ჩემს თავზე ვიცი თქმა, რომ მე ვარ უვადო პატიმარი და არ ვიცი, ამინისტია როდის შემეხება. აი, ესაა საშინელება... არ ვიცი, შეიძლება ხვალ დავბრუნდე უკან, შეიძლება – ერთი წლის მერე (ნათია, 53).

ამრიგად, ემიგრაციის გამოცდილება ნამდვილად მოიცავს დანაკარგის განცდას, რომელიც ოჯახის წევრებთან ფიზიკური განცალკევების თემას, საკუთარი როლების შეუსრულებლობას, მონატრებასა და მანძილზე შენარჩუნებულ ურთიერთობებს ეხება. დანაკარგის განცდას თან ახლავს ორაზროვნება, რომელსაც დანაკარგისა და შენაძენის შეგრძნებების ჭიდილი და ოჯახის წევრებთან გაერთიანებასთან დაკავშირებით არსებული ბუნდოვანება ქმნის.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

7.1.2. ფსიქოლოგიური ოჯახი

როდესაც ორაზროვანი დანაკარგის სიტუაცია დგება, ფსიქოლოგიური ოჯახის განცდა ძლიერდება (Boss, 2006). შესაბამისად, ვივარაუდებთ, რომ ფიზიკური განცალკევების მიუხედავად, ემიგრანტების მონათხრობებში გამოჩნდებოდნენ არა მხოლოდ ბიოლოგიურად განსაზღვრული ოჯახის წევრები, არამედ ის ადამიანებიც, რომლებიც მხარდამჭერ გარემოსა და ემოციურ კავშირებს უზრუნველყოფენ მათთვის.

ნარატივების შესწავლა აჩვენებს, რომ ყველა შემთხვევაში ფსიქოლოგიური ოჯახი, პირველ რიგში, სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებისაგან შედგება. ეს ოჯახი მათი ყოველდღიური ფიქრისა თუ ზრუნვის საგანსა და მძიმე წუთებში მხარდამჭერის მთავარ ძალას წარმოადგენს.

ამ წუთებში მხოლოდ შვილების სიყვარული მაძლიერებს და ის ფიქრი, რომ რაც გავაკეთე, ჩემი შვილებისთვის გავაკეთე. ერთი წუთით არ ვნანობ, რომ მათი გულები გავახარე, დავეხმარე და დღეს ჩემი შვილები ქუჩაში არ არიან (კესო, 33).

მართლა დავიღალე. რამდენიმე თვის უკან აივანზე ვიჯექი და გადახტომაზე ვფიქრობდი. მერე უცებ ამომიტივტივდა თავში, რომ ისევ ჩემ შვილებს გავამწარებდი ამით. ამან გამაჩერა, თორემ შეიძლება ფატალურად დამესრულებინა ცხოვრება (ანა, 41).

ცუდად ძალიან იშვიათად ვარ რომ იცოდე. ჩემს თავს შთავაგონე, რომ მე ჩემს შვილებს ვჭირდები, არ მცალია ცუდად ყოფნისთვის (დოდო, 63).

დღესასწაულია ყველა ის დღე, როცა ჩემი შვილის ხმას გავიგონებ ტელეფონში. ყველაზე მეტად, რთულ წუთებში მეხმარება ის, რომ ტელეფონი ავიღო და დედას დავურეკო. მაინც დედა არის აქ ჩემთვის ყველაზე დიდი მეგობარი (ლიკა, 29).

ზოგიერთი რესპონდენტი იმაზეც წუხს, რომ ოჯახის წევრების წინაშე აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ, რაც მათთვის დამატებითი სტრესის წყაროა. ისინი სინანულს გამოხატავენ, რადგან ფიზიკურად იქ არყოფნის გამო, ვერ შეძლეს მორალური პასუხისმგებლობის შესრულება მშობლებისა თუ ნათესავების წინაშე, როდესაც ისინი ავად გახდნენ და/ან გარდაიცვალნენ. ემიგრანტები აღწერენ უმწეობისა და დანაშაულის განცდასა და სინანულს იმის გამო, რომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ფიზიკურად

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დახმარებოდნენ მათ, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და საყვარელი ადამიანი მართებულად გამოეგლოვათ. მხოლოდ ფინანსური დახმარების გაწევა შეძლეს ოჯახისთვის და ვერ მოახერხეს მძიმე წუთებში ფიზიკურად ყოფილიყვნენ ოჯახის გვერდით.

ძალიან მტკივნეულია, როდესაც შენი სისხლი და ხორცი გარდაიცვლება და ცრემლს ვერ ატან. აქედან არაფერი შემიძლია. ეს იყო, რომ მატერიალურად რაღაც გავაგზავნე, თუ არა, მეტი არაფერი. სხვა არაფერი შემიძლია (ნატო, 60).

ორი დეიდა ისე გარდამეცვალა, რომ ვერ ჩავედი იმიტომ, რომ საბუთი არ მაქვს. აქ არ არსებობს ადამიანი, რომ არ ჰქონდეს ეს შემთხვევა გამოცდილი. ყველაზე რთული მომენტი ეს არის (ნანი, 58).

მამაჩემი მარტო იყო. ჩვენ არც ერთი იქ არ ვიყავით. მე სასერნოდ არ ჩამოვსულვარ აქ, მაგრამ არ იმსახურებდა მამაჩემი, რომ მარტო ყოფილიყო. ის სულიერმა ტკივილმა იმსხვერპლა... რომ ვერც ერთ შვილს ვერ უყურებდა... ამას, ალბათ, ვერ ვაპატიებ ჩემს თავს (მეგი, 53).

ამრიგად, სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრები აქტიურად რჩებიან ემიგრანტების ფსიქოლოგიურ ოჯახში. ის მხარდაჭერის მნიშვნელოვან ძალას ქმნის, ყოველდღიური ფიქრისა და ზრუნვის საგანია და მათ წინაშე მდგარი ვალდებულებები ასობით კილომეტრის დაშორებითაც შენარჩუნებული და აქტიურია.

7.1.2.1. ახალი ურთიერთობები, როგორც ფსიქოლოგიური ოჯახი

ახალი გარემო და ოჯახთან ფიზიკური კავშირების წყვეტა ემიგრანტებისთვის სტრესულია და ახალი მიჯაჭვულობების ფორმირების მოტივაციას აძლევს. მას შემდეგ, რაც ემიგრანტებმა ახალი ურთიერთობები დაამყარეს მასპინძელ ქვეყანაში, ეს ურთიერთობები და ადამიანები — რეგულარული სოციალური კონტაქტი, ემოციების გაზიარების შესაძლებლობა — მათთვის ფსიქოლოგიური ოჯახის მდგენელი ხდება. გარდა ამისა, მსგავსი უარყოფითი გამოცდილება და გამოწვევები მათ შორის ინტერპერსონალურ მიზიდულობას აძლიერებს. ასევე, კონტაქტების რაოდენობა შეიძლება შეზღუდული იყოს

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

და მცირე რაოდენობის ახალი მეგობრებით შემოიფარგლებოდეს, მაგრამ მძლავრი ემოციური კავშირითა და მიჯაჭვულობით გამოირჩეოდეს.

გვიჭირს აქ, მაგრამ ვუმკლავდებით. ხუთი მეგობარი ვართ შეკრებილი, რომლებიც მხარში ვუდგავართ ერთმანეთს, ვამხნევებთ და ვცხოვრობთ ერთმანეთით. ასე ვაძლიერებთ ერთმანეთს... ჭირშიც და ლხინშიც. ჩვენ ჩვენი სამყარო შევქმენით აქ (ნანი, 58).

ყველა ქალი მიყვარს აქ ვინც არის და ვცდილობ, ყველასთან მქონდეს მაქსიმალურად ისეთი ურთიერთობა, რომ რაც შეიძლება მეტი პოზიტივი მივცე და მიხარია, როდესაც ამას ხედავენ და ამბობენ, რომ „მაკა, იცი, რამხელა პოზიტივი მივიღე დღეს შენგან?“ იმიტომ, რომ ვიცი, იმ დღეს რაღაცით შევეშველე მას, მივეცი კიდევ უფრო მეტი მოტივაცია, რომ რაღაც გააკეთოს იმიტომ, რომ ჩვენ ასე ვეხიდებით ერთმანეთს. ფული არ გვაქვს ერთმანეთს რომ დავეხმაროთ, მაგრამ გვაქვს ემოციები, განცდები და ვუზიარებთ ამ ყველაფერს. თუ არა, ძალიან ძნელია ისე, ძალიან (მაკა, 40).

ამ ემიგრანტულ ცხოვრებაში რაც შევიძინე, ორად-ორი ადამიანია. ეს ორი სხვანაირია, განსაკუთრებულია, ისეთია, რომელთანაც ჩემ ბევრ ტკივილს, გასაჭირს, სიხარულს ვიტყვი, მაგრამ სხვებთან არც არავისთან ვიტყვი და არც არავის ვაგრძნობინებ მე მიჭირს თუ მიხარია რამე (ნათია, 53).

ამრიგად, ახალ ქვეყანაში შეძენილი სოციალური ურთიერთობები, თუნდაც მეგობრების ვიწრო წრე, ფსიქოლოგიური ოჯახის ნაწილად იქცევა ემიგრანტებისთვის. ეს ადამიანები მხარდაჭერისა და გაზიარების მეორე მნიშვნელოვანი წყაროა მათთვის.

7.1.2.2. სამსახური, როგორც ფსიქოლოგიური ოჯახი

ფსიქოლოგიურ ოჯახში საქართველოში დარჩენილი ფიზიკური ოჯახის წევრებისა და ახალ ქვეყანაში შეძენილი მეგობრების გარდა, ზოგიერთი რესპონდენტი თავის დამსაქმებელსაც აერთიანებს. ყველა რესპონდენტი დასაქმებული იყო ოჯახში, როგორც დამხმარე და მათ ძირითად მოვალეობას ოჯახის ასაკოვანი წევრის მოვლა და მასზე ზრუნვა წარმოადგენდა. ამგვარი სამსახური ოჯახში ცხოვრებასაც მოითხოვს. სამსახურის ტიპის და ამ ოჯახებში ემიგრანტების მომვლელის სტატუსის გამო, რესპონდენტები ოჯახებს განიხილავენ, როგორც ოჯახს იტალიაში. ერთ-ერთი რესპონდენტი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

შემდეგნაირად აღწერს ამ ფენომენს: „ჩვენ სადაც ვმუშაობთ, ვამბობთ „ჩემი ოჯახი“, „ჩემი პატრონი“. ნახე რა მკვიდრდება! და ვამბობთ ხოლმე, რომ „მე ჩემმა ოჯახმა ოჯახის წევრებით მიმიღო“.

თუმცა, საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დამსაქმებლის და თვითონ მზრუნველობის ობიექტის მხრიდან დადებითი დამოკიდებულება მხარდაჭერის და მჭიდრო ემოციური კავშირების საფუძველი ხდება, რაც, თავის მხრივ, ამ ადამიანების ფსიქოლოგიური ოჯახის წევრებად მიჩნევას ედება საფუძვლად.

როცა თავს ცუდად ვგრძნობ, იმ წუთას შემატყობს ბებია, რომ, ვთქვათ, ან ხასიათზე არა ვარ, ან რაღაც, ან რამე არ მომწონს (ნანი, 58).

დამქირავებლების მხრიდან მხარდამჭერი ურთიერთობა ემიგრანტებისთვის სხვადასხვა პოზიტიურ შედეგებსაც განაპირობებს. ერთ-ერთი რესპონდენტი ასე აღწერს დამქირავებლის მისდამი დამოკიდებულებას:

საბუთი გამიკეთეს, დაკრძალვის დღეს წამიყვანეს საბუთის გასაკეთებლად და ამას აღვნიშნავ, რომ ეს ძალიან დიდი მოვლენა, ძალიან დიდი პატივისცემა და დაფასებაა იმ ოჯახის მხრიდან (თამარა, 53).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევა არ არის ასეთი და ყველა ემიგრანტის დამსაქმებელი არ არის მისი ფსიქოლოგიური ოჯახის წევრი. მეტიც, ზოგ შემთხვევაში ემიგრანტებს მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება და მუშაობა, სხვადასხვაგვარი დამცირების ატანა, რაც არათუ მხარდამჭერ გარემოს, არამედ სტრესის დამატებით წყაროა მათთვის.

ცუდი გამოცდილება იყო ჩემი მეორე სამსახური, ძალიან ცუდი, სადაც ვცხოვრობდით მარტო მე და ეს ადამიანი, რომელიც სადილს არ მაჭმევდა წესიერად. საჭმელს მიმაღავდა, მიშლიდა, რომ დავმჯდარიყავი და ლუკმა შემეჭამა, ისიც ორი ლუკმა უნდა ამელო და მეტი არა. არ მქონდა არაფრის საშუალება, რომ შემეტანა სახლში საჭმელი და ჩუმად მეჭამა, თუმცა, რამდენჯერმე გავაკეთე ეს, როცა დასაძინებლად წავიდა, საბანი მქონდა გადაფარებული და ისე ვჭამდი (ნაზი, 38).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

არის მომენტები, როდესაც ბებია შეურაცხყოფას გაყენებს, ან რაღაცას გეტყვის ისეთს, რაც თვითონ არ ეხება, არ უნდა აინტერესებდეს, არ უნდა გითხრას, მაგრამ ის მაინც გეუბნება. შენ ის გიყურებს, როგორც მონას, როგორც მართლა მონას. ბევრჯერ მითქვამს, ძალიან ბევრჯერ, შენ მე მიყურებ, როგორც მონას და, ალბათ, ამიტომ მეუბნები ამას-თქო (ანა, 41).

ისე გიყურებენ, დამცირებულად გრძნობ თავს. არა იმიტომ, რომ მათზე მეტი განათლებული ხარ, არა იმიტომ, რომ ქართველი ხარ. ეს ზედმეტობები უკვე უნდა ჩამოიშორო იმ კართან, სადაც შედიხარ. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქართული სიამაყე მქაჩავს. თვითონ გაგრძნობინებენ, რომ არაფერი ხარ მათ თვალში (დოდო, 63).

ამრიგად, ვინაიდან სამუშაო, რომელსაც ემიგრანტები ასრულებენ, დამსაქმებლის ოჯახში ცხოვრებას მოითხოვს, ისინი სამსახურს ოჯახად მოიხსენიებენ, მაგრამ ეს ოჯახი ფსიქოლოგიური ოჯახის შემადგენელი ნაწილი და მხარდაჭერი ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც დამსაქმებლებისა და მზრუნველობის ობიექტების მხრიდან დადებით დამოკიდებულებას, აღიარებას და დაფასებას გრძნობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დამატებითი სტრესის წყაროა.

7.1.3. საზღვრების ორაზროვნება

ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრის ფიზიკურად გასვლა სახლიდან ის მოვლენაა, რომელიც ოჯახის წევრებს აიძულებს, გადახედონ/გადასინჯონ ოჯახის საზღვრები და ხელახლა გადაანაწილონ როლები და ფუნქციები. ამან, შესაძლოა, გაურკვეველობა მოიტანოს თან და გაუგებარი გახდეს, ინდივიდი ისევ არის ოჯახის სისტემის მდგენელი თუ არა; შესაძლოა, ემიგრაციაში წასვლის შემდეგ აღარ იყოს ცალსახად განსაზღვრული, რა ადგილი უკავია წასულ ადამიანს ოჯახში და რა როლს ასრულებს.

ის, თუ როგორ აღწერენ რესპონდენტები ოჯახის საზღვრებს, ოჯახის წევრებთან ურთიერთობებს და რას ფიქრობენ ოჯახში საკუთარი ადგილისა და როლის შესახებ, საზღვრების ორაზროვნებაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს. ერთი მხრივ, ემიგრანტებს, შესაძლოა, ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ოჯახში საკუთარი როლის შესახებ. ეს როლი შეიძლება განსხვავდებოდეს ემიგრაციაში წასვლამდე აღებული

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

როლისგან, თავად მორგებული აქვთ ეს როლი და იციან, მანძილის მიუხედავად, რა პასუხისმგებლობები აკისრიათ ოჯახის წინაშე. როლები ოჯახის წევრებს შორის არის გადანაწილებული და გადაწყვეტილებების მიღებაც შეთანხმებულად შეიძლება ხდებოდეს. ამ შემთხვევაში ოჯახის საზღვრები ნათელია და ვერ ვისაუბრებთ ორაზროვნებაზე.

მეორე მხრივ, საზღვრების ორაზროვნება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ოჯახის ფიზიკურად დატოვების შემდეგ, ინდივიდის როლები და პასუხისმგებლობები შეიცვალა, თუმცა, ამას არ ან ვერ იღებენ საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები, რაც ემიგრანტსა და მის სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტებისა და გაუცხოების წყარო ხდება.

პრობლემები იყო ოჯახში, გაუცხოება იყო მეუღლესთანაც, დედასთანაც და დასთანაც, მე რაღაცები სხვანაირად მომწონდა, ისინი არ იყვნენ ამაზე თანახმა, მერე კონფლიქტი მომდიოდა, ვერ ეგუებოდნენ. ოჯახი მეუბნებოდა, რომ უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ისინი არაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ დავბრუნებულიყავი. ვცხოვრობდი აქ, მაგრამ ვიყავი იქ, ჩვეულებრივად და იქაურ პრობლემებში ვიყავი ჩაფლული, ვაგვარებდი ამ პრობლემებს, მერე ისევ პრობლემა იჩენდა თავს. მერე, თითქოს, მეუღლის უკმაყოფილება, განა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ბევრს არ ვუგზავნიდი, მაგრამ ხომ ვიცოდი (კესო, 33).

ამრიგად, ერთი მხრივ, ოჯახის საზღვრები ნათელი რჩება და ოჯახის წევრებისთვის ცხადია მათ შორის როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. მეორე მხრივ, ოჯახის საზღვრები შეიძლება ბუნდოვანი გახდეს და კონფლიქტმა და გაუცხოებამ დაისადგუროს იმის გამო, თუ როგორ არის გადანაწილებული როლები და პასუხისმგებლობები, და ამჟამად რა მოლოდინები აქვთ ოჯახის წევრის შესასრულებელი ამოცანების მიმართ.

7.1.4. მედეგობა

მონათხრობებში ვლინდება ემიგრანტების მედეგობა ცხოვრებისეული სირთულეების წინაშე. ის უარყოფითი გამოცდილებებისა და პრობლემების შებრძოლების, მოქნილობისა და გადალახვის უნარით გამოიხატება.

უდიდესი პრობლემაა აქეთ, მაგრამ მე ვარ ცოტა ძლიერი პიროვნება და არ მიყვარს წუწუნი. ძალიან ბევრი პრობლემაა, მაგრამ ძლიერად ვხვდები ყველაფერს (ნანი, 58).

არ უნდა გატყდეს ადამიანი. ყველანაირი კუთხე უნდა მოძებნოს ცხოვრებაში ისე, რომ ზოგან სრული პასუხისმგებლობით უნდა მოექცეს მის სამსახურს, ეს აუცილებელია. ზოგან იუმორის გრძნობით უნდა შეხედოს. ზოგან რაც შეიძლება „გაატაროს“. ზოგან გაელვებად წარმოიდგინოს მისი ყოფნა და, აბა, რა იქნება?! არ გამოდის სხვანაირად (დოდო, 63).

თავიდან დავიწყე აქ ცხოვრება და შევძელი. ვიფიქრე, რომ თურმე ეს შემძლება იმიტომ, რომ შინაგანი მე მკარნახობდა, რომ „მოდო დაბრუნდი, შენ ამას ვერ შეძლებ“, მაგრამ ჩემს თავს ყოველდღე ველაპარაკებოდი და ეს შევძელი. ორი თვის შემდეგ ვთქვი, რომ „შენ გამოგივიდა, შენ შეგიძლია, აქ დარჩე და იცხოვრო“ და ორი თვის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ეს ბარგი ამომელაგებინა და ერთ ადგილზე გავჩერებულიყავი (ლიკა, 29).

ბუნებრივია, რომ რესპონდენტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მედეგობის ხარისხით. თუ ერთნი უაღრესად ელასტიურები, მედეგნი და გამძლენი გამოდგნენ, სხვები ვერ აღმოჩნდნენ ასეთნი, რაც უარყოფითი ემოციების ბუფერის გარეშე დარჩენის ტოლფასია.

ოთხი წელია აქ ვარ და ვერ დავეთანხმები, რომ, აი, პირველად გაგვიჭირდა და მერე შევეჩვიეთ. კი არ შევეჩვიე, უფრო უარესად ვარ. აი, ეხლა, თუ არ წავედი დროზე სახლში, ვატყობ ჩემ თავს, რომ არ ვარ კარგად (ნინო, 43).

თავს ყოველდღე ცუდად გრძნობს ემიგრანტი. არასოდეს ვგრძნობ თავს კარგად. არის მომენტები, როდესაც გინდა დატოვო ყველაფერი და სადღაც მარტო წახვიდე, არავინ დაინახო და არავის დაელაპარაკო. ყოველდღე არის ისეთი მომენტი, სადაც შენს თავში

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

იკეტები. ძალიან რთულია იმ სიტუაციიდან გამოსვლა, მე, მაგალითად, ხშირად მემართება. მერე დავჯდები ჩემთვის მარტო და ვტირივარ და რაღაცნაირად გადადის ეს გაბრაზება, ეს ბოღმა, რაც გაქვს, რასაც დაატარებ (ანა, 41).

როგორც ჩანს, ინდივიდები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მედეგობის ხარისხით; იმით, თუ როგორ ახერხებენ უარყოფით გამოცდილებებთან გამკლავებას. შესაბამისად, მათ ნარატივებში სხვადასხვა ოდენობით არის წარმოდგენილი მედეგობასთან დაკავშირებული ისეთი თემები, როგორებიცაა საზრისი, კონტროლის შეცვლა, იდენტობის რეკონსტრუქცია, ამბივალენტობის ნორმალიზება, მიჯაჭვულობის გადასინჯვა, იმედი.

7.1.5. საზრისი

რესპონდენტები ემიგრაციის გამოცდილებაში საზრისის პოვნას ცდილობენ. ამას ისინი ნათელი და მკაფიო მიზნების დასახვით ახერხებენ, რომელიც მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი პირობების თუ უკეთესი მომავლის შექმნას ემსახურება. ზოგიერთ შემთხვევაში ემიგრაციის გამოცდილებაში ნაპოვნ საზრისს ფართო ცხოვრებისეული გამოცდილების კონტექსტში აქცევენ და აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპის გავლაც საჭირო იყო ცხოვრებაში იმისათვის, რომ არა მხოლოდ ოჯახის წევრებს დახმარებოდნენ, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილება შეეძინათ.

ჩემი მიზანი, რაც დავისახე... მივდივარ ემიგრაციაში, რომ უნდა გავაკეთო რაღაც, ერთი ნაბიჯით წინ გადავწიო ცხოვრება ჩემ ქვეყანაში, ალბათ, ამის გამართლებისთვის შევძელი ის, რომ მოვედი აქამდე (კესო, 33).

არასოდეს მიფიქრია უკან დახევა მაგ მომენტში. არ მიფიქრია, რომ ჩემს შვილთან უნდა წავსულყავი იმიტომ, რომ ვიფიქრე, რომ თუ ჩემ შვილთან წავედი, მაშინ მან რა ქნას?! მან რა უნდა ქნას, ის ხომ პატარაა?! ახლა იწყებს ცხოვრებას. მას თუ ახლა არ შეუქმენი ძირი, მერე უკვე იქ დაილუპება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არის ჩემი მიზანი და აქ უნდა ვიყო ის დრო, რა დროც მას დასჭირდება (ლიკა, 29).

შანსი მოგვეცა, რომ ამ საზოგადოებასაც გავეცნოთ და კარგის და ცუდის ცნობა, გარჩევა შევძლოთ ერთმანეთისგან. არასოდეს უნდა დავნებდეთ ცხოვრებაში. ნათქვამი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

რომაც აღმართ დაღმართი მოყვებაო. მერე რა?! სულ ერთფეროვნება უვარგისია. რაღაცა აზრი ხომ უნდა ჰქონდეს ცხოვრებას?! აბა რისთვის ვცხოვრობთ? რისთვის ვართ, აბა, აქ? ...ჩვენი აქ ყოფნა იმით უნდა გავამართლოთ, რომ ამით ჩვენ ოჯახებს ვაძლიერებთ, ჩვენ შთამომავლობას ვაძლევთ არსებობის შესაძლებლობას (დოდო, 63).

მეორე მხრივ, ყველა ვერ ახერხებს ემიგრაციის გამოცდილებაში საზრისის პოვნას. ამ შემთხვევაში ინდივიდი პასუხს ვერ სცემს კითხვას, თუ რა აზრი აქვს ემიგრაციაში გატარებულ წლებს და, შესაბამისად, მათთვის დროც ფუჭად ჩავლილია.

ვნანობ, ძალიან ვნანობ! ძალიან ვნანობ აქ რომ წამოვედი. 4 წელი ვიმუშავე და რა გავაკეთე, ისიც არ ვიცი! დრო გავიდა და არაფერში რომ არ გავიდა. ეს 4 წელი რა, რა გავაკეთე-თქო, რა გავაკეთე? აი, დროს რომ ვერ დააბრუნებ უკან. ყველა წამი დათვლილია, ხო? დროს ფასი აქვს. ყველაფერს აქვს ფასი და დროს განსაკუთრებით და დრო მიდის. აი, რამდენჯერ მიფიქრია, რა მინდოდა, აქ რომ წამოვედი, ეს 4 წელი? რატომ? (ნინო, 43).

ამრიგად, რესპონდენტებისთვის ემიგრაციის გამოცდილებაში საზრისის პოვნა ნათელ მიზნებს უკავშირდება, რომელიც ოჯახის წევრების დახმარებას, უკეთესი მომავლის შექმნას ემსახურება. სხვა შემთხვევაში ინდივიდებს უჭირთ ემიგრაციის გამოცდილებაში საზრისის დანახვა და უპასუხოდ რჩებათ კითხვა, თუ რა გააკეთეს ემიგრაციაში წამოსვლით. ის რესპონდენტები, რომლებმაც იპოვეს საზრისი ემიგრაციაში და ნათელი წარმოდგენა აქვთ საკუთარი მიზნების შესახებ, უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე ისინი, ვისაც საზრისი არ უპოვია. ეს უკანასკნელნი ემიგრაციას ფუჭად ჩავლილ დროდ მიიჩნევენ და დიდ სინანულს გამოხატავენ წამოსვლის გადაწყვეტილების გამო.

7.1.6. კონტროლის შეცვლა

საკუთარი ცხოვრების მართვის უნარის შესახებ ინდივიდის რწმენა ზემოქმედებს იმაზე, თუ როგორ უმკლავდება ადამიანი სიტუაციას და საერთოდ უმკლავდება თუ არა მას. ინდივიდის მიერ საკუთარი ცხოვრების მართვის სადავეების ფლობის განცდა, მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება უცხო ქვეყანაში ცხოვრების დაწყებისას, როდესაც ახლოს არ არის ის სოციალური წრე თუ ადამიანი, რომელიც ჩვენს მაგივრად მიიღებს გადაწყვეტილებას. ემიგრანტების ნაწილი წარმატებით უმკლავდება ამ ამოცანას.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

როდესაც მიდიხარ სრულიად უცხო სამყაროში, ენა არ იცი და გამოცდილება არა გაქვს, ნამდვილად ცხოვრებისეული გამოწვევაა, რომ შენ რჩები მარტო, დამოუკიდებელი და უნდა მიიღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რაღაც მიზანი უნდა დაისახო, რომ შენ ეს უნდა გააკეთო. აქ ვერავინ ვერაფერს გირჩევს. შენ უნდა მიხედო შენ თავს. ეს იყო დიდი გამოწვევა და მაშინ მივხვდი, რომ აქ მართლა ჩემი თავის პატრონი ვარ და მივხედავ, აი, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ გავაკეთებ ისე. ჩემით გავიკვლიე გზა, ჩემით მოვედი დღემდე და ეს მართლა დიდი გამოწვევა იყო ცხოვრებაში. დღემდე მოვედი ისე, რომ არავისთვის არ მითხოვია აბსოლუტურად არაფერი (ლელა, 49).

მე ჩემი თავისუფლება არ მქონია. თავისუფლებაში ვგულისხმობ იმას, რომ ვერ მივიღებდი გადაწყვეტილებას ისე, რომ არ მეკითხა მეუღლისთვის, არ მეკითხა დედისთვის, არ მეკითხა მამისთვის და ასე შემდეგ. აქ მთავარი გამოწვევა ის იყო, რომ მე დავრჩი მარტო... ჩემ თავთან და მე უნდა გადამეწყვიტა. ეს გამოცდაც ჩავაბარე და ეხლა თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ დამოუკიდებელი ქალი ვარ (ლიკა, 29).

თუმცა, სხვა შემთხვევებში რესპონდენტის მიერ კონტროლის საკუთარ თავზე აღება და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხერხდება, თუნდაც ეს გადაწყვეტილება მათთვის სასიკეთო შედეგის მომტანი იყოს, ფინანსური თვალსაზრისით მაინც:

ძალიან მიჭირს სიტუაციის გამოცვლა. სამსახურს ვგულისხმობ. თავის დროზე თავისუფლად შემეძლო, რომ მასწავლებლობიდან სხვა რაღაცა გამეკეთებინა, მაგრამ, აი, ისევ ეს ჩემი ხასიათია, როგორც ჩანს (მეგი, 53).

ამრიგად, კონტროლის განცდა მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მიერ სიტუაციასთან გამკლავების წარმატებულობას (Boss, 2006). უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ ერთ-ერთი გამოწვევა კონტროლის საკუთარ თავზე აღებას უკავშირდება. ინდივიდების ნაწილი წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ეს ადამიანები მეტი მედეგობით გამოირჩევიან. თუ ინდივიდს არ აქვს რწმენა, რომ გარემოს მართვა შეუძლია, მას უჭირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება; იმ გადაწყვეტილების, რომელიც დადებითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მისთვის.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

7.1.7. იდენტობის რეკონსტრუქცია

იდენტობის რეკონსტრუქცია ახალი როლის მორგებით, ემიგრაციამდე არსებული იდენტობის გადაწყობით ხდება. მანამდე არსებული სტატუსი და იდენტობა იქ იგივე ვერ იქნება და საჭირო ხდება საკუთარი თავის ხელახლა განსაზღვრა. როგორც აღმოჩნდა, მედეგობა მჭიდროდ უკავშირდება იდენტობის რეკონსტრუქციის უნარს, რომელიც, თავის მხრივ, ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: (1) რამდენად შეუძლია ინდივიდს ახალი იდენტობის მიღება, რომელსაც მას სხვა ადამიანზე ზრუნვის სამუშაო ახვევს თავს და (2) ლეგალური/არალეგალური ემიგრანტის სტატუსი, რაც ნიშნავს დოკუმენტის ქონას, რაც მას საშუალებას აძლევს, ლეგალურად იცხოვროს და იმუშაოს ქვეყანაში.

მოხუცთან მოსაველეად რომ შევედი, რომელიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებოდა, მეგონა გამიჭირდებოდა, იცი? მაგრამ შევხედე ამ ყველაფერს როგორც ვარ, არა ბუღალტერი ან მთავარი ბუღალტერი, არამედ ვარ შვილი, შვილიშვილი, სანიტარი. თუ მარტო იმაზე იფიქრე, რომ მე ქართველი ვარ და გუშინ კაბინეტში ვიჯექი... მეც ვიჯექი კაბინეტში, დაკაკუნების გარეშე ვერ შემოდოდნენ ჩემთან, მაგრამ ნურას უკაცრავად. თუ არ შეხედე სხვა კუთხით, პირდაპირ ის კუთხე, რომ მე ქალი ვარ, აქ არ გამოდგება (დოდო, 63).

ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო, რომ პედაგოგი, ისტორიკოსი, საუკეთესო პროექტის გამარჯვებული და დანაჯილდოვები უნდა წამოვსულიყავი აქ. ძნელი გადასახარშია და თავმოყვარეობაზეც ძალიან მოქმედებს, მაგრამ გადავლახე (მაკა, 40).

დღემდე მიჭირს, მაგრამ ახლა უფრო ადვილად წარმოვთქვამ იმ სიტყვას, რაც ქვია ჩვენ საქმიანობას. პირველად საერთოდ მიჭირდა ამ სიტყვის წარმოთქმა. უნდა ვაღიარო, რომ სასტიკად გამიჭირდა ჩემი ამ სიტუაციის გათავისება, რომ რაღაცა იყო და ეს არ ვყოფილვარ სულ, რაც ეხლა ვარ. ეს მომენტი ძალიან გამიჭირდა და ვერ ვიტყვი რომ გადავლახეთ (მეგი, 53).

თუ ზოგ შემთხვევაში იდენტობის რეკონსტრუქცია სამსახურის ტიპს, მასთან დაკავშირებული იდენტობის მიღება/მიუღებლობას ეხებოდა, სხვა შემთხვევაში იდენტობის რეკონსტრუქციას ართულებდა ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის უქონლობა.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ყველაზე მეტად რაც მაწუხებს, არის ის, რომ ამ ქვეყანაში ვარ არავინ, უსაბუთო და აბსოლუტურად არავინ და არაფერი. მაქვს ეს პრობლემა. მაქვს ეს კომპლექსი, რომ ქუჩაში გამაჩეროს ვინმემ, ვინ ხარ? რა ხარ? საბუთი არ გაქვს, არაფერი არ გაქვს. ცოტა დამამცირებელია, ცოტა არა, დამამცირებელია ეს, ანუ არავინ არა ხარ (მეგი, 53).

ახალ ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვანია ხელახლა განისაზღვროს იდენტობა და პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ ვინ არის ინდივიდი ახლა და რა როლი უნდა შეასრულოს კონკრეტულ თემსა და საზოგადოებაში. ემიგრანტების მთავარ გამოწვევას სამსახური და მასთან დაკავშირებული იდენტობა წარმოადგენს. ასევე, ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე ცხოვრება და არალეგალური ემიგრანტის სტატუსი იდენტობის რეკონსტრუქციის ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება.

ამრიგად, მონაწილეთა მედეგობა, ისეთ გარემოებებთან ერთად, როგორცაა მათი იდენტობის რეკონსტრუქცია და ლეგალიზაციის დოკუმენტის მოპოვება, აისახება ადაპტაციის და კარგად ყოფნის განცდაზე. კერძოდ, უფრო მედეგი ადამიანები უკეთ მოერგნენ ახალ ცხოვრებას. კვლევის მონაწილეთა მიერ მოთხრობილი ამბების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მედეგობა, როგორც ინდივიდუალური მახასიათებელი, იდენტობის რეკონსტრუქციისა და ახალი ცხოვრების დაწყების ბუფერის როლს ასრულებს.

7.1.8. ამბივალენტობის ნორმალიზება

ემიგრანტების მონათხრობებში ამბივალენტობა გამოიხატება ახალი ქვეყნისა და ხალხის მიმართ ურთიერთსაპირისპირო განცდების არსებობით. ემიგრანტები ხაზს უსვამენ ახალი და საკუთარი ქვეყნის კულტურასა და წარმომადგენლებს შორის განსხვავებულობას. ამიტომ მათდამი აგრესია და სიმპათია ერთმანეთს ენაცვლება.

იტალია ძალიან ლამაზია და ხალხიც არ არის ცუდი. შეიძლება რაღაც არ მოგეწონოს, მაგრამ ისეთი კარგი რაღაცა გაგიკეთონ, რომ თვითონ გაგიკვირდება და იტყვი, რომ რატომ მქონდა ამ ხალხზე ცუდი წარმოდგენაო. ალბათ, აქ პროტესტის გრძნობა მეტი მაქვს, ვიდრე ჩემ ქვეყანაში და ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს აქ იმიტომ, რომ ეს არ არის ჩემი ქვეყანა და ვფიქრობ, ძალიან ბევრი ადამიანი გრძნობს იგივეს (თამარა, 53).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ბევრი რაღაც არ მოგვწონს, მაგრამ რომ დაუკვირდები, არ არიან ცუდი აზროვნების და ცუდი ტაქტი არა აქვთ, ცხოვრების ტაქტიკა, იცი? (ნათია, 53).

ამბივალენტური განცდები ზრუნვის ობიექტების მიმართაც იჩენს თავს. ამ შემთხვევაში რესპონდენტები სიბრალულისა და ბრაზის ურთიერთმონაცვლეობაზე საუბრობენ. არასათანადო მოპყრობისგან გამოწვეული ბრაზი მათ სამსახურის დატოვებისა და სხვა შესაძლებლობის ძიებისკენ მიუთითებთ, მაგრამ სიბრალულის განცდა სამსახურში დარჩენისკენ უბიძგებთ.

ამდენად, ამბივალენტური ემოციები ახალი საზოგადოების და ზრუნვის ობიექტების მიმართ იჩენს თავს, მაგრამ მონათხრობებში არ იკვეთება, რომ ამ ამბივალენტურ განცდებს რაიმე წვლილი შეაქვთ მედეგობის შექმნაში.

7.1.9. მიჯაჭვულობის გადასინჯვა

მიჯაჭვულობების გადასინჯვასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც რესპონდენტი ხედავს, რომ ურთიერთობა თვისებრივად შეიცვალა, ისეთი აღარ არის, რაც იყო, თუმცა იმასაც აცნობიერებს, რომ, დროის გასვლასთან ერთად, ეს ცვლილება ნორმალურია და, შესაბამისად, მისაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ დეტალები ვიცი ცუდიც და კარგიც, რაც მომეწონება და რაც არ მომეწონება, ჩემი შვილების. ბუნებრივია, ის, რომ ეს აღარ არის ის ურთიერთობა, რაც იყო (მეგი, 53).

წლები რომ გადის, ძალიან ძნელია. ყველასთან უცხო ხდები. არ გინდა, მაგრამ ხვდები, რომ უცხო ხარ. უცხო არა ხარ, მაგრამ ბევრი რაღაც შეცვლილა, გაზრდილან. გოგოს ქმარი ყავს და იმდენად ახლოს ვეღარ ხარ (ეკა 53).

4 წელიწადი სხვა ქვეყანაში როცა ცხოვრობ და ვბრუნდები უკან, როგორც აქ იტალიაში ჩამოსვლისას დავიწყე ნულიდან ცხოვრება, როცა დავბრუნდი, მივხვდი, რომ იქაც ნულიდან უნდა დამეწყო ცხოვრება. ყველაფერი შეცვლილი დამხვდა, ბავშვები გაზრდილები და ადამიანები შეცვლილები იყვნენ, ყველაფერი სხვანაირი იყო. ჩემი მეგობრები მიმოფანტული, სადაც მივედი, აღარ იყო უკვე ის ნაცნობობა, რაც იქ დავტოვე (კესო, 33).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მიჯაჭვულობების გადასინჯვასთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ემოციური გაზიარების შესაძლებლობა თამაშობს. ფიზიკური დაშორების შემდეგ ემიგრანტები აღნიშნავენ ურთიერთობებში ცვლილებას. კავშირი შეიძლება შენარჩუნებული იყოს, მაგრამ თვისებრივად ეს უკვე აღარ არის ადრინდელი ურთიერთობა. ადამიანები ემოციურადაც შორდებიან ერთმანეთს.

წლები გადის და ურთიერთობა ცივდება. სალამოს, როდესაც შვილებთან ვლაპარაკობ, აღარ გვაქვს ის დედობრივი საუბარი, როგორც ყოველდღე შვილთან ურთიერთობისას გვაქვს, დაჯდები, ესაუბრები და განიხილავ დღეს. ჩემთვის ეს აღარ არსებობს, ჩემთვის მხოლოდ ის არის, რომ ვიცოდე, კარგად არიან, არ შიათ, არ წყურიათ. თითქოს რაღაცნაირად დავშორდით ერთმანეთს. თითქოს რაღაც ზღვარი გაიბა დედასა და შვილს შორის. აღარ გვაქვს იმდენი სასაუბრო. არ გვაქვს შესაძლებლობა დაჯდე და შენი ტკივილი გაუზიარო. შენ შორს ხარ (ანა, 41).

ამრიგად, რესპონდენტების მონათხრობებში ჩანს დროს გასვლასთან ერთად მომხდარი ცვლილებები მიჯაჭვულობებში და ურთიერთობების შეცვლილი ხასიათი, რაც სრულიად ლოგიკურია რესპონდენტის ემიგრაციაში ყოფნის კვალდაკვალ. თუმცა, მონათხრობებში არ იკვეთება მიჯაჭვულობის გადასინჯვის წვლილი მედეგობის გაძლიერებაში.

7.1.10. იმედი

ემიგრანტების მონათხრობებში იმედი, იგივე სამომავლო სიკეთის რწმენა, ემიგრაციის დასრულებას და ოჯახთან დაბრუნებას, უფრო გლობალურად კი იმის რწმენას გულისხმობს, რომ სამომავლოდ ქვეყანაში სიტუაცია გამოსწორდება და სამშობლოს დატოვება ეკონომიკური პრობლემების გამო არავის მოუწევს.

დიდი იმედი მაქვს, ახლო მომავალში დადგება ის დრო, რომ საქართველოში ჩემს სახლში დავბრუნდები. ძალიან დიდი იმედი მაქვს ამის (ნათია, 53).

მომავალი ჩემი ცხოვრება წარმომიდგენია ძალიან ხალისიანი, ჩემ შვილებთან ერთად, შვილიშვილებთან ერთად, აი, იმ სამეგობრო წრესთან ერთად, რომელიც შევიძინე (ნაზი, 38).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ოპტიმისტი ვარ ძალიან. ვიძახი, რომ მალე, მალე გამოსწორდება სიტუაცია. ჩვენთვის ეს არის განსაცდელი, რომ გამოვიცადოთ, მჯერა, რომ იქნება. მჯერა, რომ იქნება, მაგრამ იმ „იქნებამდე“ უნდა გავძლო, გავაძლებინო ჩემ თავს, რომ შვილებს უფრო დავეხმარო (მედეა, 43).

ამრიგად, ემიგრანტების სამომავლო იმედები და გეგმები ოჯახში დაბრუნებას და ქვეყნის ზოგადი სიტუაციის გამოსწორებას უკავშირდება. ამ იმედებს გარკვეული წვლილი შეაქვს ემიგრანტების გაძლიერებაში, და ფიქრი, რომ ეს ყველაფერი დასრულდება და მათი შრომა ოჯახის ან ქვეყნის დონეზე გარკვეულ გავლენას იქონიებს ეხმარებათ არსებულ მდგომარეობასთან გამკლავებაში.

7.1.11. სხვა მნიშვნელოვანი თემები

გარდა ზემოთ აღწერილისა, თემატური ანალიზით კიდევ ორი მნიშვნელოვანი თემის გამოვლენა გახდა შესაძლებელი: (ა) ემიგრაცია, როგორც ტრავმა და (ბ) საბუთის, როგორც ლეგალურად ცხოვრებისა და მუშაობის უფლების, მნიშვნელობა.

როდესაც კვლევის მონაწილეებს თავიანთი ცხოვრების თავებისგან შემდგარი წიგნის სახით დალაგება ვთხოვეთ, პრაქტიკულად ყველა მათგანმა ემიგრაციას, თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უწოდა. ემიგრაციაში წასვლის გამოცდილებას აღწერდნენ, როგორც ცხოვრების გარდამტეხ მომენტს, რომელსაც ხშირად აღწერენ, როგორც ძალიან სტრესულ ან ტრავმულ გამოცდილებას. ემიგრაციის შესახებ თხრობას ორი მიმართულება ჰქონდა: (ა) ემიგრაციაში ცხოვრება, როგორც ცხოვრების ერთ-ერთი თავი, ან (ბ) ემიგრაციაში წასვლა, როგორც გარდამტეხი მომენტი, რომელიც მთელ ცხოვრებას ორ ნაწილად – ცხოვრება (განურჩევლად ასაკისა და სხვა მოვლენებისა) ემიგრაციამდე და მის შემდეგ – ყოფს.

ვისაც ამ კითხვას დაუსვამთ, ალბათ, ყველასთვის ერთი უზარმაზარი თავი არის ემიგრაცია. აქ ყველა ჩვენგანისთვის ორი თავი არსებობს: ემიგრაციამდე და მის შემდეგ. სხვა თავი აღარ გვაქვს, რადგან ახლა ბავშვობას ან სხვა ეტაპებს ნაკლებად ვიხსენებთ (მაკა, 40).

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

საბუთის, როგორც ლეგალურად ცხოვრებისა და მუშაობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, მნიშვნელობა, ემიგრაციაში ცხოვრების გამოცდილების ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. როგორც აღინიშნა, ემიგრანტების უმრავლესობას არ ჰქონდა უცხო ქვეყანაში ცხოვრების სამართლებრივი უფლება, რაც მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა იტალიაში ჩასვლის მომენტიდან. მათთვისაც კი, ვისაც აქვს ცხოვრებისა და მუშაობის უფლების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი, საბუთის აღება ემიგრაციაში ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გარდამტეხი მომენტია, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოყვება.

საბუთის ქონა/არ ქონის მნიშვნელობა რამდენიმე საკითხს მოიცავს და საფიქრებელია, რომ სწორედ ამის გამო იძენს ის ასეთ ცენტრალურ როლს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არალეგალური ემიგრანტის სტატუსი ხელს უშლის იდენტობის რეკონსტრუქციას და ერთგვარი ორაზროვნების წყაროსაც წარმოადგენს, ვინაიდან საკუთარი იდენტობის განსაზღვრის პროცესს აფერხებს. ადამიანი არის და თან არ არის მოცემულ დროსა და სივრცეში. ეს კი სერიოზული დამაბრკოლებელი და შემზღვევადი ფაქტორია როგორც საკუთარი თავის აღქმისთვის, ისე – იდენტობის რეორგანიზებისა და ახალი როლების განსაზღვრის გზაზე. ამასთან, ეს სწორედ ის სტატუსია, რომელთან ერთადაც ცხოვრებაც უსიამოვნო და ხშირად დამამცირებელია. სწორედ ამიტომ მათთვის, ვინც იტალიაში ლეგალურად ცხოვრობს და მუშაობს, ამ საბუთის მიღება გარდამტეხი მოვლენა იყო, რამაც განსაზღვრა მათი ცხოვრების დადებითი მიმართულებით განვითარება. როგორც ერთ-ერთ რესპონდენტი აღნიშნავს:

დოკუმენტის მიღების მომენტიდან, უფრო სრულფასოვანი გავხდი. მრავალი თვალსაზრისით აღარ ვიყავი შეზღუდული. უკვე შემეძლო, აღარ შემშინებოდა. ახლა შემეძლო, თავი ამეწია და თამამად მევლო. შემეძლო ცხოვრებაში წინსვლა (ლიკა, 29).

ხოლო მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არალეგალი ემიგრანტები არიან, ასეთი დოკუმენტის არქონა ობიექტურად წარმოადგენდა მთავარ პრობლემას ქვეყანაში შესვლის მომენტიდან და უამრავი დაბრკოლებაც შეუქმნა მათ.

მეორე მხრივ, დოკუმენტის ქონა უკეთესი სამსახურისა და ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას უკავშირდება. ის ემიგრანტები, რომლებიც არალეგალურად/უკანონოდ

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

იმყოფებიან ქვეყანაში, აღნიშნავენ, რომ უსაბუთოდ ნაკლებანაზღაურებადი საქმის კეთება და, შესაბამისად, შედარებით მძიმე პირობების ატანა უწევთ, რასაც საბუთის ქონა თავიდან აარიდებდათ.

ჩემი პრობლემა ის არის, რომ მრავალი წლის განმავლობაში არალეგალურად ვმუშაობდი... ოფიციალურად საბუთი რომ მქონდეს, ამდენი ხანი აქ აღარ ვიქნებოდი, ვნახავდი ჩემს შვილებს. დოკუმენტი სხვადასხვა გზით გეხმარება. გაქვს მე-13 ხელფასის უფლება, ანაზღაურებადი შვებულება. ისინი არაფერს გიხდიან, როდესაც არალეგალი ხარ... იურიდიული დოკუმენტის არქონა ქმნის ამ პრობლემას და პირველ რიგში, ვერ შეძლებ საზღვარგარეთ გამგზავრებას, საკუთარ ქვეყანაში წასვლას და დაბრუნებას... წლების განმავლობაში უნდა დაველოდო ოდესმე შეიძლება კანონი შეიცვალოს ან ახალი შემოვიდეს (მედია, 46).

ლეგალურად დასაქმების უფლება უშუალოდ უკავშირდება არჩევანის შესაძლებლობას. ასევე, ემიგრანტებს საშუალება აქვთ, მეტი მოთხოვნა ჰქონდეთ, მეტი კრიტერიუმით შეარჩიონ სამსახური და უკეთესი სამუშაო პირობები და ანაზღაურება მოითხოვონ; ასევე, დაიცვან საკუთარი უფლებები კანონის ფარგლებში და დამსაქმებელსაც მოსთხოვონ ყველაფერი კანონის შესაბამისად.

რესპონდენტების უმრავლესობისთვის საბუთს უკავშირდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. თუ არალეგალური ემიგრანტობა შედარებით დაბალანაზღაურებად სამსახურს, მძიმე სამუშაო პირობებისა და ანაზღაურებას ნიშნავს, რაც, საბოლოო ჯამში, დამატებით სტრესულ გარემოს ქმნის, ლეგალური ემიგრანტობა, პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, სამშობლოში გამგზავრებისა და ოჯახის მონახულების შესაძლებლობის ტოლფასია. კანონიერი შრომის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ, წელიწადში ერთხელ კუთვნილი ერთთვიანი შვებულება მოითხოვონ და საქართველოში მყოფი ოჯახები მონახულონ.

რომ შევაჯამოთ, უცხო ქვეყანაში კანონიერად ცხოვრების უფლებას ემიგრანტებისთვის ორი მნიშვნელოვანი პირობა აქვს. ერთი მხრივ, ის იდენტობასთან დაკავშირებული საკითხია. მეორე მხრივ, წარმოადგენს ინსტრუმენტულ საშუალებას ორი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

კუთხით. საბუთის არსებობა უკეთესი სამსახურის და ანაზღაურების მიღების გზაა და უმთავრესი, ის წელიწადში ერთხელ სამშობლოში დაბრუნების და ოჯახის წევრების მონახულების პირდაპირ გზას წარმოადგენს.

7.2. დისკუსია

ორაზროვანი დანაკარგის თეორიის (Boss, 2006) მიხედვით, ემიგრაციაში ცხოვრება ორაზროვანი დანაკარგის ნაირსახეობაა. ფალიკოვი (Falicov, 2002) ამტკიცებს, რომ ეს ეხება ტრანსნაციონალური ემიგრაციის გამოცდილებას, ემოციურ და ფსიქოლოგიურ დანაკარგებს და ემიგრანტთა ბრძოლას სამშობლოში დარჩენილ ახლობლებთან მჭიდრო ემოციური კავშირის შენარჩუნებისთვის. ასევე, კვლევა აჩვენებს (Solheim et al., 2016), რომ ემიგრაცია, სამშობლოსთან, მშობლიურ ლინგვისტურ გარემოსთან და ადათ-წესებთან, მეგობრებთან და, რაც მთავარია, ოჯახთან დაშორების გამო გარკვეული ხარისხით ბადებს დანაკარგის განცდას.

იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ინტერვიუების ტრანსკრიპტების გაანალიზებამ აჩვენა, რომ ემიგრანტებს ნამდვილად აქვთ დანაკარგის განცდა, რაც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ოჯახისგან შორს ცხოვრებას. კვლევის მონაწილეებმა საკუთარი ცხოვრების ისტორიაში ისაუბრეს ემიგრაციაში გატარებულ წლებზე, ოჯახურ ცხოვრებაში ფიზიკურად მონაწილეობის და, შესაბამისად, ოჯახის წევრებთან ერთად მნიშვნელოვანი მომენტების გაზიარების შესაძლებლობის არქონის შესახებ. ეს გამოცდილება შეიძლება დანაკარგად მივიჩნიოთ და რესპონდენტები სუბიექტურად დანაკარგად განიცდიან კიდევ; თუმცა დანაკარგთან ერთად, ემიგრანტები ნათლად ხედავენ ემიგრაციაში გატარებულ წლებში მიღებულ შენაძენს. ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში მიღებული სარგებელი, იქნება ეს საკუთარი ოჯახის წევრების მატერიალური დახმარება, თუ შვილებისთვის უკეთესი მომავლის შექმნა, დანაკარგის განცდასთან არის შეწყვილებული, რაც, საბოლოო ჯამში, დანაკარგს ორაზროვნების საფარველში ახვევს.

კვლევის მონაწილეების ორაზროვნების კიდევ ერთი წყარო იყო ოჯახთან გაერთიანების დროის შესახებ არსებული ბუნდოვანება. ეს ვითარება კარგად ეთანადება უკვე არსებული კვლევის შედეგებს (Solheim et al., 2016). ერთ-ერთი კვლევის (Perez & Arnold-Berkovits, 2019) მიხედვით, ოჯახის და ახლობელი ადამიანების დატოვება იმის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ცოდნის გარეშე, თუ დანამდვილებით როდის და როგორ გამთლიანდება ოჯახი, ტიპური სცენარია ემიგრაციის დროს და სტრესულია როგორც თავად ემიგრანტისთვის, ისე მისი სამშობლოში დარჩენილი ოჯახისთვის.

ორივე, საზღვრების ორაზროვნება და როლები ოჯახის სისტემაში, კვლევის მონაწილეთა ცხოვრების ისტორიის რამდენიმე წამყვან თემას შორის იყო. ოჯახის წევრის ემიგრაციის შემდეგ პასუხისმგებლობებსა და როლებში ცვლილებების გარდაუვალობა სხვა კვლევაშიც (Pribilsky, 2004) დასტურდება. როდესაც ემიგრანტმა ნათლად იცის თავისი ამჟამინდელი როლი ოჯახში და ოჯახი ერთობლივად მსჯელობს თავისი წევრების როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ის ინარჩუნებს ცალსახად განსაზღვრულ და მკაფიო საზღვრებს. ამასთან, როდესაც ოჯახის წევრები ერთმანეთისგან განსხვავებულად ხედავენ სიტუაციას, შეიძლება იყოს უთანხმოება აწმყოში როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესისა და ფორმის თაობაზე და, ასევე, იმ მოლოდინების შესახებ, რომელიც ოჯახს თითოეული წევრის მიმართ აქვს შესრულებულ ამოცანებთან დაკავშირებით. ამრიგად, ოჯახის ერთ-ერთი წევრის ემიგრაციაში წასვლის შემთხვევაში ჩნდება რისკი, რომ ოჯახის საზღვრები აირიოს და ბუნდოვანი გახდეს, რაც, თავის მხრივ, ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტებსა და გაუცხოებას ედება საფუძვლად.

ემიგრანტის ფსიქოლოგიური ოჯახი, რომელიც სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებისგან შედგება, ყოველდღიური ფიქრისა და მზრუნველობის საგანია. მათ წინაშე აღებული პასუხისმგებლობა ასობით კილომეტრის მოშორებითაც შენარჩუნებულია. როგორც ბოსმა (2006) აღნიშნა, ფსიქოლოგიური ოჯახი მხარდაჭერის დიდი ძალაა რთულ პერიოდებში, როდესაც ფიზიკური ოჯახი არ არის ახლოს. გარდა ამისა, ახალი ურთიერთობები მასპინძელ ქვეყანაში – მეგობრები ან ადამიანები, რომელთათვისაც მუშაობენ – შეიძლება გახდეს ემიგრანტების ფსიქოლოგიური ოჯახის ნაწილი. წინამდებარე კვლევის შედეგები კარგად ერგება თეორიას: უმეტეს შემთხვევაში, ემიგრანტებმა დაამყარეს ახალი ურთიერთობები ძლიერი ემოციური კავშირებით, თუმცა ეს ყოველთვის არ ეხება სამსახურთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სამსახურთან დაკავშირებული ურთიერთობები შეიძლება იყოს როგორც დამატებითი სტრესის წყარო, ისე – მხარდაჭერი ძალა. ორივე შემთხვევაში, ოჯახს, რომელშიც ემიგრანტი მუშაობს,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ეწოდება "ოჯახი", რადგან ის მათთან ერთად ცხოვრობს და ოჯახის ერთ-ერთი წევრის მომვლელის ვალდებულება აკისრია. როდესაც დამსაქმებელი კეთილგანწყობილია და დადებით დამოკიდებულებას ავლენს ემიგრანტის მიმართ, მხოლოდ მაშინ ჩნდება ოჯახის განცდა და ის ფსიქოლოგიურ ოჯახად აღიქმება.

ბაუმეისტერი და ლირი (Baumeister & Leary, 1995) აღნიშნავენ, რომ ინდივიდებს არ სურთ არსებული მიჯაჭვულობების გადაწყობა ანდა შეცვლა და, როდესაც იძულებულნი ხდებიან, ასე მოიქცნენ, განიცდიან მწვავე სტრესს, რაც, თავის მხრივ, მიჯაჭვულობების რესტრუქტურისაციისკენ უბიძგებს მათ. გარდა ამისა, გარემომ, რომელშიც ემიგრანტებს მსგავსი გამოწვევები და გამოცდილება აქვთ, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უფრო ძლიერი კავშირების ჩამოყალიბებაში. ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ ნეგატიურმა გამოცდილებამ შეიძლება გააძლიეროს ინტერპერსონალური მიზიდულობა (Elder, Caspi, & Burton, 1988; Kenrick & Johnson, 1979). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონტექსტი, რომელსაც ქმნის საზიარო გარემო და გამოცდილება, მსგავსი გამოწვევები და უარყოფითი ემოციებით დატვირთული გამოცდილებები, ადამიანებს მხარდაჭერის დამატებითი წყაროს ძიების მძლავრ მოტივაციას უქმნის. შედეგად ისინი აფართოებენ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებისგან შემდგარ ფსიქოლოგიურ ოჯახს ახალი მეგობრებისა და კონტაქტების დამატებით.

ცხოვრებისეული სირთულეების მიმართ მედეგობის გამომუშავების საჭიროება/აუცილებლობა, როგორც ჩანს, ემიგრანტებისთვის ძირითადი გამოწვევაა. უფრო მედეგი რესპონდენტები გაცილებით ნაკლებ სტრესს განიცდიდნენ, ვიდრე შედარებით ნაკლებად მედეგნი, რაც მათ ნარატივებში მეტი უარყოფითი ემოციების შესახებ თხრობაშიც შეინიშნებოდა.

ახალ ქვეყანაში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლის შემდეგ, მედეგობის გამომუშავება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. ინდივიდები, რომლებმაც შეძლეს სიტუაციის კონტროლის სადავეების საკუთარ ხელში აღება, წარმატებით მოახდინეს იდენტობის რეკონსტრუქცია, საზრისი იპოვეს ემიგრაციაში ცხოვრებაში და არც მომავლის იმედი დაუკარგავთ. ისინი იმედოვნებენ, რომ მალე დაუბრუნდებიან ოჯახებს. ეს ადამიანები იყვნენ სწორედ ისინი, ვის მონათხრობებშიც იკვეთებოდა მეტი მედეგობა.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ემიგრანტების ნარატივებში კარგად ჩანდა მიჯაჭვულობების გადასინჯვა და ამბივალენტობის ნორმალიზება, თუმცა არ გამოკვეთილა რომელიმე მათგანის გავლენა მედეგობის შექმნაზე. ბოსის (2006) დაშვებით, მედეგობის შექმნის სახელმძღვანელო პრინციპები ცირკულარულია და არა – სწორხაზოვანი. მათ იმ თანმიმდევრობით იყენებენ ადამიანები, რომელიც კონკრეტულ კონტექსტს ერგება, თუმცა, საბოლოოდ, საუკეთესო შედეგს ყველა მათგანის ერთობლივი გამოყენება იძლევა. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, კონტროლის შეცვლა, იდენტობის რეკონსტრუქცია, საზრისის პოვნა და იმედი სწორედ ის განზომილებებია, რომლებმაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს კვლევის მონაწილეთა მედეგობის შექმნაში.

რომ შევაჯამოთ, იტალიაში მცხოვრები და მომუშავე კვლევის მონაწილეები ოჯახების დატოვების საკუთარ გამოცდილებას უაღრესად სტრესულად აღიქვამენ. ემიგრაციაში, ოჯახისგან შორს ცხოვრებას თან ახლავს დანაკარგის განცდა, რომელიც ოჯახის წევრებთან ფიზიკური განცალკევებას, საკუთარი როლების შეუსრულებლობას, მონატრებასა და მანძილზე შენარჩუნებულ ურთიერთობებს ეხება. დანაკარგის განცდას თან ახლავს ორაზროვნება, რომელსაც დანაკარგისა და შენაძენის შეგრძნებების ჭიდილი და ოჯახის წევრებთან გაერთიანების შესახებ არსებული ბუნდოვანება ქმნის.

ოჯახის საზღვრები და როლები ორაზროვნების ყველა ნიშანს ატარებს. ამასთან, საზღვრების ორაზროვნება ყოველთვის არ ქმნის პრობლემას, რადგან ოჯახი და ემიგრაციაში წასული წევრი ახერხებენ ოჯახის სტრუქტურაში როლების მოდიფიცირებას და წარმატებით უმკლავდებიან სიტუაციას, საერთო მიზნების გათვალისწინებით. კვლევის მონაწილეები აგრძელებენ ოჯახის წევრების საკუთარ კოგნიტიურ და ემოციურ ცხოვრებაში ფსიქოლოგიურ ოჯახად შენარჩუნებას. ამასთან, ახალმა ურთიერთობებმა გააფართოვა მისი საზღვრები. მედეგობის შესანარჩუნებლად ინდივიდები, შეძლებისდაგვარად, საკუთარ თავზე იღებენ სიტუაციის კონტროლის სადავეებს, ახერხებენ იდენტობის რეკონსტრუქციასა და ახალ რეალობაზე მორგებას, ახალ ცხოვრებაში, როლსა და საქმიანობაში პოულობენ საზრისს და აქვთ ნათელი მიზნები და იმედი, რომ ემიგრაციაში ყოფნა სასრულია და მალე დაუბრუნდებიან სამშობლოში დარჩენილ ოჯახს. ცხოვრების ნარატივებში ამ თემების გამოტანით კარგად ჩანს,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

რამდენად წარმატებით უმკლავდება ემიგრანტი ახალ ცხოვრებას და ყოველდღიური ცხოვრების გამოწვევებს. დაბოლოს, მეტად მედეგ ადამიანებს უადვილდებათ ორაზროვნებასთან, დანაკარგთან და ზოგადად ემიგრაციის სტრესულ გამოცდილებასთან გამკლავება.

თავი 8 - რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე დაიგეგმა და კვლევის მიზანს იმ ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენდა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ შრომითი ემიგრანტების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდაში, რომლებიც დანაკარგისა და საზღვრების ორაზროვნების მდგომარეობაში იმყოფებიან.

თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, ემიგრაციაში ცხოვრებას თან ახლავს ორაზროვნება და ბუნდოვანება ოჯახის გაერთიანების დროის შესახებ. ზოგიერთი რესპონდენტის შემთხვევაში განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქმება ემიგრაციის დასრულებისა და ოჯახთან გაერთიანების დროის შესახებ არსებული ბუნდოვანება და ემიგრაციაში ყოფნის დასრულების პერიოდის შესახებ არსებული სიცხადის ნაკლებობა მძიმე ასატანს ხდის ემიგრანტების ყოველდღიურობას. აქედან გამომდინარე ვიმსჯელებთ, რომ ზოგადად ინდივიდის ტოლერანტობას ორაზროვნებისა და გაურკვევლობის მიმართ, შესაძლოა გარკვეული წვლილი შეჰქონდეს ინდივიდის მიერ საზღვრების ორაზროვნების განცდაში, რომელიც ორაზროვანი დანაკარგით იქმნება – სიტუაციით, რომელიც მოკლებულია დასრულების/დახურვის შესაძლებლობას. ვივარაუდებთ, რომ საზღვრების ორაზროვნება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს სიცხადის მოთხოვნილებას, რაც განსჯის, გადაწყვეტილებისა და არჩევანის გაკეთების დროს დასრულების/დახურვის მიღწევის მოტივაციას წარმოადგენს (Webster & Kruglanski, 1994) და განისაზღვრება, როგორც პასუხების მიღების სურვილი, რათა დასრულდეს ინფორმაციის გადამუშავება და განსჯა, მაშინაც კი, თუ ეს პასუხი არ არის სწორი ან საუკეთესო ვარიანტი (Roets & Van Hiel, 2011).

თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ემიგრაციის გამოცდილებაში საზრისის პოვნა მედეგობის შენარჩუნებას უკავშირდება. ის რესპონდენტები, რომლებმაც იპოვეს საზრისი, უკეთესად გრძნობენ თავს ვიდრე ისინი, ვისაც საზრისი არ უპოვია. ეს უკანასკნელნი ემიგრაციას ფუჭად ჩავლილ დროდ მიიჩნევენ, დიდ სინანულს გამოხატავენ წამოსვლის გადაწყვეტილების გამო და რუმინირებენ უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვის გარშემო, თუ რა აზრი აქვს ემიგრაციაში გატარებულ წლებს. აქედან გამომდინარე, ვივარაუდებთ, რომ უნდა არსებობდეს კავშირი საზღვრების ორაზროვნებასა და რუმინაციას შორის – „იძულებითი ყურადღების მიქცევის პროცესი საკუთარი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ნეგატიური განწყობის სიმპტომებზე და მის შესაძლო მიზეზებსა და შედეგებზე, გამოსავლის ძიების საწინააღმდეგოდ“ (Nolen-Hoeksema, 1998). რუმინაცია არის სამი სახის - დეპრესიული, აკვიატებული და რეფლექსიური. დეპრესიული რუმინაცია დეპრესიულ განწყობასთან დაკავშირებულ სიმპტომატოლოგიას აფასებს. აკვიატებული რუმინაცია განისაზღვრება, როგორც პასიური და განსჯითი ფიქრი საკუთარი განწყობის გარშემო. რეფლექსიური რუმინაცია საკუთარი განწყობის გარშემო მიზანმიმართული და სიღრმისეული ფიქრების არსებობას მოიაზრებს, რომელსაც თან ახლავს პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირება (Treyner et al., 2003).

ინდივიდები ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობასთან გამკლავებას დაძლევის კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებით უნდა ახერხებდნენ. ლაზარუსი და ფოლკმანი (Lazarus & Folkman, 1984) დაძლევას განიხილავენ, როგორც ინდივიდსა და გარემოს შორის აქტიური ურთიერთქმედების პროცესს და აქცენტს აკეთებენ ინდივიდის მიერ სტრესორის კოგნიტურ შეფასებასა და გამკლავების საუკეთესო გზის პოვნაზე. შესაბამისად, ორაზროვანი დანაკარგის სიტუაციაში ინდივიდს დაძლევის „სწორი“ გზების მოძიება უნდა დაეხმაროს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის შენარჩუნებაში.

ამრიგად, კვლევის ამ ნაწილის მიზანს საზღვრების ორაზროვნების ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან მიმართების შესწავლა და ამ კავშირში სიცხადის მოთხოვნილების, მედეგობის, რუმინაციისა და დაძლევის სტრატეგიების როლის განსაზღვრა წარმოადგენს.

ამრიგად, კვლევის ჰიპოთეზებია:

1. საზღვრების ორაზროვნება უარყოფითად უნდა უკავშირდებოდეს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას.
2. ვინაიდან სიცხადის მაღალი მოთხოვნილების მქონე ადამიანებს დაბალი ტოლერანტობა აქვთ ორაზროვნებისა და გაურკვევლობის მიმართ, სიცხადის მოთხოვნილება დადებითად უნდა უკავშირდებოდეს საზღვრების ორაზროვნებას.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

3. ვინაიდან მედეგი ინდივიდები უკეთ უმკლავდებიან ორაზროვნებას, დანაკარგსა და ზოგადად ემიგრაციის სტრესულ გამოცდილებას, საზღვრების ორაზროვნება უარყოფითად უნდა უკავშირდებოდეს მედეგობას.

4. საზღვრების ორაზროვნება დადებითად უნდა უკავშირდებოდეს რუმინაციას.

კვლევის მიზნიდან და ჰიპოთეზებიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. ემიგრაციის გამოცდილებაზე მორგებული საზღვრების ორაზროვნების სკალის მომზადება ქართულ ენაზე.
2. მედეგობის საკვლევი ინსტრუმენტის (Brief Resilience Scale) (Smith et al., 2008) ვალიდაცია ქართულ ენაზე.
3. სიცხადის მოთხოვნილებას, საზღვრების ორაზროვნებას, მედეგობას, რუმინაციას, დამლევის სტრატეგიებსა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის ურთიერთმიმართებების დადგენა.

8.1 მოსამზადებელი ეტაპი - ინსტრუმენტების მომზადება და ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება

რაოდენობრივი კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავდა საზღვრების ორაზროვნების სკალის ემიგრანტებზე მორგებული ვერსია და მოხდა ფსიქიკური მედეგობის საკვლევი სკალის ვალიდაცია.

8.1.1. საზღვრების ორაზროვნების სკალა

ემიგრაციის გამოცდილებაზე მორგებული საზღვრების ორაზროვნების კითხვარის ქართული ვერსიის მომზადება რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. თავდაპირველად ავიღეთ საზღვრების ორაზროვნების სკალის არსებული ინგლისურენოვანი ვერსიები (იხ. ზემოთ, ქვეთავი 2.3.): (1) უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული მამაკაცის ცოლებისთვის განკუთვნილი სკალა (Boss, 1977); (2) ქვრივებისთვის განკუთვნილი სკალა

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

(Blackburn et al., 1987; Friday, 1985); (3) სახლიდან წასული მოზარდების მშობლებისთვის განკუთვნილი სკალა (Boss et al., 1987; Greenberg, 1988); (4) სკალები განქორწინებული მშობლების მოზარდი და მოზრდილი შვილებისთვის და (5) განქორწინებული მოზრდილებისთვის (Pearce-McCall, 1988); (6) ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტების მომვლელებისთვის განკუთვნილი სკალა (Boss, Caron, Horbal, & Mortimer, 1990). განვახორციელეთ ამ სკალების დებულებების შინაარსობრივი ანალიზი და შევარჩიეთ ის დებულებები, რომლებიც ერგებოდა ემიგრაციის გამოცდილებას. ასე მივიღეთ სკალის პირველი სამუშაო ვერსია, ჯამში 27 დებულება. შემდგომ ეს დებულებები თვისებრივი კვლევით მიღებული შედეგების საფუძველზე გავანაწილეთ ორ ფაქტორზე: (ა) ფაქტორი 1 – როლების ბუნდოვანება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ოჯახში საკუთარ როლსა და ადგილს; (ბ) ფაქტორი 2 – დანაკარგი, რომელიც ზომავს იმას, თუ რამდენად განიცდის ინდივიდი ოჯახთან ფიზიკურ დაშორებას და რამდენად ძლიერად აქვს სურვილი ოჯახთან ფიზიკურად ყოფნა/დაბრუნების. ამის შემდეგ დებულებები შინაარსობრივი ვალიდობის შესაფასებლად მივეციტ ექსპერტთა ჯგუფს. ჯგუფი შედგებოდა მაგისტრატურის სტუდენტებგან, რომლებიც კარგად იცნობდნენ ორაზროვანი დანაკარგის თეორიას. ის დებულებები, რომლებიც ექსპერტებმა შინაარსობრივად შეუსაბამოდ ჩათვალეს, წაიშალა და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ 18-დებულებიანი სკალა, რომელშიც თითოეული ქვესკალა 9 დებულებას აერთიანებდა.


8.1.1.1. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი

საზღვრების ორაზროვნების 18-დებულებიანი სკალის ორფაქტორიანი სტრუქტურის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA). მონაცემთა ანალიზი განხორციელდა MPLUS 7 პროგრამის გამოყენებით (Muthen & Muthen, 2012).

კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის შედეგების მიხედვით, საზღვრების ორაზროვნების სკალის ორფაქტორიან სტრუქტურას არც თუ ისე კარგი მორგების მაჩვენებლები აღმოაჩნდა. სკალებზე დაბალი ფაქტორული დატვირთვის მქონე ოთხი

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დებულების წაშლის შემდეგ, საზღვრების ორაზროვნების სკალის ორფაქტორიანმა სტრუქტურამ მორგების კარგი მაჩვენებელი აჩვენა: Root mean square error of approximation (RMSEA) = 0.10; Standardized root mean square residual (SRMR) = 0.06; Comparative fit index (CFI) = .912; Tucker–Lewis index (TLI) = .895 (სურათი N1).



ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

სურათი N1. საზღვრების ორაზროვნების დებულებების ფაქტორული დატვირთვა

8.1.2. საზღვრების ორაზროვნების სკალის ვალიდობის შემოწმება

საზღვრების ორაზროვნების სკალის კონსტრუქტული ვალიდობის შემოწმების მიზნით, ჩავატარეთ დამატებითი კვლევა, სადაც საზღვრების ორაზროვნების სკალის მიმართება ვიკვლიეთ მიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგისა და დეპრესიის ცვლადებთან. არსებული კვლევების საფუძველზე (Prudent, 1988; Brener, 1991; Casado & Leung, 2001; Casado, Hong, & Harrington, 2010; Chang, 2015) ვივარაუდეთ, რომ ორივე, მიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგი და დეპრესია, დადებით კავშირში უნდა ყოფილიყო საზღვრების ორაზროვნებასთან.

ჩვენ მიერ შემუშავებული საზღვრების ორაზროვნების საკვლევი სკალის ვალიდობის შესამოწმებლად ჩატარებულ კვლევაში გამოვიყენეთ ორი ინსტრუმენტი:

(1) მიგრაციასთან დაკავშირებული მწუხარების და დანაკარგის კითხვარი (MGLQ) (Casado, 2000). ეს არის 20 დებულებიანი სკალა, რომელიც შექმნილია ემიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგის გამოცდილების გასაზომად. დებულებები ფასდება ოთხბალიან ლიკერტის ტიპის სკალაზე (0 – არასოდეს, 1 – ზოგჯერ, 2 – ხშირად, 3 – ყოველთვის) და გვიჩვენებს, რამდენად ხშირად ჰქონია რესპონდენტს კითხვარის დებულებაში აღწერილი გამოცდილება ბოლო 1 თვის განმავლობაში. ქულების დიაპაზონია 0-დან 60-მდე. მაღალი ქულა მიუთითებს ემიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგის უფრო ინტენსიურ განცდაზე;

(2) დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალის (DASS; Lovibond & Lovibond; 1995) დეპრესიის ქვესკალა. დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალა 21 დებულებიანი თვითშეფასების ტიპის კითხვარია, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ შეაფასოს დეპრესიის, შფოთვის და სტრესის ემოციური მდგომარეობა. თითოეული სკალა მოიცავს 7 დებულებას. დეპრესიის სკალა აფასებს დისფორიას, უიმედობას, სიცოცხლის გაუფასურებას, საკუთარი თავის დაკნინებას, ინტერესის/ჩართულობის ნაკლებობას, ანჰედონიასა და ინერციას.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

8.1.2.1. მონაცემების შეგროვების პროცედურა

კვლევის მონაცემების შეგროვების მიზნით გავწევრიანდით სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ემიგრანტებს აერთიანებს. ჯგუფის ადმინისტრაციასთან შეთანხმების შემდეგ, პოსტის სახით ვავრცელებდით ინფორმაციას კვლევის შესახებ. პოსტზე გამოხმაურების შემდეგ, მონაწილეს ვუკავშირდებოდით და პირადი შეტყობინებაში ვუგზავნიდით კვლევის ონლაინ ვერსიას ბმულის სახით. ბმულზე მონაწილე ეცნობოდა ინფორმაციას კვლევის შესახებ, ადასტურებდა თანხმობას მონაწილეობაზე და ავსებდა კითხვარს.

8.1.2.2. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 40-მა ემიგრანტმა, რომელთა ასაკი მერყეობდა 20-დან 63 წლამდე ($M = 40.1$, $SD = 11$), მათ შორის, 35 ქალი. ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობის დიაპაზონი 1 – 25 წელი ($M = 7.7$, $SD = 5.9$). მონაწილეთა 65% მარტო იმყოფება ემიგრაციის ქვეყანაში და ოჯახის დანარჩენი წევრები საქართველოში ცხოვრობენ. 32.5%-ის შემთხვევაში ოჯახის წევრების მხოლოდ ნაწილი იმყოფება საქართველოში, ნაწილი მასთან ერთად ცხოვრობს. 2.5%-მა (1 მონაწილე) აღნიშნა, რომ ოჯახის წევრები სხვა ქვეყანაში იმყოფებიან.

8.1.2.3. შედეგები

კვლევამ დაადასტურა, რომ ორივე, მიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგი და დეპრესია დადებითად უკავშირდება საზღვრების ორაზროვნებას (ცხრილი N2).

ცხრილი N 2. საზღვრების ორაზროვნების, მიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგისა და დეპრესიის კორელაცია

	მიგრაციული დანაკარგი	დეპრესია
როლების ბუნდოვანება	.33*	.37*
დანაკარგი	.66**	.47**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

8.1.3. მედეგობის საკვლევი სკალა

ფსიქიკური მედეგობის საკვლევადა კვლევაში გამოვიყენეთ ფსიქიკური მედეგობის საკვლევი სკალის მოკლე ვერსია (Brief Resilience Scale) (Smith et al., 2008). ქართულ ენაზე

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა


ვალიდაციისთვის, პირველ ეტაპზე მოვამზადეთ მედეგობის საკვლევი სკალის დებულებების ორი დამოუკიდებელი თარგმანი. თარგმანების შეჯერების შედეგად შევიმუშავეთ დებულებების პირველი ქართული ვერსია. ამის შემდგომ, ორიგინალთან მიმართებაში დებულებების შინაარსობრივი შესაბამისობის დასადგენად, მოვამზადეთ დებულებების უკუთარგმანი. შესაბამისობის გადამოწმების შემდეგ, მოვამზადეთ კითხვარების სამუშაო ვერსია. ამის შემდეგ, ჩატარდა საპილოტე კვლევა მცირე შერჩევაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 37-მა ადამიანმა. შედეგების დამუშავებამ აჩვენა მაღალი შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტი ($\alpha = .89$).

8.1.3.1. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი

მედეგობის საკვლევი სკალის⁸ ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად ჩავატარეთ კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA). მონაცემთა ანალიზი განვახორციელეთ MPLUS 7 პროგრამის გამოყენებით (Muthen & Muthen, 2012).

კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA) განხორციელდა 6 დებულებიანი მედეგობის სკალის ერთფაქტორიანი სტრუქტურის შესამოწმებლად. შედეგების მიხედვით, მედეგობის საკვლევი სკალის ერთფაქტორიანმა სტრუქტურამ შემდეგი მორგების მაჩვენებლები აჩვენა: Root mean square error of approximation (RMSEA) = 0.12; Standardized root mean square residual (SRMR) = 0.05; Comparative fit index (CFI) = .917; Tucker–Lewis index (TLI) = .862 (სურათი N2).

⁸ ფაქტორული სტრუქტურის გადასამოწმებლად ჩვენ მიერ შეგროვილი მონაცემების გარდა, დამატებით გამოვიყენეთ საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მონაცემთა ბაზა (მაყაშვილი, თ. (2019). „ხასიათის სიმტკიცეების მიმართება დაძლევის სტრატეგიებს, ფსიქიკურ მედეგობასა და კარგად ყოფნის განცდასთან“.



სურათი N2. მედეგობის დებულებების ფაქტორული დატვირთვა

8.1.3.2. მედეგობის სკალის ვალიდობის შემოწმება

მედეგობის საკვლევ სკალის კონსტრუქტული ვალიდობის შემოწმების მიზნით გამოვიყენეთ საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში შექმნილი მონაცემთა ბაზა⁹. კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა (ცხრილი N3), რომ მედეგობა უარყოფითად უკავშირდება დეპრესიას, შფოთვისასა და სტრესს და დადებით კორელაციაშია

⁹ მაყაშვილი თ. (2019). ხასიათის სიმტკიცეების მიმართება დაძლევის სტრატეგიებს, ფსიქიკურ მედეგობასა და კარგად ყოფნის განცდასთან.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან. შესაბამისად, დადასტურდა მედეგობის საკვლევი სკალის კონსტრუქტული ვალიდობა.

ცხრილი N 3. მედეგობის კორელაციები დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან

	მედეგობა
დეპრესია	-.47**
შფოთვა	-.42**
სტრესი	-.44**
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	.53**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

ინსტრუმენტების ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე სკალა პიროვნული კითხვარებისთვის რეკომენდებულ სანდოობის მინიმალური მნიშვნელობის დონეს ($\alpha = .70$) აკმაყოფილებს და სხვა ინსტრუმენტებთან კავშირების შემოწმებისას აჩვენებს ლოგიკურ კავშირებს. ეს გვამღებებს დასკვნის საფუძველს, რომ ინსტრუმენტები ფსიქომეტრულად გამართულია და კვლევაში მათი გამოყენება გამართლებულია.

8.2 მეთოდი

8.2.1. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 174-მა ემიგრანტმა, რომელთა ასაკი 18 დან 70 წლამდე მერყეობდა ($M = 33.9$, $SD = 12.2$) მამაკაცები $N=36$ ($M_{Age} = 30.8$, $SD_{Age} = 11.3$), ქალები $N=138$ ($M_{Age}=36,1$; $SD_{Age}= 12.3$). კვლევის მონაწილეების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები იყო მინიმალური დრო, რომელიც კვლევის მონაწილეს გატარებული უნდა ჰქონოდა ემიგრაციაში და უცხო ქვეყანაში მართო თუ ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა. კერძოდ, ემიგრაციაში ყოფნის მინიმალურ ვადად განისაზღვრა 3 თვე. გარდა ამისა, რესპონდენტი ემიგრაციის ქვეყანაში მართო ან ოჯახის წევრების მხოლოდ ნაწილთან ერთად უნდა იმყოფებოდეს იმისათვის, რომ მიმდინარე კვლევის ძირითადი საკითხის, საზღვრების ორაზროვნების შესახებ კითხვების დასმა რელევანტური იყოს.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

- განათლება – საშუალო განათლების მქონე 17 (9.8%), პროფესიული განათლების (მათ შორის კოლეჯი და ტექნიკუმი) მქონე 36 (20.7%), ხოლო უმაღლესი განათლება მიღებული აქვს 121-ს (69.5%).
- დასაქმება – დასაქმებული 130 (75.6%), დროებით უმუშევარი 41 (23.8%), 1-მა (0.6%) დასაქმების კატეგორიაში მიუთითა სტუდენტი.
- ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული 73 (42%), დასაოჯახებელი 75 (43.1%), განქორწინებული 17 (9.8%), ქვრივი 7 (4%), სხვა 9 (1.1%).
- შემოსავალი – მონაწილეთა საშუალო თვიური შემოსავლის პროცენტული განაწილება შემდეგია 0-300 ლარი – 12 (6.9%), 300-600 ლარი – 14 (8%), 600-1000 ლარი – 38 (21.8%), 1000-1500 ლარი – 28 (16.1%), 1500-2000 ლარი – 29 (16.7%), 2000 ლარი და ზემოთ – 53 (30.5%).
- 122 (70.1%) მარტო იმყოფება ემიგრაციის ქვეყანაში და დანარჩენი ოჯახის წევრები საქართველოში ცხოვრობენ. 52-ის (29.9%) შემთხვევაში ოჯახის წევრების მხოლოდ ნაწილი იმყოფება საქართველოში, ნაწილი მასთან ერთად ცხოვრობს.
- 116 (66.7%) ოჯახის წევრებს ყოველდღიურად ეკონტაქტება, 47 (27%) – კვირაში რამდენჯერმე, 5 (2.9%) – კვირაში ერთხელ, 4 (2.3%) – თვეში რამდენჯერმე, 1 (0.6%) – თვეში ერთხელ, სხვა პასუხი – 1 (0.6%).
- ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა მინიმუმ 4 თვე და მაქსიმუმ 25 წელი ($M = 6.1$, $SD = 5.9$).
- 137 (79.2%) ფლობს ემიგრაციის ქვეყანაში ცხოვრების ლეგალურ უფლებას. 36-მა (20.8%) აღნიშნა, რომ არ აქვს ცხოვრების ლეგალური უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 100 (57.5%) მონაწილე ემიგრაციაში ყოფნის განმავლობაში ერთხელ მაინც დაბრუნებულა ქვეყანაში, 74 (42.5%) – არა.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

- ემიგრაციის ქვეყნების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: იტალია 22.7%, გერმანია 16.9%, ამერიკა 15.1%, საბერძნეთი 9.9%, რუსეთი 7.6%, საფრანგეთი 5.2%, დიდი ბრიტანეთი 3.5%, პოლონეთი 2.9%, უნგრეთი 2.9%, ესპანეთი 2.3%. ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნები - 11.9%
- 62-მა (35.6%) საკუთარი საცხოვრებელი პირობები შეაფასა, როგორც კარგი, დამაკმაყოფილებელი – 70 (40.2%), საშუალოდ შეაფასა 30-მა (17.2%), ცუდად – 5-მა (2.9%), პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა 7-მა (4%).
- 81-მა (46.6%) საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასა, როგორც კარგი, დამაკმაყოფილებელი – 43 (24.7%), საშუალოდ შეაფასა 36-მა (20.7%), ცუდად 6-მა (3.4%), პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა 8-მ (4.6%).

8.2.2. კვლევის ინსტრუმენტები

საზღვრების ორაზროვნება. სპეციალურად ამ კვლევის ფარგლებში შექმნილი და ემიგრაციის გამოცდილებაზე მორგებული საზღვრების ორაზროვნების საკვლევი სკალა (Boundary Ambiguity Scale) ორი ქვესკალისგან (როლების ბუნდოვანება და დანაკარგი) შემდგარი 14-დებულებიანი თვითანგარიშის ინსტრუმენტია. თითოეული დებულება ხუთქულიან სკალაზე ფასდება, სადაც 1 არის „სრულიად არ ვეთანხმები“, 5 – „სრულიად ვეთანხმები“.

მედეგობა. ფსიქიკური მედეგობის საკვლევი სკალის მოკლე კითხვარის (Brief Resilience Scale) (Smith et al., 2008) ქართული ვერსია, რომლის ვალიდაციაც მიმდინარე კვლევის ფარგლებში განვახორციელეთ, აფასებს უარყოფით გამოცდილებასთან გამკლავების და სტრესული სიტუაციიდან გამოსვლის უნარს. კითხვარი ექვსი დებულებისაგან შედგება და თითოეული დებულება ხუთქულიან სკალაზე ფასდება, სადაც 1 არის „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სრულიად ვეთანხმები“.

სიცხადის მოთხოვნილება. სიცხადის მოთხოვნილების სკალის მოკლე ვერსიის (Need for Closure Scale) (Roets & Van Hiel, 2011) ქართული ვარიანტი თვითანგარიშის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ინსტრუმენტია და აფასებს ინდივიდების მიდგომას ინფორმაციის დამუშავებისა და განსჯისადმი. სკალის 15 დებულება 5 ქვესკალად ნაწილდება. ესენია: წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება, პროგნოზირების სურვილი, გადაწყვეტილების მიღების უნარი, დისკომფორტი ორაზროვნებასთან, ვიწრო კონტექსტში აზროვნება. თითოეული დებულება ფასდება 6-ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 6 – „სრულიად ვეთანხმები“. ინსტრუმენტის ამ ვერსიის გამოყენებით ჩატარებული კვლევები (მაგალითისთვის იხ. ჩერქეზიშვილი, 2020) მოწმობს, რომ კითხვარი სანდო და ვალიდური საკვლევი ინსტრუმენტია.

რუმინაცია. რუმინაციის საკვლევი ინსტრუმენტის (Rumination response scale - RRS) (Nolen-Hoeksema & Morrow, 1991) ქართული ვერსია, რომელიც წარმოადგენს რუმინაციის მიმართ დისპოზიციის შესაფასებელ კითხვარს. ეს არის თვითანგარიშის ინსტრუმენტი, რომელიც ზომავს ნეგატიური განწყობის დროს პიროვნების მიერ დისფორიის სიმპტომებზე, მიზეზებსა და შედეგებზე ფოკუსირებისა და ანალიზის ტენდენციას. კითხვარი 22 დებულებისგან შედგება, რომლებიც სამ ფაქტორზე – დეპრესიული, აკვიატებული და რეფლექსიური – ნაწილდება. თითოეული დებულება 4-ქულიანი ლიკერტის ტიპის სკალაზე ფასდება, 1-დან (არასდროს) 4-მდე (ყოველთვის). ინსტრუმენტის ამ ვერსიის გამოყენებით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ კითხვარი სანდო და ვალიდურ საკვლევ ინსტრუმენტს წარმოადგენს (მაგალითისთვის იხ. აბულაძე, 2016; შერვაშიძე, 2021).

სტრესის დაძლევა. სტრესის დაძლევის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტი (Folkman & Lazarus, 1988), რომელიც ემყარება ლაზარუსისა და ფოლკმანის (1984) სტრესისა და დაძლევის თეორიას, 66 დებულებისგან შედგება და 8 ქვესკალაზე ნაწილდება: კონფრონტაციული დაძლევა (გულისხმობს სიტუაციის შეცვლის აგრესიულ მცდელობას, გარკვეულწილად, რისკიანობითა და მტრული დამოკიდებულებით); დისტანცირება (სხვებისგან გამოცალკევების, გამოყოფის მცდელობა და სიტუაციის მნიშვნელოვნების მინიმიზაცია); თვითკონტროლი (მოქმედებებისა და გრძნობების რეგულირების მცდელობა); სოციალური მხარდაჭერის ძიება (ინფორმაციული, ქმედითი და ემოციური მხარდაჭერის მოძიების მცდელობა), გაქცევა-აცილება (ოცნება, ნატვრა, სიტუაციის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ინტერპრეტაცია გააზრების გარეშე და ქცევის დონეზე პრობლემისთვის თავის არიდების მცდელობა); პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა (სიტუაციის შეცვლის წინასწარ განზრახული და პრობლემაზე ორიენტირებული მცდელობა, რომელსაც თან ახლავს პრობლემის გადაჭრის ანალიზური მიდგომა), პოზიტიური გადაფასება (სიტუაციისთვის პოზიტიური მნიშვნელობის მინიჭების მცდელობა, პიროვნულ ზრდაზე კონცენტრაცია) და პასუხისმგებლობის აღება. დებულებები აღწერენ იმ აზრებსა და ქმედებებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ კონკრეტული სტრესული სიტუაციების შიდა ან/და გარე მოთხოვნების საპასუხოდ. თითოეული დებულება 4-ქულიან სკალაზე ფასდება; 0 აღნიშნავს „არასოდეს“, 1 – „ზოგჯერ“, 2 – „ხშირად“, 3 – „ყოველთვის“. ინსტრუმენტის ქართული ვერსიის გამოყენებით ჩატარებული კვლევები (მაგალითად, იხ. მარწყვიშვილი, 2010; ქამუშაძე, 2021) მოწმობს, რომ კითხვარი სანდო და ვალიდურ საკვლევ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა. ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის შესაფასებელი კითხვარის მოკლე ვერსია (Diener & Biswas-Diener, 2009). კითხვარი 8 დებულებიდან შედგება და აფასებს ინდივიდის თვითაღქმულ ფუნქციონირებას ისეთ სფეროებში, როგორცაა თვითშეფასება, ურთიერთობები, მიზანი, ოპტიმიზმი და მნიშვნელობა. თითოეული დებულება 7-ქულიან სკალაზე ფასდება, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 7 – „სრულიად ვეთანხმები“. ქართული ვერსიის გამოყენებით ჩატარებული სხვადასხვა კვლევა (მაგალითად, მაყაშვილი, 2019; ნარიმანიძე, 2020; ქამუშაძე, 2021) მოწმობს, რომ კითხვარი სანდო და ვალიდურ საკვლევ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ცხრილში N4 წარმოდგენილია ზემოთ აღწერილი ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლები.

ცხრილი N 4. აღწერთი სტატისტიკა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები საკვლევ ინსტრუმენტებისთვის

	M	SD	Cronbach's Alpha	N of items
წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება	13.74	3.39	.62	3
პროგნოზირების სურვილი	11.21	4.42	.78	3
გადაწყვეტილების მიღების უნარი	14.95	2.75	.55	3

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დისკომფორტი ორაზროვნებასთან	12.12	3.34	.47	3
ვიწრო კონტექსტში აზროვნება	64.86	10.01	.69	15
სიცხადის მოთხოვნილება	12.83	3.57	.66	3
როლების ბუნდოვანება	16.1	8.53	.93	7
დანაკარგი	21.94	8.53	.90	7
მედეგობა	21.05	5.06	.80	6
დეპრესიული	27.26	9.51	.93	12
აკვიატებული	12.12	4.06	.80	5
რეფლექსიური	12.94	3.73	.74	5
რუმინაციის საერთო მაჩვენებელი	52.32	15.87	.94	22
კონფრონტაციული დაძლევა	10.6	3.11	.47	6
დისტანცირება	8.64	4.49	.80	6
თვითკონტროლი	13.41	3.46	.52	7
სოციალური მხარდაჭერის ძიება	10.34	4.03	.76	6
პასუხისმგებლობის აღება	8.97	2.18	.51	4
გაქცევა	10.99	4.86	.73	8
პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა	13.38	3.17	.76	6
პოზიტიური გადაფასება	16.03	3.3	.60	7
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	46.53	6.7	.77	8

8.3 შედეგები

8.3.1. კორელაციური ანალიზი

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, განხორციელდა კორელაციური ანალიზი. შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი კავშირები საკვლევ ცვლადებს შორის (ცხრილი N5). ქვემოთ მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირებია აღწერილი.

სიცხადის მოთხოვნილებასა და საზღვრების ორაზროვნებას შორის შემდეგი კორელაციური კავშირები გამოვლინდა: სიცხადის მოთხოვნილების საერთო მაჩვენებელი და მისი ქვესკალები, კერძოდ, წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება, პროგნოზირების სურვილი, დისკომფორტი ორაზროვნებასთან და ვიწრო კონტექსტში აზროვნება დადებითად კორელირებს საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალასთან. გადაწყვეტილების მიღების უნარის ქვესკალა კი უარყოფითად

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

კორელირებს საზღვრების ორაზროვნების ორივე ქვესკალასთან. დისკომფორტი ორაზროვნებასთან დადებითად უკავშირდება როლების ბუნდოვანებას.

რუმინაცია და საზღვრების ორაზროვნება. რუმინაციის საერთო მაჩვენებელი და მისი სამივე ქვესკალა დადებით კავშირშია საზღვრების ორაზროვნების ორივე ქვესკალასთან.

საზღვრების ორაზროვნება და მედეგობა უარყოფითად უკავშირდება საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალას.

საზღვრების ორაზროვნება და დამლევის სტრატეგიები. დისტანცირების, პასუხისმგებლობის აღებისა და გაქცევის დამლევის სტრატეგიების საზღვრების ორაზროვნების ორივე ქვესკალასთან დადებითად კორელირებს. თვითკონტროლის, სოციალური მხარდაჭერის ძიებისა და პოზიტიური გადაფასების დამლევის სტრატეგიები მხოლოდ დანაკარგის ქვესკალას უკავშირდება დადებითად.

საზღვრების ორაზროვნება და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა სტატისტიკურად არასანდოდ კორელირებს, თუმცა ტენდენცია უარყოფითია.

სიცხადის მოთხოვნილება და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა დადებითად უკავშირდებიან ერთმანეთს. წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილების, პროგნოზირების სურვილისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის ქვესკალები დადებით კორელაციაშია ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან.

რუმინაცია და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა. რუმინაციის საერთო მაჩვენებელი, დეპრესიული და აკვიატებული რუმინაციის ქვესკალები უარყოფით კორელაციაშია ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან.

მედეგობა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა დადებითად უკავშირდება ერთმანეთს.

დამლევის სტრატეგიები და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა. დამლევის სტრატეგიებიდან კონფრონტაციული დამლევა, სოციალური მხარდაჭერის ძიება,

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა და პოზიტიური გადაფასება დადებითად უკავშირდება ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას.

სიცხადის მოთხოვნილება და მედეგობა. სიცხადის მოთხოვნილების პროგნოზირების სურვილისა და დისკომფორტი ორაზროვნებასთან ქვესკალები უარყოფით კავშირშია მედეგობასთან, ხოლო გადაწყვეტილების მიღების უნარი დადებით კორელაციაშია მედეგობასთან.

რუმინაცია და მედეგობა. რუმინაციის საერთო მაჩვენებელი და მისი სამივე ქვესკალა უარყოფით კავშირშია მედეგობასთან.

დაძლევის სტრატეგიები და მედეგობა. დაძლევის სტრატეგიებიდან კონფრონტაციული დაძლევა, სოციალური მხარდაჭერის ძიება, პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა და პოზიტიური გადაფასება დადებითად კორელირებს ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან.

სიცხადის მოთხოვნილება და რუმინაცია. წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება უარყოფითად უკავშირდება დეპრესიულ რუმინაციას. გადაწყვეტილების მიღების უნარი რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და სამივე ქვესკალასთან უარყოფით კორელაციაშია. ასევე, დადებითია კორელაცია ორაზროვნებასთან დისკომფორტსა და რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და მის სამივე ქვესკალასთან. ვიწრო კონტექსტში აზროვნება დადებითად კორელირებს რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და აკვიატებული რუმინაციის ქვესკალასთან.

დაძლევის სტრატეგიები და რუმინაცია. კონფრონტაციული, დისტანცირების, პასუხისმგებლობის აღების და გაქცევის სტრატეგიები დადებით კორელაციაშია რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და მის სამივე ქვესკალასთან. სოციალური მხარდაჭერის ძიება რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და რეფლექსური ტიპის რუმინაციასთან არის დადებით კორელაციაში. თვითკონტროლის დაძლევის სტრატეგია მხოლოდ რეფლექსიური ტიპის რუმინაციასთან კორელირებს დადებითად.

დამღევს სტრატეგიები და სიცხადის მოთხოვნილება. კონფრონტაციული დამღევა დადებითად უკავშირდება სიცხადის მოთხოვნილების საერთო მაჩვენებელსა და სამ ქვესკალას, კერძოდ, პროგნოზირების სურვილის, დისკომფორტი ორაზროვნებასთან და ვიწრო კონტექსტში აზროვნების ქვესკალებს; დისტანცირების დამღევს სტრატეგია დადებითად უკავშირდება სიცხადის მოთხოვნილების პროგნოზირების სურვილის, დისკომფორტი ორაზროვნებასთან და ვიწრო კონტექსტში აზროვნების ქვესკალებს; თვითკონტროლის დამღევს სტრატეგია დადებითად უკავშირდება მხოლოდ რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და პროგნოზირების სურვილის ქვესკალას; სოციალური მხარდაჭერის ძიება დადებით კორელაციაშია რუმინაციის საერთო მაჩვენებელსა და მის ყველა ქვესკალასთან, გარდა გადაწყვეტილების მიღების უნარისა, რომელთანაც უარყოფითად არის დაკავშირებული; პასუხისმგებლობის აღება დადებით კორელაციაშია რუმინაციის საერთო მაჩვენებელთან, პროგნოზირების სურვილისა და დისკომფორტი ორაზროვნებასთან ქვესკალებთან; გაქცევის დამღევს სტრატეგია დადებით კორელაციაშია პროგნოზირების სურვილის, დისკომფორტი ორაზროვნებასთან და ვიწრო კონტექსტში აზროვნების ქვესკალებთან; პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა დადებით კორელაციაშია სიცხადის მოთხოვნილების საერთო მაჩვენებელთან და მის ქვესკალებთან, კერძოდ, წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილებასთან, პროგნოზირების სურვილისა და დისკომფორტი ორაზროვნებასთან ქვესკალებთან; პოზიტიური გადაფასების დამღევს სტრატეგია დადებითად უკავშირდება როგორც რუმინაციის საერთო მაჩვენებელს, ისე მის ყველა ქვესკალას, გარდა გადაწყვეტილების მიღების უნარის ქვესკალისა.

ცხრილი N 5. საკვლევი ცვლადების ერთიანი კორელაციური მატრიცა

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	
1 წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება	1																						
2 პროგნოზირების სურვილი	.37**	1																					
3 გადაწყვეტილების მიღების უნარი	-.12	-.26**	1																				
4 დისკომფორტი ორაზროვნებასთან	.45**	.57**	-.22**	1																			
5 ვიწრო კონტექსტში აზროვნება	.44**	.47**	-.14	.52**	1																		
6 სიცხადის მოთხოვნილება	.70**	.67**	.20**	.71**	.73**	1																	
7 მედეობა	.03	-.18*	.38**	-.16*	-0.1	.04	1																
8 დეპრესიული	-.16*	.06	-.32**	.25**	.15	-.06	-.43**	1															
9 აკვიატებული	-.01	.14	-.24**	.37**	.20**	.11	-.32**	.84**	1														
10 რეფლექსიური	-.02	.01	-.20**	.18*	.06	-.03	-.24**	.66**	.64**	1													
11 რუმინაციის საერთო მაჩვენებელი	-.10	.07	-.30**	.29**	.15*	-.02	-.40**	.97**	.91**	.79**	1												
12 როლების ბუნდოვანება	-.06	.08	-.22**	.16*	.09	-.02	-.14	.55**	.52**	.35**	.54**	1											
13 დანაკარგი	.15*	.26**	-.27**	.28**	.26**	.19*	-.27**	.43**	.43**	.26**	.43**	.34**	1										
14 კონფრონტაციული დაძლევა	.06	.20**	-.02	.19*	.23**	.21**	-.10	.28**	.27**	.23**	.29**	.15	.12	1									
15 დისტანცირება	-.08	.20**	-.25**	.27**	.31**	.11	-.18*	.50**	.47**	.31**	.49**	.38**	.38**	.42**	1								
16 თვითკონტროლი	.12	.19*	-.02	.11	.13	.17*	.02	.08	.06	.16*	.10	.12	.20**	.33**	.39**	1							
17 სოციალური მხარდაჭერის ძიება	.24**	.23**	-.15*	.15*	.16*	.19*	-.23**	.14	.14	.22**	.17*	.07	.19*	.28**	.18*	.21**	1						
18 პასუხისმგებლობის აღება	.05	.21**	-.07	.28**	.14	.18*	-.10	.35**	.34**	.26**	.36**	.22**	.25**	.44**	.46**	.39**	.15*	1					
19 გაქცევა	-.04	.19*	-.29**	.25**	.28**	.08	-.29**	.57**	.54**	.34**	.56**	.32**	.33**	.46**	.70**	.30**	.20**	.34**	1				
20 პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა	.28**	.21**	.06	.16*	.08	.27**	.09	-.07	-.04	.12	-.02	.09	.08	.34**	.11	.41**	.20**	.42**	0	1			
21 პოზიტიური გადაფასება	.22**	.17*	.11	.31**	.20**	.34**	.09	-.07	.01	.04	-.03	.05	.28**	.28**	.22**	.37**	.05	.44**	.04	.56**	1		
22 ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	.36**	.19*	.19*	.13	.11	.35**	.38**	-.29**	-.21**	-.09	-.25**	-.06	-.06	.15*	-.05	.09	.17*	.01	-.14	.39**	.28**	1	

** p ≤ .01; * p ≤ .05

8.3.2. რეგრესიული ანალიზი

სიცხადის მოთხოვნების, რუმინაციის, მედეგობის და დამღევის სტრატეგიების პრედიქტორული ღირებულების დასადგენად საზღვრების ორაზროვნებასთან და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან მიმართებაში, გამოვიყენეთ მრავლობითი რეგრესიული ანალიზი.

8.3.2.1. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება საზღვრების ორაზროვნებისთვის

საზღვრების ორაზროვნებისთვის საკვლევი ცვლადების პრედიქტორული ღირებულების განსასაზღვრად მრავლობითი რეგრესიული ანალიზი განხორციელდა (ცხრილი N6).

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სიცხადის მოთხოვნების საერთო მაჩვენებელი ხსნის საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალის მონაცემთა ვარიაბილობის 3.6%-ს. სიცხადის მოთხოვნების ხუთი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის როლების ბუნდოვანების მონაცემთა ვარიაბილობის 8.6%-ს, ფაქტორებიდან მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების უნარი ($\beta = -.20, p < .01$) და პროგნოზირების სურვილი ($\beta = -.18, p < .05$) აღმოჩნდნენ პრედიქტორები. ხუთი ძირითადი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალის მონაცემთა ვარიაბილობის 14.4%-ს, ფაქტორებიდან მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების უნარი ($\beta = -.20, p < .01$) აღმოჩნდა პრედიქტორი.

რუმინაციის საერთო მაჩვენებელი ხსნის როლების ბუნდოვანების მონაცემთა ვარიაბილობის 29.5%-ს და დანაკარგის 18.2%-ს. სამი ძირითადი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის როლების ბუნდოვანების მონაცემთა ვარიაბილობის 31.2%-ს და მხოლოდ დეპრესიული ტიპის რუმინაცია ($\beta = .10, p < .01$) აღმოჩნდა პრედიქტორი. რუმინაციის სამი ძირითადი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის დანაკარგის მონაცემთა ვარიაბილობის 18.2%-ს და სამი ძირითადი ფაქტორიდან მხოლოდ რეფლექსიური ტიპის რუმინაცია ($\beta = -.08, p < .05$) აღმოჩნდა პრედიქტორი.

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მედეგობა ხსნის საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალის მონაცემთა ვარიაბილობის 7.3%-ს.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ დაძლევის რვა სტრატეგიის კომბინაციური მოდელი ხსნის როლების ბუნდოვანების მონაცემთა ვარიაციულობის 16.6%-ს და დისტანცირების ($\beta = .31, p < .01$) დაძლევის სტრატეგიაა სანდო პრედიქტორი. მოდელი ხსნის დანაკარგის მონაცემთა ვარიაციულობის 23.8%. დაძლევის კონფრონტაციული ($\beta = -.17, p < .05$), დისტანცირების ($\beta = .22, p < .01$), სოციალური მხარდაჭერის ძიების ($\beta = .15, p < .05$) და პოზიტიური გადაფასების ($\beta = .30, p < .01$) სტრატეგიები წარმოადგენენ პრედიქტორებს.

ცხრილი N 6. საკვლევი ცვლადების პრედიქტული მნიშვნელობები საზღვრების ორაზროვნებისთვის

ცვლადი	საზღვრების ორაზროვნება					
	როლების ბუნდოვანება			დანაკარგი		
	B	SE	β	B	SE	β
სიცხადის მოთხოვნილება						
წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება	16.85	4.45	-.18	-0.13	0.60	-.02
პროგნოზირების სურვილი	-1.27	0.62	-.04	0.49	0.69	.07
გადაწყვეტილების მიღების უნარი	-0.33	0.71	-.20**	-1.17	0.43	-.20**
დისკომფორტი ორაზროვნებასთან ვიწრო კონტექსტში აზროვნება	-1.17	0.44	.19	1.27	0.89	.14
R^2		.086			.144	
F		3.143**			5.668***	
საერთო მაჩვენებელი						
R^2				2.42	0.96	.19*
F					6.399*	
დეპრესიული აკვიატებული რეფლექსიური						
	.37	.11	.41**	.23	.12	.26
	.42	.25	.20	.56	.27	.27
	-.10	.20	-.04	-.18	.21	-.08*
R^2		.312			.189	
F		25.638***			14.427***	
რუმინაციის საერთო მაჩვენებელი						
	.29	.03	.54***	.23	.04	.43***
R^2		.295			.182	
F		71.979***			38.335***	
მედეგობა						
				-.46	.12	-.27***
R^2					.073	
F					13.626***	

დაძლევის სტრატეგიები
 მნიშვნა: * $p < .05$; ** $p < .01$; *** $p < .001$.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

კონფრონტაციული დაძლევა	-.21	.25	-.08	-.47	.23	-.17*
დისტანცირება	.59	.21	.31**	.41	.20	.22*
თვითკონტროლი	-.15	.21	-.06	-.01	.20	.00
სოციალური მხარდაჭერის ძიება	-.03	.16	-.01	.32	.15	.15*
პასუხისმგებლობის აღება	.31	.36	.08	.16	.34	.04
გაქცევა	.24	.19	.14	.35	.18	.20
პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა	.32	.26	.12	-.24	.25	-.09
პოზიტიური გადაფასება	-.21	.24	-.08	.76	.23	.30**
R^2		.166			.238	
F		4.091***			6.432***	

8.3.2.2. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდისთვის

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდისთვის საკვლევი ცვლადების პრედიქტორული ღირებულების განსასაზღვრად მრავლობითი რეგრესიული ანალიზი განხორციელდა (ცხრილი N7).

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სიცხადის მოთხოვნილების საერთო მაჩვენებელი ხსნის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 12.3%. სიცხადის მოთხოვნილების ხუთი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის ფსიქოლოგიის კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 20.5%, ხუთი ძირითადი ფაქტორიდან პრედიქტორები წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება ($\beta = .38, p < .001$), პროგნოზირების სურვილი ($\beta = .19, p < .05$) და გადაწყვეტილების მიღების უნარი ($\beta = .26, p < .001$) აღმოჩნდნენ.

რუმინაციის საერთო მაჩვენებელი ხსნის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 6.2%-ს. სამი ძირითადი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 10.4% და მხოლოდ დეპრესიული ტიპის რუმინაცია ($\beta = -.44, p < .01$) აღმოჩნდა პრედიქტორი.

მედეგობა ხსნის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 14.1%.

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ დაძლევის სტრატეგიები ხსნის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 23.2%. კონკრეტული

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

დამღევის სტრატეგიებიდან მხოლოდ პასუხისმგებლობის აღება ($\beta = -.21, p < .05$) და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა ($\beta = .34, p < .001$) აღმოჩნდნენ პრედიქტორები.

ცხრილი N 7. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისთვის

ცვლადი	ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა		
	B	SE	β
სიცხადის მოთხოვნილება			
წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება	2.12	0.45	.38***
პროგნოზირების სურვილი	1.13	0.52	.19*
გადაწყვეტილების მიღების უნარი	1.18	0.33	.26***
დისკომფორტი ორაზროვნებასთან ვიწრო კონტექსტში აზროვნება	-0.39	0.68	-.05
	-0.46	0.51	-.08
<i>R</i> ²		.205	
<i>F</i>		8.685***	
საერთო მაჩვენებელი	3.51	0.72	.35***
<i>R</i> ²		.123	
<i>F</i>		24.014***	
დეპრესიული აკვიატებული რეფლექსიური			
	-.31	.10	-.44**
	.08	.23	.05
	.31	.18	.17
<i>R</i> ²		.104	
<i>F</i>		6.561***	
რუმინაციის საერთო მაჩვენებელი			
	-.11	.03	-.25**
<i>R</i> ²		.062	
<i>F</i>		11.440**	
მედეგობა			
	.50	.09	.38***
<i>R</i> ²		.141	
<i>F</i>		28.333***	
დამღევის სტრატეგიები			
კონფრონტაციული დამღევა	.28	.18	.13
დისტანცირება	.08	.15	.05
თვითკონტროლი	-.14	.16	-.07
სოციალური მხარდაჭერის ძიება	.21	.12	.13
პასუხისმგებლობის აღება	-.65	.27	-.21*
გაქცევა	-.24	.14	-.17
პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა	.73	.19	.34***
პოზიტიური გადაფასება	.32	.18	.16
<i>R</i> ²		.232	
<i>F</i>		6.241***	

შენიშვნა: * $p < .05$; ** $p < .01$; *** $p < .001$

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

8.3.2.3. მედეგობის პრედიქტული ღირებულება რუმინაციისა და დამლევის სტრატეგიებისთვის

რუმინაციისა და დამლევის სტრატეგიებისთვის მედეგობის პრედიქტორული ღირებულების განსასაზღვრად განხორციელდა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი (ცხრილი N8).

მედეგობა ხსნის რუმინაციის საერთო ქულის მონაცემთა ვარიაბილობის 15.7%-ს ($\beta = -.40, p < .001$), დეპრესიული რუმინაციის 18.6%-ს ($\beta = -.43, p < .001$), აკვიატებული რუმინაციის 10.3%-ს ($\beta = -.32, p < .001$) და რეფლექსიური რუმინაციის 5.5%-ს ($\beta = -.24, p < .01$).

მედეგობა ხსნის სიცხადის მოთხოვნების პროგნოზირების სურვილის ქვესკალის 3.3%-ს ($\beta = -.18, p < .05$), გადაწყვეტილების მიღების უნარის მონაცემთა ვარიაბილობის 14.2%-ს ($\beta = .38, p < .001$) და დისკომფორტი ორაზროვნებასთან მონაცემთა ვარიაბილობის 2.6%-ს ($\beta = -.16, p < .05$).

ცხრილი N 8. მედეგობის პრედიქტული ღირებულება რუმინაციისა და დაძლევის სტრატეგიებისთვის

ცვლადი	დეპრესიული			აკვიატებული			რეფლექსიური			რუმინაცია		
	B	SE	β	B	SE	β	B	SE	β	B	SE	β
მედეგობა	-0.81	.13	-0.43***	-0.26	.06	-0.32***	-0.17	.06	-0.24**	-1.24	.22	-0.40***
<i>R</i> ²	0.186			.103			.055			.157		
<i>F</i>	39.401***			19.663***			10.095**			32.035***		

	პროგნოზირების სურვილი			გადაწყვეტილების მიღების უნარი			დისკომფორტი ორაზროვნებასთან		
	B	SE	β	B	SE	β	B	SE	β
მედეგობა	-0.04	.02	-0.18*	.11	.02	.38***	-0.03	.01	-0.16*
<i>R</i> ²	.033			.142			0.026		
<i>F</i>	5.835*			28.411***			4.66*		

შენიშვნა: *p < .05; **p < .01; ***p < .001

8.3.2.4. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება დაძლევის სტრატეგიებისთვის

ვინაიდან ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის პრედიქტორი ორი დაძლევის სტრატეგია პასუხისმგებლობის აღება და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა აღმოჩნდა, სხვა საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება მხოლოდ ამ ორ დაძლევის სტრატეგიასთან მიმართებაში შევამოწმეთ (ცხრილი N9), შემდგომში მედიაციური კავშირების შემოწმების მიზნით.

სიცხადის მოთხოვნილების საერთო მაჩვენებელი ხსნის პასუხისმგებლობის აღების მონაცემთა ვარიაცილობის 3.2%-ს ($\beta = .18, p < .05$) და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის 7.2%-ს ($\beta = .27, p < .001$). ხუთი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის პასუხისმგებლობის აღების მონაცემთა ვარიაცილობის 9.2%-ს და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის 11.6%-ს. ხუთი ძირითადი ფაქტორიდან დისკომფორტი ორაზროვნებასთან ($\beta = .28, p < .01$) და წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება ($\beta = .27, p < .01$) აღმოჩნდნენ პრედიქტორები.

რუმინაციის საერთო მაჩვენებელი ხსნის პასუხისმგებლობის აღების მონაცემთა ვარიაცილობის 12.7%-ს ($\beta = .36, p < .001$). სამი ფაქტორის კომბინაციის მოდელი ხსნის პასუხისმგებლობის აღების მონაცემთა ვარიაცილობის 13.0%-ს და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის 5.1%-ს. სამი ძირითადი ფაქტორიდან მხოლოდ რეფლექსიური რუმინაცია ($\beta = .29, p < .05$) აღმოჩნდა პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის სანდო პრედიქტორი.

ცხრილი N 9. საკვლევი ცვლადების პრედიქტული ღირებულება დაძლევის სტრატეგიებისთვის

ცვლადი	პასუხისმგებლობის აღება			პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა		
	B	SE	β	B	SE	β
სიცხადის მოთხოვნილება						
წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება	-.20	.16	-.11	.72	.23	.27**
პროგნოზირების სურვილი	.16	.18	.08	.51	.26	.18
გადაწყვეტილების მიღების უნარი	.00	.11	.00	.27	.16	.13
დისკომფორტი ორაზროვნებასთან	.67	.23	.28**	.08	.34	.02
ვიწრო კონტექსტში აზროვნება	.01	.18	.01	-.33	.26	-.12
<i>R</i> ²		.092			.116	

შენიშვნა: * $p < .05$; ** $p < .01$; *** $p < .001$


ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

	<i>F</i>				3.393**		4.414**
საერთო მაჩვენებელი	.59	.25	.18	1.27	0.35	0.27	
<i>R2</i>		.032			.072		
	<i>F</i>				5.758*		13.292***
დეპრესიული	.05	.03	.20	-.08	.05	-.24	
აკვიტებული	.08	.07	.16	-.02	.11	-.02	
რეფლექსიური	.02	.06	.03	.25	.09	.29*	
<i>R2</i>		.130			.051		
	<i>F</i>				8.436***		3.035***
რუმინაციის საერთო მაჩვენებელი	.05	.01	.36***				
<i>R2</i>		.127					
	<i>F</i>				25.063***		

8.3.3. მედიაციური ანალიზი

კორელაციური და რეგრესიული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ჩავატარეთ მედიაციური ანალიზი, რათა დაგვედგინა თამაშობს თუ არა მედეგობა, პასუხისმგებლობის აღება და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა გამაშუალებელ როლს სიცხადის მოთხოვნილებას, რუმინაციას და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის. ანალიზი შესრულდა SPSS-ში - ჰეისის მედიაციური ანალიზის მოდელი 4 (PROCESS v4.2 by Andrew F. Hayes).

ანალიზის შედეგებმა გვაჩვენა, რომ პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის სტრატეგია $b = .67, p < 0.001$, წარმოადგენს მედიატორს სიცხადის მოთხოვნილებას და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (სურათი N3).



Total effect = 3.5133, $p < 0.0001$


Direct effect = 2.6579 $p = .0002$

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

Indirect effect = .8554; BootLLCI .2972; BootULCI 1.5795

სურათი N3. მოდელი 1. პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა, როგორც მედიატორი

ანალიზის შედეგებმა გვაჩვენა, რომ პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის სტრატეგია $b = .66$, $p < 0.001$, წარმოადგენს მედიატორს წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილებას და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (სურათი N4).




Total effect = 2.0198, $p < 0.0001$

Direct effect = 1.5234 $p = .0002$

Indirect effect = .4964; BootLLCI .1846; BootULCI .9120

სურათი N4. მოდელი 2. პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა, როგორც მედიატორი

ანალიზის შედეგებმა გვაჩვენა, რომ მედეგობა $b = .41$, $p < 0.001$, წარმოადგენს მედიატორს დეპრესიული რუმინაციასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (სურათი N5).





$$b = .41, p < 0.001$$

Total effect = -.2046, $p < 0.001$

Direct effect = -.1110 $p = .0437$

Indirect effect = -.0936; BootLLCI -.1483; BootULCI -.0453

სურათი N5. მოდელი 3. რუმინაცია, როგორც მედიატორი

8.4 დისკუსია

რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ ცვლადების გამოვლენა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ემიგრანტი ინდივიდის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებაში. კერძოდ, იმის განსაზღვრა, თუ რა როლს ასრულებს სიცხადის მოთხოვნილება, საზღვრების ორაზროვნება, მედეგობა, რუმინაცია და დაძლევის სტრატეგიები ინდივიდის კარგად ყოფნის განცდაში.

ჩვენი ჰიპოთეზა, რომ სიცხადის მოთხოვნილება დადებითად უნდა უკავშირდებოდეს საზღვრების ორაზროვნებას, დადასტურდა. სიცხადის მოთხოვნილების საერთო მაჩვენებელი და მისი ქვესკალები, კერძოდ, წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება, პროგნოზირების სურვილი, დისკომფორტი ორაზროვნებასთან და ვიწრო კონტექსტში აზროვნება დადებით კორელაციაში იყო საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალასთან. დისკომფორტი ორაზროვნებასთან დადებითად უკავშირდებოდა როლების ბუნდოვანებას. სიცხადის მოთხოვნილება კი საზღვრების ორაზროვნების პრედიქტორს წარმოადგენდა. ჩვენს კვლევაში მიღებული შედეგები შესაბამისობაშია არსებულ კვლევებთან. კერძოდ, სიცხადის მოთხოვნილებასა და საზღვრების ორაზროვნებას შორის დადებითი კავშირი დაფიქსირდა ცნობიერების გახანგრძლივებული დარღვევების მქონე პაციენტთა მზრუნველების შერჩევაშიც (Zaksh, Yehene, Elyashiv & Altman, 2019), სადაც ურთიერთობის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

საზღვრებთან დაკავშირებული გაურკვევლობა ახანგრძლივებდა მომვლელთა გლოვას და აფერხებდა დანაკარგის ინტეგრირების უნარს.

სიცხადის მოთხოვნილების გადაწყვეტილების მიღების უნარის ქვესკალა უარყოფითად უკავშირდებოდა საზღვრების ორაზროვნების ორივე ქვესკალას და მის უარყოფით პრედიქტორს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ინდივიდები, რომლებსაც მაღალი აქვთ გადაწყვეტილების სწრაფად და ეფექტურად მიღების უნარი საზღვრების ორაზროვნების დაბალი რისკის ქვეშ არიან.

როგორც ვივარაუდეთ, რუმინაცია დადებითად კორელირებდა საზღვრების ორაზროვნებასთან, კერძოდ, რუმინაციის საერთო მაჩვენებელი და მისი სამივე ქვესკალა დადებით კავშირში აღმოჩნდა საზღვრების ორაზროვნების ორივე ქვესკალასთან. გარდა ამისა, რუმინაციის საერთო მაჩვენებელი ხსნიდა როლების ბუნდოვანების მონაცემთა ვარიაბილობის 29.5%-ს და დანაკარგის - 18.2%-ს. ზოგადად, ემიგრანტების შემთხვევაში რუმინაციის არსებობა მანამდე არსებულ კვლევებშიც ფიქსირდება, მაგალითად, ფალიკოვის (2002) მიხედვით, ლათინო ემიგრანტებს უჭირდათ ახალ ქვეყანაში ცხოვრების რეალობასთან შეგუება, რადგან მათი გონება და გული მექსიკაში დარჩა და სურდათ ოჯახთან გაერთიანება. გამოხატავდნენ გაურკვევლობას, ტკივილს და რუმინირებდნენ საზღვარგარეთ დარჩენილი ოჯახების გარშემო. ახტარის (Akhtar, 1999) მიხედვით ბევრი ემიგრანტი განიცდის ნოსტალგიას, დანაშაულის განცდას და ფსიქოლოგიურ ტკივილს, რადგან ისინი აიდეალებენ და რუმინირებენ საკუთარ სამშობლოზე. შესაბამისად, რუმინაციის კავშირი საზღვრების ორაზროვნების მაჩვენებლებთან, რომელიც უარყოფით შეგრძნებებსა და დისტრესზე და მათ მიზეზებსა და შედეგებზე განმეორებით ფიქრს გულისხმობს, სრულიად ლოგიკურია.

მედეგობა უარყოფითად უკავშირდებოდა საზღვრების ორაზროვნების დანაკარგის ქვესკალას და წარმოადგენდა მის უარყოფით პრედიქტორს. ეს შედეგები ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ მაღალი მედეგობის მქონე ინდივიდებს უნდა უადვილდებოდათ ორაზროვნებასთან და დანაკარგთან გამკლავება და, შესაბამისად, მათ დაბალი უნდა ჰქონოდათ საზღვრების ორაზროვნება. როგორც ჩანს, მაღალი მედეგობის მქონე ინდივიდები უფრო ადვილად უმკლავდებიან ოჯახთან ფიზიკურ დაშორებას და

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

შედარებით უმტკივნეულოდ ეგუებიან ოჯახის წევრების გარეშე ცხოვრებას. ჩვენ მიერ მიღებული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ მოწმობს მედეგობის, როგორც დისპოზიციური მახასიათებლის, კავშირს სხვადასხვა ცვლადთან. მედეგობა ეხმარება ინდივიდს სირთულეებთან გამკლავებასა თუ ადაპტაციაში და, ამგვარად, ტრავმული გამოცდილებების წინააღმდეგ ერთგვარ დამცავს წარმოადგენს (Connor & Davidson, 2003; Hofer, 2006; Ong et al., 2006). ასევე, კვლევების მიხედვით (Masten & Tellegen, 2012), მედეგობა დადებითად უკავშირდება ბედნიერებასა და სხვა პოზიტიურ შედეგებს. ფსიქიკური მედეგობა, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც გარემოსთან ადაპტაციის საზომიც. ამას ადასტურებს ის კვლევები, რომლის ფარგლებშიც შეისწავლიდნენ კავშირს მედეგობას, დაძლევის რესურსებსა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (Nasir et al, 2022).

ჩვენი ჰიპოთეზა, რომ საზღვრების ორაზროვნება უარყოფითად უნდა უკავშირდებოდეს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას, არ დადასტურდა. საზღვრების ორაზროვნების კავშირი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნასთან არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო, თუმცა ტენდენცია უარყოფითი იყო.

მედეგობა დადებითად უკავშირდებოდა ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას და მონაცემთა ვარიაბილობის 14.1%-ს ხსნიდა. მედეგობის კავშირი ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან არაერთ კვლევაში დასტურდება (Souri & Hasanirad, 2011; Idris, Khairani & Shamsuddin, 2019; Sood & Sharma, 2020). როგორც ჩანს, მედეგობა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მნიშვნელოვანი პრედიქტორია ემიგრანტების შერჩევის მაგალითზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ის ემიგრანტები, რომლებსაც მაღალი მედეგობა აქვთ, ადვილად უმკლავდებიან ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობას და მაღალი აქვთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა.

რუმინაციის საერთო მაჩვენებელი, დეპრესიული და აკვიატებული რუმინაციის ქვესკალები უარყოფით კორელაციაში აღმოჩნდა ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან. ასევე, რუმინაციის საერთო მაჩვენებელი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მონაცემთა ვარიაბილობის 6.2%-ს ხსნიდა და დეპრესიული რუმინაცია მის სანდო უარყოფით პრედიქტორს წარმოადგენდა. რუმინაცია უარყოფითი რეაქციის ერთ-ერთი სახეა (Sun et

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

al., 2014). რუმინაციას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სტრესზე რეაგირების სტრატეგიას (Curci et al., 2013). ინდივიდები, რომლებიც მიჩვეული არიან უარყოფით მოვლენებთან გამკლავებას რუმინაციის საშუალებით, ჩერდებიან ნეგატიურ ემოციებზე (Papageorgiou, 2002). ადამიანები, რომლებიც მიმართავენ რუმინაციას, ფიქსირებულნი რჩებიან თავიანთ პრობლემასა და მასთან დაკავშირებულ გრძნობებზე ყოველგვარი ქმედების გარეშე, და სწორედ ამიტომ რუმინაციას მოიხსენიებენ, როგორც ემოციების რეგულირების არაადაპტირებულ სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს ნეგატიურ აფექტს (Kircaburun et al., 2019; Marcus et al., 2008). რუმინაცია კარგად ყოფნის დაბალ დონესთან არის დაკავშირებული (Newman & Nezlek, 2017). ბევრმა კვლევამ დაადასტურა, რომ რუმინაცია დაკავშირებულია უარყოფით შედეგებთან (Kross, Ayduk, & Mischel, 2005; Thomsen, Yung, Christensen, Zachariae, 2003). ნოლენ-ჰოექსემამ და კოლეგებმა (Nolen-Hoeksema, Parker, & Larson, 1994) აჩვენეს, რომ რუმინაციით შესაძლებელია დეპრესიის პროგნოზირება იმ მოზრდილებში, რომლებმაც დაკარგეს ნათესავები. განმეორებითი კვლევის მიხედვით (Wagner, Alloy, & Abramson, 2014; Peng, Xiao, Yang, Wu, & Miao, 2014), ინდივიდი, რომელიც ეფლობა ნეგატიურ ემოციებში და მიდრეკილია რუმინაციისკენ, სერიოზული დეპრესიის განვითარების მაღალი რისკის ქვეშაა. ჯანმრთელი, მაგრამ რუმინაციისკენ მიდრეკილი ინდივიდი შეიძლება ადვილად გახდეს დეპრესიული (Takagishi, Sakata, & Kitamura, 2013). მკვლევრები თვლიან, რომ როდესაც ინდივიდი განიცდის ტრავმულ ცხოვრებისეულ მოვლენებს და უარყოფით ემოციებს (მაგ., დეპრესიას), ის მუდმივად ფიქრობს უარყოფითი ემოციების მიზეზებსა და შედეგებზე. ეს მოჭარბებული ფიქრი ააქტიურებს წინა ნეგატიურ მეხსიერებას და იწვევს უარყოფით რეაქციას არსებულ გარემოებაზე. ამის შედეგად ძლიერდება წარუმატებლობისა და უმწეობის განცდა, რაც შეიძლება დეპრესიასა და შფოთვისში გადაიზარდოს (Chen, Rapee, Abbott, 2013). როგორც ჩანს, ემიგრანტები, რომლებიც რუმინაციისკენ არიან მიდრეკილნი, შესაძლოა ფოკუსირდებოდნენ უარყოფით ემოციებზე და მის მიზეზებზე, არ იღებდნენ აქტიურ ზომებს პრობლემის გადასაჭრელად და, შესაბამისად, დაბალი ჰქონდეთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

კვლევის შედეგების მიხედვით, მედეგობა ნაწილობრივი მედიატორი აღმოჩნდა დეპრესიულ რუმინაციასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღალი მედეგობის მქონე ინდივიდების შემთხვევაში რუმინაცია ნაკლებად ნეგატიურ ეფექტს მოახდენს ინდივიდის კარგად ყოფნის განცდაზე.

სიცხადის მოთხოვნილება და სიცხადის მოთხოვნილების სამი ქვეკალა – წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება, პროგნოზირების სურვილი და გადაწყვეტილების მიღების უნარი – დადებითად უკავშირდებოდა ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას და მის პრედიქტორს წარმოადგენდა. მედიაციური ანალიზის მიხედვით, კავშირი სიცხადის მოთხოვნილებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის და წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის, ნაწილობრივ გაშუალებულია პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინდივიდები, რომლებსაც სიცხადის მაღალი მოთხოვნილება აქვთ და, ასევე, მაღალი აქვთ წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება, ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნამდე, ნაწილობრივ, პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიის გამოყენებით მიდიან.

პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიის როლი პოზიტიურ შედეგებში არსებულ კვლევებშიც დასტურება. მაგალითად, პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრედიქტორია (Nwaogu & Chan, 2022). ზოგადად, დაძლევის სტრატეგიებს ორ ფართო კატეგორიად ყოფენ: პრობლემაზე ორიენტირებულ და ემოციებზე ორიენტირებულ სტრატეგიებად. პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა პრობლემაზე ორიენტირებულ დაძლევის სტრატეგიებს მიეკუთვნება (Nwaogu, Chan, & Tetteh, 2022). პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგიები მოიცავს მიზანმიმართულ ქმედებებს სიტუაციის შესაცვლელად, ადაპტურ სტრატეგიებად ითვლება (Enshassi et al., 2018) და დაკავშირებულია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მაღალ დონესთან (Biggs, Brough, & Drummond, 2017; Tsaras et al., 2018).

რომ შევაჯამოთ, სიცხადის მაღალი მოთხოვნილების მქონე ინდივიდებს დაბალი ტოლერანტობა აქვთ ორაზროვნებისა და გაურკვევლობის მიმართ და შესაბამისად, მაღალი აქვთ საზღვრების ორაზროვნება. ინდივიდები, რომლებსაც მაღალი აქვთ

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

გადაწყვეტილების სწრაფად და ეფექტურად მიღების უნარი საზღვრების ორაზროვნების დაბალი დონე აქვთ. მაღალი მედეგობის მქონე ინდივიდები უფრო ადვილად უმკლავდებიან ორაზროვანი დანაკარგის სიტუაციას, დაბალი აქვთ საზღვრების ორაზროვნების ხარისხი და მაღალი აქვთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა. ემიგრანტები, რომლებიც რუმინაციისკენ არიან მიდრეკილები, შესაძლოა ფოკუსირდებოდნენ უარყოფით ემოციებზე და მის მიზეზებზე, არ იღებდნენ აქტიურ ზომებს პრობლემის გადასაჭრელად, რაც შესაბამისად, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის დაბალ დონეში გამოიხატება. მაღალი მედეგობის მქონე ინდივიდების შემთხვევაში რუმინაციას ნაკლებად ნეგატიური ეფექტი აქვს ინდივიდის კარგად ყოფნის განცდაზე. ინდივიდები, რომლებსაც სიცხადის და წესრიგისა და სტრუქტურირების მაღალი მოთხოვნილება აქვთ, ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნამდე პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიის გამოყენებით მიდიან.

თავი 9 - შეჯამება

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებულ ორ კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვისაუბროთ ორაზროვანი დანაკარგზე ემიგრაციის გამოცდილების კონტექსტში და იმ მექანიზმებზე, რომლის საშუალებითაც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში მყოფი ემიგრანტები ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებას ახერხებენ.

იმისათვის, რომ გადაგვემოწმებინა ორაზროვანი დანაკარგის ფენომენის არსებობა ემიგრაციის გამოცდილების შემთხვევაში და პასუხი გაგვეცა კითხვაზე, რამდენად არის ემიგრაცია ორაზროვანი დანაკარგი, ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა იტალიაში მცხოვრები ემიგრანტების შერჩევის მაგალითზე. როგორც აღმოჩნდა, ემიგრაციაში, ოჯახისგან შორს ცხოვრებას თან ახლავს დანაკარგის განცდა, რომელიც ოჯახის წევრებთან ფიზიკურ განცალკევებას, ოჯახის წევრების წინაშე საკუთარი როლების შეუსრულებლობას, მონატრებასა და დისტანციურად შენარჩუნებულ ურთიერთობებს ეხება. დანაკარგის განცდას თან ახლავს ორაზროვნება. ორაზროვნებას დანაკარგისა და შენაძენის შეგრძნებების თანაარსებობა და ოჯახის წევრებთან გაერთიანების შესახებ არსებული არაპროგნოზირებადობა და ბუნდოვანება ქმნის. ამასთან, ოჯახის საზღვრები და როლები ორაზროვანი შეიძლება იყოს. ემიგრანტები ოჯახის წევრებს საკუთარ კოგნიტიურ და ემოციურ ცხოვრებაში ფსიქოლოგიურ ოჯახად ინარჩუნებენ. ამასთან, ახალი ურთიერთობები მათი ფსიქოლოგიური ოჯახის საზღვრებს აფართოებს. მედეგობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა საკუთარ თავზე სიტუაციის კონტროლის სადავეების აღება, იდენტობის რეკონსტრუქცია და ახალ რეალობაზე მორგება, ახალ ცხოვრებაში, როლსა და საქმიანობაში საზრისის პოვნა და იმედის არსებობა, რომ ემიგრაციაში ყოფნა მალე დასრულდება და სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან დაბრუნდებიან.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილი, რაოდენობრივ კვლევას დაეთმო, რომლის მიზანიც იყო იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებსაც წვლილი შეაქვთ იმ ინდივიდების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნებაში, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებიან და განიცდიან დანაკარგისა და საზღვრების ორაზროვნების მდგომარეობას. რაოდენობრივი კვლევის მოსამზადებელი ეტაპი ინსტრუმენტების

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

მომზადებას დაეთმო, კერძოდ, საზღვრების ორაზროვნების სკალის ემიგრანტებზე მორგებული ვერსიის შემუშავებასა და ფსიქიკური მედეგობის საკვლევი სკალის ვალიდაციას.

საზღვრების ორაზროვნების კავშირი ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა. სიცხადის მაღალი მოთხოვნილების მქონე ინდივიდებს ორაზროვნების და გაურკვევლობის მიმართ დაბალი ტოლერანტობის გამო საზღვრების ორაზროვნება მაღალი აქვთ. ინდივიდები, რომლებსაც მაღალი აქვთ გადაწყვეტილების სწრაფად და ეფექტურად მიღების უნარი საზღვრების ორაზროვნების დაბალი დონე აქვთ. მაღალი მედეგობის მქონე ინდივიდებს დაბალი აქვთ საზღვრების ორაზროვნების ხარისხი და მაღალი აქვთ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა. რუმინაციისკენ მიდრეკილ ინდივიდებს მაღალი აქვთ საზღვრების ორაზროვნება და დაბალი - ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის დონე. მედეგობის მაღალი დონის მქონე ინდივიდების შემთხვევაში რუმინაციას ნაკლებად ნეგატიური ეფექტი აქვს კარგად ყოფნის განცდაზე. ინდივიდები, რომლებსაც სიცხადის და წესრიგისა და სტრუქტურირების მაღალი მოთხოვნილება აქვთ, ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნამდე პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიის გამოყენებით მიდიან.

9.1. დასკვნები

მოცემული სადოქტორო კვლევის მიზანს ემიგრაციის გამოცდილების, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობის შესწავლა და იმ ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენდა, რომლებიც ხელს უწყობენ ორაზროვანი დანაკარგის მქონე სიტუაციასთან გამკლავებას და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნამდე მიჰყავს ინდივიდი.

სადისერტაციო ნაშრომის თვისებრივი კვლევის ნაწილი მიზნად ისახავდა პასუხი გაეცა შემდეგი კითხვებისთვის: რამდენად არის ემიგრაციაში ცხოვრება ორაზროვანი დანაკარგი და ფენომენოლოგიურად როგორ განიცდება. როგორ აღიქმება საზღვრების ორაზროვნება, ვინ არიან ემიგრანტების ფსიქოლოგიური ოჯახის ნაწილი და რა როლს

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ასრულებს მათ ყოველდღიურობაში. როგორ უმკლავდებიან ისინი სირთულეებს და რა უქმნით მედეგობას.

სადისერტაციო ნაშრომის რაოდენობრივი კვლევის ნაწილი მიზნად ისახავდა საზღვრების ორაზროვნებას, სიცხადის მოთხოვნილებას, მედეგობას, რუმინაციას, დაძლევის სტრატეგიებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის ურთიერთმიმართებების დადგენას და იმ ცვლადების გამოყოფას, რომლებიც ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას განსაზღვრავენ.

სადისერტაციო ნაშრომის ორივე ნაწილში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ:

- ემიგრაციაში ცხოვრებას ნამდვილად თან ახლავს დანაკარგის განცდა, რომელიც ორაზროვნებით ხასიათდება.
- ემიგრაციაში საცხოვრებლად წასვლის შემდეგ ოჯახის საზღვრები შესაძლოა ბუნდოვანი გახდეს და გამოიხატოს საზღვრების ორაზროვნების არსებობაში.
- სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრები აქტიურად რჩებიან ემიგრანტების ფსიქოლოგიურ ოჯახში. ის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ძალა და ყოველდღიური ფიქრისა და ზრუნვის საგანია.
- ემიგრანტებს მედეგობის შენარჩუნებაში ეხმარებათ სიტუაციის კონტროლის სადავეების საკუთარ თავზე აღება, იდენტობის რეკონსტრუქცია, ემიგრაციაში ცხოვრებაში საზრისის პოვნა და იმედი.
- ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას. კერძოდ, მედეგობა, სიცხადის და წესრიგისა და სტრუქტურირების მოთხოვნილება ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორები არიან. რუმინაცია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მნიშვნელოვანი უარყოფითი პრედიქტორია.
- პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის დაძლევის სტრატეგიის გამოყენება სიცხადისა და წესრიგისა და სტრუქტურირების მაღალი მოთხოვნილების მქონე ინდივიდებს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მიღწევაში ეხმარება.

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

9.2. კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომის სამეცნიერო სიახლესა და ინოვაციურობას წარმოადგენს ორაზროვანი დანაკარგის ცნების განზოგადება ემიგრაციის გამოცდილებაზე, ასევე, ფენომენთან და მასთან დაკავშირებულ კონსტრუქტებთან არსებული თეორიული მოსაზრებების ვერიფიცირებაში წვლილის შეტანა შერეული კვლევის მეთოდოლოგიით (თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევით) ემპირიული მონაცემების მოპოვებით.

ორაზროვანი დანაკარგის შესახებ არსებული კვლევები ახალი და არც თუ მრავალრიცხოვანია. ამის მიუხედავად, დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება მკვლევრებში, რადგან ტრავმის სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილ თეორიულ ჩარჩოს გვთავაზობს. თანამედროვე სამყაროში ხშირად ვხვდებით მოვლენას, რომელიც ტრავმის კლასიკური ცნებისაგან განსხვავებულია, ამავე დროს, მძაფრად ნეგატიური და დანაკარგზე ფოკუსირებულია.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით მოცემული სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ სისტემატური და ემპირიული გზით შევისწავლეთ სპეციფიკური ტრავმული გამოცდილების – ორაზროვანი დანაკარგის – ფენომენი ემიგრაციის გამოცდილების მაგალითზე. ორაზროვან დანაკარგთან გამკლავების სტრატეგიების იდენტიფიკაცია და შესწავლა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დანაკარგის შესახებ სამეცნიერო ცოდნის შექმნის თვალსაზრისით.

კვლევის პრაქტიკული ღირებულებაა, ერთი მხრივ, ის, რომ კვლევის ფარგლებში მომზადდა და გაიმართა ორი ინსტრუმენტი: (1) ემიგრაციის გამოცდილებაზე მორგებული საზღვრების ორაზროვნების საკვლევო ინსტრუმენტი და (2) მედეგობის საკვლევო სკალა, რაც ხელს შეუწყობს სამომავლო კვლევებს და დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს; მეორე მხრივ, კვლევა ემიგრანტებთან მომუშავე პრაქტიკოსებსა და ფსიქოლოგებს გაუწევს დახმარებას, კერძოდ, ისინი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეძლებენ (1) ამოიცნონ ის უნიკალური და უხილავი მწუხარება და ტკივილი, რომელსაც ბევრი ემიგრანტი განიცდის საკუთარი ოჯახის წევრების დატოვების გამო და (2) ემიგრანტებისთვის მედეგობის ხელისშემწყობი ფაქტორებისა და სპეციფიკური დაძლევის

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

სტრატეგიების ცოდნის გამოყენებით დაგეგმონ ეფექტური ინტერვენციები მათ კონსულტირებაში.

9.3. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო პერპექტივები

სადისერტაციო ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგებოდა და თითოეულ მათგანს თავისი შეზღუდვები აქვს, კერძოდ:

სადისერტაციო ნაშრომის თვისებრივი კვლევის პირველი შეზღუდვა რესპონდენტების სქესია: ყველა მონაწილე ქალია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან ემიგრირებულთა ძირითად ნაწილს სწორედ ქალები წარმოადგენენ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). მეორე შეზღუდვაა ის, რომ ყველა მონაწილე ერთ ქვეყანაში (იტალიაში) და ერთ ქალაქში (რომში) ცხოვრობს. სხვა ქვეყნებში ემიგრანტები შეიძლება განსხვავებულ გარემოებებში ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, ემიგრაციაში ცხოვრების სხვა ასპექტები იკვეთებოდეს. ამჯერად შეგვიძლია მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის კონტექსტში ვისაუბროთ, თუმცა, ამავედროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის მონაწილეთა ამგვარი ჰომოგენურობა საშუალებას გვაძლევს, საკვლევ ცვლადებზე ვფოკუსირდეთ და განსხვავებები თუ თავისებურებები სწორედ ცვლადებს შორის მიმართებებს და არა – მასპინძელ ქვეყანაში ცხოვრების თავისებურებებს მივაწეროთ. მესამე, კვლევის რესპონდენტები ემიგრანტების სპეციფიკურ ტიპს მიეკუთვნებიან, კერძოდ, ისინი შრომითი ემიგრანტები არიან. აქედან გამომდინარე, შედეგების სხვა ტიპის ემიგრანტებზე განზოგადებისას სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ცალკეული ჯგუფი ჰომოგენურია ორი თვალსაზრისით: (1) მათ საერთო ჰქონდათ ემიგრაციაში წასვლის წინაპირობები, დატოვეს რა სამშობლო და ოჯახი შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო და (2) ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება და გამოწვევები ემიგრაციაში ცხოვრების განმავლობაში. ასევე, ნარატივებში არ გამოკვეთილა, რომ სამუშაოს ტიპი რაიმე კუთხით უკავშირდებოდა დანაკარგისა თუ საზღვრების ორაზროვნების აღქმას. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ორაზროვანი დანაკარგის კონსტრუქტზე ვისაუბროთ. დამატებით, მოცემული კვლევა

ემიგრაციის გამოცდილება, ორაზროვანი დანაკარგი და მედეგობა

ორაზროვანი დანაკარგის ემიგრაციის გამოცდილებაზე კვლევის პირველი მცდელობაა და სხვა ჯგუფებზე კვლევების ჩატარებას მყარ საფუძველს უმზადებს, რაც უდავოდ გაამდიდრებს მეცნიერულ ცოდნას საკითხის გარშემო.

სადისერტაციო ნაშრომის რაოდენობრივ კვლევაში სასურველი იქნებოდა კვლევის უფრო დიდი ზომის შერჩევაზე ჩატარება. თუმცა, კვლევის მონაწილეთა ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია ჩვენს მიერ გამოყენებული სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად და მიღებული შედეგების სანდოობას ეჭვის ქვეშ არ აყენებს.

ასევე, კვლევის სამომავლო პერსპექტივად გვესახება საზღვრების ორაზროვნების კავშირის შემოწმება სხვა ცვლადებთან, მაგალითად, ოპტიმიზმსა და ცხოვრებით კმაყოფილებასთან, რადგან, როგორც თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, მომავლის იმედის ქონა გარკვეულ როლს ასრულებდა მედეგობის შენარჩუნებაში.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე კვლევაში ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობაში ყოფნა ინდივიდუალურ დონეზე განვიხილეთ. როგორც უკვე არსებული კვლევა (Solheim et al., 2015) აჩვენებს, ემიგრაციით გამოწვეულ ორაზროვან დანაკარგს არა მხოლოდ თავად ემიგრანტები განიცდიან, არამედ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებიც. შესაბამისად, რეკომენდებულია კვლევის გაფართოება ოჯახის დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Afifi, T. D., & Keith, S. (2004). A Risk and Resiliency Model of Ambiguous Loss in Postdivorce Stepfamilies. *Journal of Family Communication, 4*(2), 65–98.
https://doi.org/10.1207/s15327698jfc0402_1
- Akhtar, S. (1999). [No title found]. *Journal of Applied Psychoanalytic Studies, 1*(2), 123–130.
<https://doi.org/10.1023/A:1023029020496>
- American Psychiatric Association, & American Psychiatric Association (Eds.). (2013). *Diagnostic and statistical manual of mental disorders: DSM-5* (5th ed). American Psychiatric Association.
- American Psychological Association. (2015). APA Dictionary of Psychology (2nd ed.)
- Antman, F. M. (2010). Adult Child Migration and the Health of Elderly Parents Left Behind in Mexico. *American Economic Review, 100*(2), 205–208.
<https://doi.org/10.1257/aer.100.2.205>
- Aroian, K. J., & Norris, A. E. (2003). Depression trajectories in relatively recent immigrants. *Comprehensive Psychiatry, 44*(5), 420–427. [https://doi.org/10.1016/S0010-440X\(03\)00103-2](https://doi.org/10.1016/S0010-440X(03)00103-2)
- Bacigalupe, G., & Lambe, S. (2011). Virtualizing Intimacy: Information Communication Technologies and Transnational Families in Therapy. *Family Process, 50*(1), 12–26.
<https://doi.org/10.1111/j.1545-5300.2010.01343.x>
- Bagarozzi, D. A., & Berry, J. T. (1990). A review of the boundary ambiguity scales. *The American Journal of Family Therapy, 18*(4), 393–397. <https://doi.org/10.1080/01926189008250988>
- Baumeister, R. F., & Leary, M. R. (1995). The need to belong: Desire for interpersonal attachments as a fundamental human motivation. *Psychological Bulletin, 117*, 497–529.
- Biggs, A., Brough, P., & Drummond, S. (2017). Lazarus and Folkman’s Psychological Stress and Coping Theory. In C. L. Cooper & J. C. Quick (Eds.), *The Handbook of Stress and Health* (pp. 349–364). John Wiley & Sons, Ltd. <https://doi.org/10.1002/9781118993811.ch21>
- Blackburn, J. A., Greenberg, J. S., & Boss, P. G. (1987). Coping with Normative Stress from Loss and Change: A Longitudinal Study of Rural Widows. *Journal of Gerontological Social*

Work, 11(1-2), 59-70. https://doi.org/10.1300/J083V11N01_05

- Blagov, P. S., & Singer, J. A. (2004). Four Dimensions of Self-Defining Memories (Specificity, Meaning, Content, and Affect) and Their Relationships to Self-Restraint, Distress, and Repressive Defensiveness. *Journal of Personality*, 72(3), 481-511. <https://doi.org/10.1111/j.0022-3506.2004.00270.x>
- Boccagni, P. (2012). Practising Motherhood at a Distance: Retention and Loss in Ecuadorian Transnational Families. *Journal of Ethnic and Migration Studies*, 38(2), 261-277. <https://doi.org/10.1080/1369183X.2012.646421>
- Bocknek, E. L., Sanderson, J., & Britner, P. A. (2009). Ambiguous Loss and Posttraumatic Stress in School-Age Children of Prisoners. *Journal of Child and Family Studies*, 18(3), 323-333. <https://doi.org/10.1007/s10826-008-9233-y>
- Boss, P. (1975a). Psychological father absence and presence: A theoretical formulation for an investigation into family systems interaction. Unpublished doctoral dissertation, University of Wisconsin-Madison.
- Boss, P. (1975b). Psychological father presence in the missing-in-action (MIA) family: Its effects on family functioning. *Proceedings: Third Annual Joint Medical Meeting Concerning POW/MIA Matters* (pp. 61-65). San Diego, CA: Naval Health Research Center, Center for Prisoner of War Studies.
- Boss, P. (1977). A Clarification of the Concept of Psychological Father Presence in Families Experiencing Ambiguity of Boundary. *Journal of Marriage and the Family*, 39(1), 141. <https://doi.org/10.2307/351070>
- Boss, P. (1980). The Relationship of Psychological Father Presence, Wife's Personal Qualities and Wife/Family Dysfunction in Families of Missing Fathers. *Journal of Marriage and the Family*, 42(3), 541. <https://doi.org/10.2307/351898>
- Boss, P. (1993). The reconstruction of family life with Alzheimer's Disease: Generating theory to understand family stress from ambiguous loss. In P. Boss, W. Doherty, R. LaRossa, W. Schumm & S. Steinmetz (Eds.), *Sourcebook of family theories and methods: A contextual approach* (pp. 163-166). New York: Plenum.

- Boss, P. (1996). They did it quietly: The meaning of immigration for women. In H. Rhyner (Ed.), *Jubilaumsbuch 150 Jahr New Glarus: America's little Switzerland erinnert sich* [150 years anniversary of New Glarus, Wisconsin: America's Little Switzerland remembers.] (pp. 35-102). Glarus, Switzerland: Tschudi AG.
- Boss, P. (1999). *Ambiguous loss: Learning to live with unresolved grief*. Harvard University Press.
- Boss, P. (2002a). Ambiguous Loss: Working with Families of the Missing*. *Family Process*, 41(1), 14–17. <https://doi.org/10.1111/j.1545-5300.2002.40102000014.x>
- Boss, P. (2002b). Ambiguous loss in families of the missing. *The Lancet*, 360, s39–s40. [https://doi.org/10.1016/S0140-6736\(02\)11815-0](https://doi.org/10.1016/S0140-6736(02)11815-0)
- Boss, P. (2002c). *Family Stress Management: A Contextual Approach* (2nd ed.). <https://doi.org/10.4135/9781452233895>
- Boss, P. (2004). Ambiguous Loss Research, Theory, and Practice: Reflections After 9/11. *Journal of Marriage and Family*, 66(3), 551–566. <https://doi.org/10.1111/j.0022-2445.2004.00037.x>
- Boss, P. (2006). *Loss, trauma, and resilience: Therapeutic work with ambiguous loss*. Norton.
- Boss, P. (2007). Ambiguous Loss Theory: Challenges for Scholars and Practitioners. *Family Relations*, 56(2), 105–111. <https://doi.org/10.1111/j.1741-3729.2007.00444.x>
- Boss, P. (2010). The Trauma and Complicated Grief of Ambiguous Loss. *Pastoral Psychology*, 59(2), 137–145. <https://doi.org/10.1007/s11089-009-0264-0>
- Boss, P. (2011). *Loving someone who has dementia: How to find hope while coping with stress and grief*. Jossey-Bass.
- Boss, P. (2013). Resilience as tolerance for ambiguity. In D. S. Becvar (Ed.), *Handbook of family resilience* (pp. 285–297). Springer Science + Business Media. https://doi.org/10.1007/978-1-4614-3917-2_17
- Boss, P. (2016). The Context and Process of Theory Development: The Story of Ambiguous Loss: Theory Development: The Story of Ambiguous Loss. *Journal of Family Theory & Review*, 8(3), 269–286. <https://doi.org/10.1111/jftr.12152>
- Boss, P. (2017). Families of the missing: Psychosocial effects and therapeutic approaches. *International Review of the Red Cross*, 99(905), 519–534.

<https://doi.org/10.1017/S1816383118000140>

Boss, P., Beaulieu, L., Wieling, E., Turner, W., & LaCruz, S. (2003). HEALING LOSS, AMBIGUITY, AND TRAUMA: A COMMUNITY-BASED INTERVENTION WITH FAMILIES OF UNION WORKERS MISSING AFTER THE 9/11 ATTACK IN NEW YORK CITY. *Journal of Marital and Family Therapy*, 29(4), 455–467.

<https://doi.org/10.1111/j.1752-0606.2003.tb01688.x>

Boss, P., Bryant, C. M., & Mancini, J. A. (2017). *Family stress management: A contextual approach* (Third edition). SAGE.

Boss, P., Caron, W., & Horbal, J. (1988). Alzheimer's disease and ambiguous loss. In C. S. Chilman, E. W. Nunnally, & F. M. Cox (Eds.), *Chronic illness and disability* (pp. 123–140). Sage Publications, Inc.

Boss, P., Caron, W., Horbal, J., & Mortimer, J. (1990). Predictors of Depression in Caregivers of Dementia Patients: Boundary Ambiguity and Mastery. *Family Process*, 29(3), 245–254.

<https://doi.org/10.1111/j.1545-5300.1990.00245.x>

Boss, P., & Greenberg, J. (1984). Family Boundary Ambiguity: A New Variable in Family Stress Theory. *Family Process*, 23(4), 535–546. <https://doi.org/10.1111/j.1545-5300.1984.00535.x>

Boss, Pauline G.; Greenberg, Jan R.; Pearce-McCall, Debra. (1990). Measurement of Boundary Ambiguity in Families. Minnesota Agricultural Experiment Station. Retrieved from the University of Minnesota Digital Conservancy, <https://hdl.handle.net/11299/139543>.

Boss, P., Pearce-McCall, D., & Greenberg, J. (1987). Normative Loss in Mid-Life Families: Rural, Urban, and Gender Differences. *Family Relations*, 36(4), 437.

<https://doi.org/10.2307/584497>

Boss, P., Roos, S., & Harris, D. L. (2011) Grief in the Midst of Uncertainty and Ambiguity, in Robert A. Neimeyer, Darcy L. Harris, Howard R. Winokuer and Gordon F. Thornton (eds), *Grief and Bereavement in Contemporary Society: Bridging Research and Practice*, Taylor and Francis, New York.

Boss, P., & Yeats, J. R. (2014). Ambiguous loss: A complicated type of grief when loved ones disappear. *Bereavement Care*, 33(2), 63–69. <https://doi.org/10.1080/02682621.2014.933573>

- Brener, E. (1991). Losses, acculturation and depression in Mexican immigrants. The Pennsylvania State University ProQuest Dissertations Publishing. (Order No. 9114048). Retrieved from <http://search.proquest.com/docview/303997239?accountid=12163>
- Brown, E. C., & Coker, A. D. (2019). Promoting the Resiliency of African American Teens Experiencing Ambiguous Loss. *The Journal for Specialists in Group Work, 44*(4), 286–299. <https://doi.org/10.1080/01933922.2019.1669751>
- Bertalanffy, L. V. (1968). *General system theory: Foundations, development, applications*. G. Braziller.
- Buehler, C., & Pasley, K. (2000). Family Boundary Ambiguity, Marital Status, and Child Adjustment. *The Journal of Early Adolescence, 20*(3), 281–309. <https://doi.org/10.1177/0272431600020003002>
- Caron, W., Boss, P., & Mortimer, J. (1999). Family Boundary Ambiguity Predicts Alzheimer's Outcomes. *Psychiatry, 62*(4), 347–356. <https://doi.org/10.1080/00332747.1999.11024882>
- Carroll, J. S., Olson, C. D., & Buckmiller, N. (2007). Family Boundary Ambiguity: A 30-Year Review of Theory, Research, and Measurement. *Family Relations, 56*(2), 210–230. <https://doi.org/10.1111/j.1741-3729.2007.00453.x>
- Casado, B. L. (2000). The experience of grief and loss associated with immigration: An exploratory study of elderly Chinese immigrants (Unpublished master's thesis). University of Houston, Houston, TX.
- Casado, B. L., Hong, M., & Harrington, D. (2010). Measuring Migratory Grief and Loss Associated With the Experience of Immigration. *Research on Social Work Practice, 20*(6), 611–620. <https://doi.org/10.1177/1049731509360840>
- Casado, B. L., & Leung, P. (2002). Migratory Grief and Depression Among Elderly Chinese American Immigrants. *Journal of Gerontological Social Work, 36*(1–2), 5–26. https://doi.org/10.1300/J083v36n01_02
- Çelik Ahabab, Hilal & Eksi, Halil. (2018). Mothers' Reflections of Ambiguous Loss on Personal Family Functioning in Families with Children Who Have Autism Spectrum Disorders/ Çocuğu Otizm Tanısı Alan Annelerin Deneyimledikleri Belirsiz Kaybın Aile

İşlevselliklerine Yansımaları. 1-23. 10.21565/ozelegitimdergisi.383589.

Chang, Christine Chih-Ting, "Migratory Loss and Depression Among Adult Immigrants of Chinese Descent" (2015). *Dissertations*. 1632.

https://ecommons.luc.edu/luc_diss/1632 Casado

Chen, J., Rapee, R. M., & Abbott, M. J. (2013). Mediators of the relationship between social anxiety and post-event rumination. *Journal of Anxiety Disorders*, 27(1), 1–8.

<https://doi.org/10.1016/j.janxdis.2012.10.008>

Connor, K. M., & Davidson, J. R. T. (2003). Development of a new resilience scale: The Connor-Davidson Resilience Scale (CD-RISC). *Depression and Anxiety*, 18(2), 76–82.

<https://doi.org/10.1002/da.10113>

Coolhart, D., Ritenour, K., & Grodzinski, A. (2018). Experiences of Ambiguous Loss for Parents of Transgender Male Youth: A Phenomenological Exploration. *Contemporary Family Therapy*, 40(1), 28–41. <https://doi.org/10.1007/s10591-017-9426-x>

<https://doi.org/10.1007/s10591-017-9426-x>

Crossley, M. L. (2011). *Introducing Narrative Psychology: Self, trauma and the construction of meaning*. Buckingham: Open University press.

Curci, A., Lanciano, T., Soleti, E., & Rimé, B. (2013). Negative emotional experiences arouse rumination and affect working memory capacity. *Emotion*, 13(5), 867–880.

<https://doi.org/10.1037/a0032492>

Dahl, C.M. and Boss, P. (2020). Ambiguous Loss. In *The Handbook of Systemic Family Therapy* (eds K.S. Wampler, M. Rastogi and R. Singh). <https://doi.org/10.1002/9781119788409.ch6>

Diener, E., Wirtz, D., Biswas-Diener, R., Tov, W., Kim-Prieto, C., Choi, D. W., & Oishi, S. (2009). New measures of well-being. *Assessing well-being: The collected works of Ed Diener*, 247-266.

Dreby, J. (2006). Honor and Virtue: Mexican Parenting in the Transnational Context. *Gender & Society*, 20(1), 32–59. <https://doi.org/10.1177/0891243205282660>

Dreby, J. (2007). Children and Power in Mexican Transnational Families. *Journal of Marriage and Family*, 69(4), 1050–1064. <https://doi.org/10.1111/j.1741-3737.2007.00430.x>

Elo, S., & Kyngas, H. (2008). The qualitative content analysis process. *Journal of Advanced*

Nursing, 62(1), 107–115.

- Elder, G. H., Jr., Caspi, A., & Burton, L. M. (1988). Adolescent transition in developmental perspective: Sociological and historical insights. In M. R. Gunnar & W. A. Collins (Eds.), *Development during the transition to adolescence* (pp. 151-179). Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum.
- Enshassi, A., Al-Swaity, E., Abdul Aziz, A. R., & Choudhry, R. (2018). Coping behaviors to deal with stress and stressor consequences among construction professionals: A case study at the Gaza Strip, Palestine. *Journal of Financial Management of Property and Construction*, 23(1), 40–56. <https://doi.org/10.1108/JFMPC-12-2016-0057>
- Falicov, C. (2002). AMBIGUOUS LOSS: RISK AND RESILIENCE IN LATINO IMMIGRANT FAMILIES.
- Folkman, S., & Lazarus, R. S. (1988). Manual for the Ways of Coping Scale. Consulting Psychology Press.
- Fong, E., Cao, X. and Chan, E. (2010), Out of Sight, Out of Mind? Patterns of Transnational Contact Among Chinese and Indian Immigrants in Toronto. *Sociological Forum*, 25: 428-449. <https://doi.org/10.1111/j.1573-7861.2010.01190.x>
- Fravel, D. L., & Boss, P. G. (1992). An in-depth interview with the parents of missing children. *Qualitative methods in family research*, 126-145.
- Friday, P.P. (1985). Coping with widowhood: A study of urban and rural widows. Unpublished doctoral dissertation, University of Wisconsin-Madison.
- Garwick, A. W., Detzner, D., & Boss, P. (1994). Family Perceptions of Living with Alzheimer's Disease. *Family Process*, 33(3), 327–340. <https://doi.org/10.1111/j.1545-5300.1994.00327.x>
- Graham, E., Jordan, L. P., Yeoh, B. S. A., Lam, T., Asis, M., & Su-Kamdi. (2012). Transnational Families and the Family Nexus: Perspectives of Indonesian and Filipino Children Left behind by Migrant Parent(s). *Environment and Planning A: Economy and Space*, 44(4), 793–815. <https://doi.org/10.1068/a4445>
- Greenberg, J. (1988). Validation and specification of the psychological presence scale. Paper presented at the Pre-Conference Theory Construction and Research Methodology

Workshop of the Annual Conference of the National Council for Family Relations,
Philadelphia, Pennsylvania.

- Harper, S. E., & Martin, A. M. (2013). Transnational Migratory Labor and Filipino Fathers: How Families Are Affected When Men Work Abroad. *Journal of Family Issues*, *34*(2), 270–290. <https://doi.org/10.1177/0192513X12462364>
- Hobart, C. (1988). The Family System in Remarriage: An Exploratory Study. *Journal of Marriage and the Family*, *50*(3), 649. <https://doi.org/10.2307/352635>
- Hofer, M. A. (2006). Evolutionary Basis of Adaptation in Resilience and Vulnerability: Response to Cicchetti and Blender. *Annals of the New York Academy of Sciences*, *1094*(1), 259–262. <https://doi.org/10.1196/annals.1376.030>
- Hollander, T. (2016). Ambiguous Loss and Complicated Grief: Understanding the Grief of Parents of the Disappeared in Northern Uganda: Ambiguous Loss and Complicated Grief. *Journal of Family Theory & Review*, *8*(3), 294–307. <https://doi.org/10.1111/jftr.12153>
- Hsieh, H. F., & Shannon, S. (2005). Three approaches to qualitative content analysis. *Qualitative Health Research*, *15*, 1277–1288.
- Huebner, A. J., Mancini, J. A., Wilcox, R. M., Grass, S. R., & Grass, G. A. (2007). Parental Deployment and Youth in Military Families: Exploring Uncertainty and Ambiguous Loss*. *Family Relations*, *56*(2), 112–122. <https://doi.org/10.1111/j.1741-3729.2007.00445.x>
- Iafrate, R. (1996). Conflitto, cooperazione e percezione dei confini familiari in famiglie separate con adolescenti. *Ricerche di Psicologia*, *1996*, 79-113.
- Idris, I., Khairani, A. Z., & Shamsuddin, H. (2019). The Influence of Resilience on Psychological Well-Being of Malaysian University Undergraduates. *International Journal of Higher Education*, *8*(4), 153. <https://doi.org/10.5430/ijhe.v8n4p153>
- Jerves, E., Rober, P., Enzlin, P., & De Haene, L. (2020). Ambiguous Loss in Transnational Families' Adolescents: An Exploratory Study in Ecuador. *Family Process*, *59*(2), 725–739. <https://doi.org/10.1111/famp.12453>
- Johnson, E. I., & Easterling, B. A. (2015). Navigating Discrepancy: Youth Perspectives on Parental Reentry From Prison. *Journal of Offender Rehabilitation*, *54*(1), 60–83.

<https://doi.org/10.1080/10509674.2014.972604>

- Kaplan, L., & Boss, P. (1999). Depressive Symptoms among Spousal Caregivers of Institutionalized Mates with Alzheimer's: Boundary Ambiguity and Mastery as Predictors. *Family Process, 38*(1), 85–103. <https://doi.org/10.1111/j.1545-5300.1999.00085.x>
- Kaplan, L., Hennon, C. B., & Ade-Ridder, L. (1993). Splitting custody of children between parents: Impact on the sibling system. *Families in Society, 74*(3), 131–144.
- Karraker, M. W. (2013). *Global families* (2nd ed). SAGE.
- Keller, J. (2011). Experiences of Public Housing Residents Following Relocation: Explorations of Ambiguous Loss, Resiliency, and Cross-Generational Perspectives. *Journal of Poverty, 15*(2), 141–163. <https://doi.org/10.1080/10875549.2011.563170>
- Kenrick, D. T., & Johnson, G. A. (1979). Interpersonal attraction in aversive environments: A problem for the classical conditioning paradigm? *Journal of Personality and Social Psychology, 37*, 572-579.
- Kheshgi-Genovese, Z., & Genovese, T. A. (1997). Developing the Spousal Relationship within Stepfamilies. *Families in Society: The Journal of Contemporary Social Services, 78*(3), 255–264. <https://doi.org/10.1606/1044-3894.773>
- Kircaburun, K., Griffiths, M. D., & Billieux, J. (2019). Trait emotional intelligence and problematic online behaviors among adolescents: The mediating role of mindfulness, rumination, and depression. *Personality and Individual Differences, 139*, 208–213. <https://doi.org/10.1016/j.paid.2018.11.024>
- Kohlbacher, F. (2006). The use of qualitative content analysis in case study research. Forum: *Qualitative Social Researcher, 1*(21). Retrieved March 11, 2020, from <http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/75>
- Kross, E., Ayduk, O., & Mischel, W. (2005). When Asking “Why” Does Not Hurt Distinguishing Rumination From Reflective Processing of Negative Emotions. *Psychological Science, 16*(9), 709–715. <https://doi.org/10.1111/j.1467-9280.2005.01600.x>
- Lee, R. E., & Whiting, J. B. (2007). Foster Children's Expressions of Ambiguous Loss. *The American Journal of Family Therapy, 35*(5), 417–428.

<https://doi.org/10.1080/01926180601057499>

Levchenko, P., & Solheim, C. (2013). International Marriages Between Eastern European-Born Women and U.S.-Born Men: Eastern European-U.S. Marriages. *Family Relations*, *62*(1), 30–41. <https://doi.org/10.1111/j.1741-3729.2012.00746.x>

Levitt, P., & Schiller, N. G. (2004). Conceptualizing Simultaneity: A Transnational Social Field Perspective on Society. *International Migration Review*, *38*(3), 1002–1039.

<https://doi.org/10.1111/j.1747-7379.2004.tb00227.x>

Lovibond, P. F., & Lovibond, S. H. (1995). The structure of negative emotional states: Comparison of the Depression Anxiety Stress Scales (DASS) with the Beck Depression and Anxiety Inventories. *Behaviour research and therapy*, *33*(3), 335–343.

Madden-Derdich, D. A., & Arditti, J. A. (1999). The ties that bind: Attachment between former spouses. *Family Relations: An Interdisciplinary Journal of Applied Family Studies*, *48*(3), 243–249. <https://doi.org/10.2307/585633>

Madden-Derdich, D. A., Leonard, S. A., & Christopher, F. S. (1999). Boundary ambiguity and coparental conflict after divorce: An empirical test of a family systems model of the divorce process. *Journal of Marriage and the Family*, *61*(3), 588–598. <https://doi.org/10.2307/353562>

Marchetti-Mercer, M. C. (2012). Those Easily Forgotten: The Impact of Emigration on Those Left Behind. *Family Process*, *51*(3), 376–390. <https://doi.org/10.1111/j.1545-5300.2012.01407.x>

Marcus, D. K., Hughes, K. T., & Arnau, R. C. (2008). Health anxiety, rumination, and negative affect: A mediational analysis. *Journal of Psychosomatic Research*, *64*(5), 495–501. <https://doi.org/10.1016/j.jpsychores.2008.02.004>

Masten, A. S. (2011). Resilience in children threatened by extreme adversity: Frameworks for research, practice, and translational synergy. *Development and Psychopathology*, *23*(2), 493–506. <https://doi.org/10.1017/S0954579411000198>

Masten, A. S. (2014). Global Perspectives on Resilience in Children and Youth. *Child Development*, *85*(1), 6–20. <https://doi.org/10.1111/cdev.12205>

Masten, A. S. (2015). Pathways to Integrated Resilience Science. *Psychological Inquiry*, *26*(2),

187–196. <https://doi.org/10.1080/1047840X.2015.1012041>

Masten, A. S. (2016). Resilience in the Context of Ambiguous Loss: A Commentary: Resilience in Ambiguous Loss. *Journal of Family Theory & Review*, 8(3), 287–293.

<https://doi.org/10.1111/jftr.12154>

Masten, A. S., & Tellegen, A. (2012). Resilience in developmental psychopathology: Contributions of the Project Competence Longitudinal Study. *Development and Psychopathology*, 24(2), 345–361. <https://doi.org/10.1017/S095457941200003X>

Mazzucato, V. (2015). Transnational families and the well-being of children and caregivers who stay in origin countries. *Social Science & Medicine*, 132, 208–214.

<https://doi.org/10.1016/j.socscimed.2014.11.030>

Mazzucato, V., & Schans, D. (2011). Transnational Families and the Well-Being of Children: Conceptual and Methodological Challenges. *Journal of Marriage and Family*, 73(4), 704–712. <https://doi.org/10.1111/j.1741-3737.2011.00840.x>

McAdams, D. P. (2006). The Redemptive Self: Stories Americans Live by, (2006).

Mcgee, K., PettyJohn, M. E., & Gallus, K. L. (2018). Ambiguous Loss: A Phenomenological Exploration of Women Seeking Support Following Miscarriage. *Journal of Loss and Trauma*, 23(6), 516–530. <https://doi.org/10.1080/15325024.2018.1484625>

Mechling, B. M., Ahern, N. R., & Palumbo, R. (2018). Applying ambiguous loss theory to children of parents with an opioid use disorder: MECHLING ET AL. *Journal of Child and Adolescent Psychiatric Nursing*, 31(2–3), 53–60. <https://doi.org/10.1111/jcap.12209>

Menjívar, C. (2002). Living in two worlds? Guatemalan-origin children in the United States and emerging transnationalism. *Journal of Ethnic and Migration Studies*, 28(3), 531–552. <https://doi.org/10.1080/13691830220146590>

Minuchin, S. (1974). Families and Family Therapy. Cambridge, MA: Harvard University Press.

Mitchell, M. B. (2016). The Family Dance: Ambiguous Loss, Meaning Making, and the Psychological Family in Foster Care: The Family Dance. *Journal of Family Theory & Review*, 8(3), 360–372. <https://doi.org/10.1111/jftr.12151>

Mitchell, M. B., & Kuczynski, L. (2010). Does anyone know what is going on? Examining

- children's lived experience of the transition into foster care. *Children and Youth Services Review*, 32(3), 437–444. <https://doi.org/10.1016/j.chilyouth.2009.10.023>
- Montes, V. (2013). The Role of Emotions in the Construction of Masculinity: Guatemalan Migrant Men, Transnational Migration, and Family Relations. *Gender & Society*, 27(4), 469–490. <https://doi.org/10.1177/0891243212470491>
- Nasir, A., Yusuf, A., Listiawan, M. Y., Makhfudli, M., Muhalla, H. I., Wahyudi, A. S., & Muhith, A. (2022). Relationship between resilience, coping resources, and psychological well-being with stress of leprosy as a predictor. A correlation study through the structural equation models. *Clinical Epidemiology and Global Health*, 17, 101151. <https://doi.org/10.1016/j.cegh.2022.101151>
- Nesteruk, O., & Marks, L. (2009). Grandparents across the ocean: Eastern European immigrants' struggle to maintain intergenerational relationships. *Journal of Comparative Family Studies*, 40(1), 77–95.
- Newman, D. B., & Nezlek, J. B. (2019). Private self-consciousness in daily life: Relationships between rumination and reflection and well-being, and meaning in daily life. *Personality and Individual Differences*, 136, 184–189. <https://doi.org/10.1016/j.paid.2017.06.039>
- Nichols, M.P. and Schwartz, R.C. (1995) Family Therapy: Concepts and Methods. 4th Edition, Allyn & Bacon, Boston.
- Nolen-Hoeksema, S. (1998). Ruminative coping with depression. In J. Heckhausen & C. S. Dweck (Eds.), *Motivation and self-regulation across the life span* (pp. 237–256). Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9780511527869.011>
- Nolen-Hoeksema, S., Parker, L. E., & Larson, J. (1994). Ruminative coping with depressed mood following loss. *Journal of Personality and Social Psychology*, 67(1), 92–104. <https://doi.org/10.1037/0022-3514.67.1.92>
